

ლიტერატურული გაზეთი

№22 (350) 24 ნოემბერი - 7 დეკემბერი 2023

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ბექა ახალაია

კანონზომიერება

არის ხოლმე (გამომიციდია) დღე, როცა დგახარ უჩვეულოდ ძალამიციემულ მზეში, სურნელში, წინა ღამით აყვავილებულ ატმებს და ტყემლებს გაჰყურებ და ხვდები — ეს არის, უკვე მოვიდა გაზაფხული. გაზაფხულია. გაზაფხულია.

არის ხოლმე (გამიგონია) დღე, როცა დგახარ სარკის წინ და საკუთარ სახეს უყურებ, თითქოს, არ გინახავს, დიდი ხანია. აცქერდები და უცებ ხვდები — აი, მოვიდა უკვე სიბერე.

ვვარაუდობ — ალბათ, იქნება, ღრმა სიბერეში, ისეთი დღეც, როცა ზიხარ და წარსულს გასცქერი, თვალს ვერ უწვდენ ჰორიზონტსაც კი, და უცებ ხვდები, რომ სიკვდილი უკვე გზაშია და მალე მოვა.

IV-V

ნინა სამხარაძე

ხელეპი

მიყვარს ცივი ღამეები, შენ ხელეპს ჰგვანან გაყინული ბელურები.

ხელისგულებით ვათბობ, შემდეგ მიდიან უმისამართო პატრონებთან.

ჩემი ხელეპი მინას ემსგავსება, რომელზეც ღმერთმა გაიარა, ღრმა, მძიმე ნაბიჯებით.

შენ ხელეპს გვანან ცივი ღამის ბელურები,

ყინვას გადარჩენილი ძლიერი ნაბიჯებით.

თბილ ქვეყნებს დავამსგავსე ხელისგულეპი,

ზედ რომ კიდევ გაველოთ უმისამართო პატრონისგან მობრუნებულეპს.

V

გიორგი ბალახაშვილი

ქარვის სახლი

„პოეტი... მაინც ერთი ლექსია“ ...
ლაშა გახარია

„პოეტი... მაინც ერთი ლექსია“, გამოდის, მე ჯერ პოეტიც არ ვარ; იმ ზამბახებსაც, ხან თუ მესვრიან, არაფრად ვაგდებ, მე უფრო ქარვა... ქარვა მალეღვებს, მოყავისფრომდე — არრა უკლია, ყვითელს და სპეტაკს, სუფლიორივით — რეჟისორს ვგმობდი, ვიზეპირებდი თუმც ყველა სპექტაკლს, მაგრამ ხარისხით უფრო მეორე, ვიდექი — შავი კულისის მიღმა... იქ კი, ვისმენდი სამი ტენორის ოქტავეებიდან წამოსულ სიღრმეს, ყოველი ბგერის რეს და ბი ბემოლს, ამპარტავანი ვიყავი მაშინ... ვგავდი სამი დღის გამოძინებულს, თვალზე — სიზმრის გლუვი მარმაშით და მალეღვებდა მძინარეს ქარვა, ძილში — ქარვისგან სახლი მოვიწყვე, გამოდის, მე ჯერ პოეტი არ ვარ, არავინ არ ვარ, სუფლიორიც კი...

VIII-IX



1

ნავაზი ფარდა ისე შეარჩია, თითქოს შე-
მოსვლას აპირებოდა, იქ მცხოვრებ კაცს აღ-
ამიანურად რომ გამოლაპარაკებოდა. შე-
ტყუებულ შენობებს გამოჭოლი, ბიაზივით
გადაჭიმული სამკუთხა ცა დაჰყურებდა.
მოპირდაპირე ფასადზე აფარებული რუხი
შალითა ჩრჩილებით გამოჭმულ, ჭრელ
ფარდას ჰგავდა. შორს, სატელევიზიო ან-
დასთან ღრუბელი დაძინებულ აფრასავით
ფრიალებდა. მაღალი ძაბვის ანძებისგან
მოშორებით ნაკვეთები შემოეღობათ, ერთ-
ერთი სწორედ ამ კაცს რომ ეკუთვნოდა.
მას ისეთი მზერა ჰქონდა, თითქოს წარსუ-
ლში დიდად ჩახლართული ამბები დასტუ-
დომოდა თავს. ამიტომაც დასწრებდა ძუნ-
ნი ესკიზებით ნაფიქრის გამოსახვა. კლოდ
მონეზე გიჟდებოდა, იმპრესიონიზმის მამი-
ლოს ეძახდა, ხატვით კი გულს იოხებდა,
მაგრამ წინათგრძნობა ყოველთვის იმ-
გვარი გარემოებისთვის ამზადებდა, თავს
რომ ვერაფრით ართმევდა. წვრილმანებს
ხომ განელვა სწევია, განსხვავებით მსხ-
ვილმანებისგან, ერთბაშად რომ თავდება
ხოლმე. თავზარდამცემი ამბები როგორ
არ ხდებოდა, მაგრამ ისე შეეწვია, თავზარს
ალარ სცემდა, სიხარულის გამოსახატად
კი აღმაფრენა აღარ ჰყოფინდა.

კაცს შოშიტა ერქვა. იგი ხმელ-ხმელი
და ძაფივით წვრილი იყო, გეგონება ნემ-
სის ყუნწით გაეტყუა. მტრედების ფრთე-
ბის ფათქუნმა რატომღაც თოვლი გაახსე-
ნა. დაპურების მიზნით ხორბლით სავსე
ჯამს უხერხულად დაავლო ხელი, შემდგომ
წამს კი, როცა ძირს მიმოყრილ ნამტე-
რეებს კრეფდა ცოცხითა და აქანდაზით,
კომოდზე ტელეფონმა დარეკა. საყვე-
დურებით ამკლები მეზობელი იყო, ყელში
ამოხვედი ამდენი ხმაურითო, მოთქვამდა.

— მეც განვიცდი, მაგრამ შემთხვევის-
გან ვინ არის დაზღვეული? — თავის მარ-
თლებას მოჰყვა შოშიტა, კარზე იმგვარი
ბრახუნით რომ გაიგონა, დამარცხებული
მონინაღმდეგე ტატამზე რომ დაარტყამს
ხელს დანებების ნიშნად.

— თანაც ჯამი დამემტვრა! — ანუ გე-
შა ბოლოს შარანი მეზობელი და კარისკენ
გამართა. ზღურბლთან კაცი იდგა, მუჭით
ქუდი ჩაებლუჯა და ბუბუნებდა:

— ბუბუ აქ არის?
— ბუბუ ვინ არის? — მხრები აიჩერა
შოშიტამ.

— ბუბუმ გამომგზავნა საქმეზე! — ქუ-
დნაბლუჯული ხელი აიქნია მოსულმა, ბევ-
რი ლაქლაქის დრო არ მაქვსო.

— ბუბუ ვინდარა? — გულწრფელად და-
ინტერესდა შოშიტა.

— ნუთუ სხვაგან მოგვხვდი! — ნაბიჯი
უკან გადადგა უცნობმა, რატომღაც სა-
კეტი შეათვალისკნა და ხმის აბოლუბლად
დაეშვა კიბეზე. შოშიტა ყურმილს დასწე-
და, გათიშული რომ იყო. მან ფანჯრიდან
ეზოს გახედა. იმ კაცს სადარბაზო კი არა,
კორპუსიც შეშლოდა. თუმცა იქიდანაც
მაღე გამოვიდა, ეტყობა ქურჩა აერია.
მერე მზერა ხიდისკენ გაექცა. მდინარის
დუღუნის ქალაქის მონოტონურ ხმაურში
ჩაკარგულიყო, ხმათა მრავალფეროვნებას
ერთი ბგერითაც რომ შემატებოდა.


შოშიტა ორ ადგილას მუშაობდა და
ცდილობდა, ორივეგან მოკრძალებული
კაცის შთაბეჭდილება დაეტოვებინა, მა-
გრამ სახლიდან გამოსვლისას სადარბაზო-
ს პარმალთანვე ითარსებოდა, — აი, ისიც!
— დასწავლბდა ყვაი და მერე მთელ მის
დარჩენილ დღეს აჩრდილები განაგებდ-
ნენ. ეკლესიას რომ გაცდებოდა, მწკრივად
გადაჭრილ ხეებს გახედავდა, თითქოს სა-
ჯალათო კუნძულები ყოფილიყო. მერე რომე-
ლილაც ფანჯარასთან წარმართივით ჩერ-
დებოდა, ოდესღაც მის თანაკლასელ გოგ-
ონას რომ ეცხოვრა, სალის, მშვენიერ მწე-
ანეთვალემა ქმნილებას, ძალუმად რომ
წყვარდა. თუმცა იქ ხანგრძლივი დგომა
წვიმის მოსაყვანად გამართულ რიტუალს
ემსგავსებოდა, ზეცის კურთხევის ამო
მოლოდინს. ვისთვისაც სალის ბინა მიეყი-
და, იმას სხვაზე გაეჭირავებინა და წარსუ-
ლი სამუდამოდ მიჩქმალულიყო. შოშიტას
მიჩინდა, რომ ბედნიერების პირველი ვარი-
ანტი — ახლა და ახლო — მხოლოდ მას-
თან იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა არა-
ვინ თანაურგრძობდა. ერთხელ თანაკლა-
სელი გოგონა გამოჰქომაგებია, სალის და-
ქალი, მაგრამ ამის შესახებ შოშიტამ არა-
ფერი უწყობდა.

— შოშიტა არ მოგწონს? — უკითხავს
სალისთვის.

— უხეში ვინმეა, გომბეშოსავით დაჭყე-
ტილი თვალებით!
— სკოლის დამთავრების შემდეგ ცოლ-
ად არ გაჰყვები? — ჩააცვიდა დაჟინებით.
— შენ თვითონ გაჰყვები, ჩემთვის ეს სა-
სჯელი იქნებოდა!
— რომაე რაღაცას! — დაუტია მწყრა-
ლად, მაგრამ ბაასი ამით დამთავრებულა.
თუმცა ბავშვობა, რეფლექტორის მჭახე
ბგერებს რომ უკავშირდებოდა, მაინც ყვე-
ლაზე ნათელ ფერებად აგონდებოდა. ძმა-
ბიჭებს ვინ დაუშლიდა გვიანობამდე გარეთ
ყოფნას. ღამურები ხომ არა ხართო, უფ-
როსების საყვედურზე მხრებს აიჩერდნენ,

დიმიტრი ნიკლაური

ახლა, ახლო, ან
სადმე, ოდესმე



იყვნენ და რა ექნათ. მოძრაობაც ხისტი ჰქ-
ონდა და ისე შეწყობილად თამაშობდნენ,
თითქოს წინასწარ გაველოთ რეპეტიცია.
უხაროდათ, ზაფხული რომ ახლოვდებო-
და, თუმცა ყვავების დამფრთხობი ქარი
სიღრმეში ავბედითი ზუზუნით მოყურებულ
მკბენარებს ვერაფერს მოუხერხებდა. სა-
ღამოობით ჯოჯგინების მსგავსი ხეების
ფონზე, მთვარის ქვეშ, ეკლესიის გუმბათი
ბრჭყვილებდა. მოოქრულ ლოცვანს, თა-
ვშიან დედაბერს რომ ეპყრა დამტკნარი
თითებით, ყდა ულაპლაპებდა და ყოველი
გადაფურცვლა მარადიულ საფიქრალს
აღძრავდა, მაგრამ ამ ნათელი ფერების პა-
რალელურად, მაღაზიასთან გრძელი რი-
გები დგებოდა. პურს დახლთან მიმწყვე-
დულნი იძინდნენ. მჭიდროდ მიტმანნილი კა-
ბები გოგონებს სინატიფეს მატებდა. ბიჭე-
ბი უხიავად მიაშტერდებოდნენ ხოლმე და
წინ ისე აეყუდებოდნენ, ციდან ჩამოვარდ-
ნილი საჩუქარი ჰგონებოდათ.

შოშიტას მამა რომ მოუკვდა, პროლე-
ტაროვით განაგრძეს ცხოვრება ელიტარ-
ულ უბანში. ზაფხულობით დედამის მთებ-
ში მიჰყავდა, ნატურალური რძე რომ ესვა,
ჟანგბადით მდიდარი ჰაერი ესუნთქა და
მზით გარუჯულიყო. წყარო ისეთი ცივი
იყო, თითქოს წყურვილის მოსაკლავად მი-
სულ მთიბავებს შიგ ვერცხლის მონეტები
ჩაჰყროდათ. შოშიტას უხეში ხასიათი შო-
რეული წინაპრებისგან გამოჰყოლოდა, შე-
მოსვლად მგლებს კომპლებით რომ იგერიე-
ბდნენ. მწყემსები, ცხრა მთა გადავლილნი,
მწუხარე სახით ბრუნდებოდნენ, რადგან
ისეთს ვერაფერს მიაგნეს, რაც აქ არ ენახ-
ათ. შოშიტას მოსწონდა უკაცრიელ ღამე-
ებში მოციმციმე (ციცინათელი) სიფრი-
ფანა ფრთებით მომცრო ფანრებს რომ და-
ატარებდნენ. წარსულის სიტკბოება შო-
რეულ ცეცხლს დამსგავსებოდა, რომლის
ნათებასაც ამჩნევდა, მაგრამ ველარ ათ-
ბობდა.

მერე სალი სხვა სკოლაში გადაიყვანეს
და მის წარმოსახვაში კიდევ უფრო ლამაზი
შეიქმნა. მზის ათინათში სახე ოქროთი და-
ფარულ ნაკეთობასავით უბრწყინავდა. გა-
მოძერწილი ნაკვეთები მოვარაყებულს უგ-
ავდა, ოსტატის ნახელავს. ფიქრებით შოში-
ტა ყოველთვის მასთან იყო, მაშინაც კი,
როცა დედამისი გულაჩუყებულნი ჩასწურ-
ჩულვდა, მჯერა, რომ გამომართლებო.
ჰუმანიტარულ საგნებში მაღალ შეფასებე-
ბს იღებდა, მაგრამ მათემატიკა მითურ სა-
გნად ესახებოდა, რომლის საფუძვლიან შე-
სწავლასაც ვერასოდეს მოახერხებდა. სჯე-
ობდა, სხვა საქმით დაკავებულიყო. მეცა-
დინეობის დრო რომ არ ექნებოდა, ნიჭის

ქონა მნიშვნელობას დაკარგავდა. მისი თა-
ნატოლები სკოლის მერხიდანვე გამდიდ-
რებისკენ ისწრაფოდნენ, როგორც ფრინ-
ველთა გუნდი თბილი ქვეყნებისკენ, მას კი
სხვა მიზნები ჰქონდა. მთებში გახიზვნა ენ-
ადა, მთებში გადასახლება.

სკოლა რომ დაამთავრა, იმ ზაფხულს
დედა გარდაეცვალა და მისი ცხოვრებაც
სხვა გზით წარიმართა. შორს ისე გასწევდა
ხოლმე, გეგონება უკან დაბრუნებას აღარ
აპირებდა. ხეებს ქვითინით უმხელდა ჯავ-
რს, ავარდნილ მტვერს კი გზის ოხვრად
აღიქვამდა, თითქოს ბორბლები არ კმარო-
დეს, უსაქმურმა ხალხმა უმიზნო ყიალითა

დიმიტრი ნიკლაური

ახლა, ახლო, ან
სადმე, ოდესმე



და ხეტიალით რომ აგვიკელითო! მერე სა-
ლიც გათხოვდა და დარბაზის კარიბჭე,
სადაც ცხოვრების სიამეთა გამოფენა ენ-
ყობოდა, მისთვის სამუდამოდ გამოიხურა.
შოშიტა ვაი-ვიშს გადახვენამ გადააჩვია.
ცხოვრება მ სიფრთხილე ასწავლა, როცა
თავისი თვალით ნახა, როგორ ავროვებდა
დამსმენი მასალას ბილნი ჩანაფიქრის აღ-
სასრულელებად, ამ დროს გარინდებულ გე-
ელს როგორ წაგავდა. მახებლები ხომ
ყველაზე მაზარელ გზას ადგანან. შოშიტა-
მ ადამიანებზე გული აიყრა და მზერაც
ისეთი გაუხდა, თითქოს დიფთერია შეჰყრ-
იყო.

2

ერთ დღესაც დეპუტა მიიღო. გრიშამ,
შოშიტას ბიძად რომ ერგებოდა, რუსეთის
ზღვისპირა ქალაქიდან შემოუთვალა, აქა-
მდე როგორმე ჩამოაღწია, აქ კი მე მოგხე-
დავო. კონვერტში დანვრლებით აღწერი-
ლი მისამართი და გზის ფული იდო. შოშიტა
მართლაც ჩავიდა, თუმცა მდგომარეობა
ისეთი არ დახვდა, როგორც ელოდა. ბი-
ძამის მდარე გემოვნება ჩაცმულობაზეც
ეტყობოდა. ხალათი დასჭმუჭნოდა, უმე-
ტესად სხვენში რომ ეძინა, ხოლო ინათებდა
თუ არა, პაპიროსს აბოლებდა. აბლაბუდე-
ბში აღარც ჩანდა, თითქოს ნისლში დანთქ-
მულიყო, ჭერს კი მაინც არ ჩამოშენდდა,
ობობები დაიხობიანო. მიჭყლელილი სა-
ხე ჰქონდა. მახინჯები ხომ ჩვეულებრივ სხ-
ვებზე ავები არიან ხოლმე, ის კი სულ ხუმრ-
ობდა, უმეტესად საკუთარ თავზე, ხეპრეთა
დავრდომილ შთამომავალს მეტი არც მოე-
თხოვებო, იტყობდა. ცხოვრების გზას ტო-
რტმანით მიუყვებოდა და გულსიხრევაც ამ-
იტომ დასწმეებოდა, როგორც ზღვის ავად-
მყოფობამ იცის ხოლმე. გადასაგდებად
უვარგისი ნივთიც არ ემეტებოდა. რასაც
სხვენში წვიმა ალპობდა, სარდაფში ნესტი
აფუჭებდა. საღამოობით შინ ზოზონით ბრ-
უნდებოდა. ცოლად სლავა ქალი შეერთო,
ნადია, აბეზარი ქვრივი, წინა ქმრის ხელში
წევროზი რომ დამართოდა. ყოველ შემთხ-
ვევაში თვითონ ამას იმიზეზებდა. აქ რომ
ეგონა, უკვე იქ იყო და ვერაფერს შეასმენ-
და. მათ ოჯახში ხშირად სტუმრობდა ვინმე
იამუკა, ამ ქალის შორეული ნათესავი, იმდ-
ენად უთვისტომო რომ იყო, ყველაზე ახლ-
ობლად ეს ქვრივი ერგებოდა.

— გრიშა! არაფერს დაგიშავებ, მაგრამ
სიმართლეს კი გეტყვი. გროშისას რომ
როშავ, ყურს იმიტომაც არ გიგდებენ. თავ-
შესაქცევად ოხუნჯობ, საქმიანი კაცის კი
არაფერი გცხია. ფერმკრთალი შუბლიც
დაჭმუჭნილ ქალაქს მიგიგავს, თითქოს

ბათქაში დაგცვენოდეს! — მოძღვრავდა
იამუკა, გრიშაზე გაცილებით უმცროსი რომ
იყო. მის წინაშე ყველაზე თრთოდნენ. გრი-
შაც დათრგუნული და ყურებჩამოყრილი
უსმენდა. შმაგი ახალგაზრდობა მასაც გა-
ველო, მაგრამ შოში დასწმეებოდა და საე-
ანედ ჩრდილი მოენახა. უმჯობესს მოელო-
და და უარესი მიიღო. სკიპტარზე მეოცნ-
ებეს ცოცხი შერჩა. ყოველ სისხამზე ისე
ამოიხვნეშებდა ხოლმე, ან სული განაცხო,
ან მფოთვარედ გაიღვიძაო. მერე დაცლ-
ილ ბოთლებსა და დამტკნარ მიხაკებს ცო-
ცხით მიჰგვიდა ხოლმე ურნასთან. ზღვის
ნაპირას ლუდხანა გაემართა, მაგრამ მუშ-
ტარი თითქმის ჩამოსათვლელად ჰყავდა და
ყველაფერს თვითონვე აგვარებდა. თანამ-
შრომელი რომ დაექირავებინა, ხარჯებს
ვერ გასწვდებოდა. იხტიბარს მაინც არ
იტყვდა. რომც გაკოტრებულიყო, ფარა-
ტინა ქალაქს ისე ააფრიალებდა, გეგო-
ნება ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ქა-
რის ამოვარდნისას შვერილებზე მიბმულ
თოკებს ეჭიდებოდა, როგორც მეზღვარი
გემსართავებს, კარავი თავზე არ დამეზო-
სო. თავისას კი არ ჩიოდა, კლიენტის შე-
ნარჩუნებაზე ზრუნავდა. შოშიტასაც იმიტ-
ომ შეეხმინა, თავისიანი ახლო რომ დაე-
ვლებინა, ერთ სიკეთეს მაინც ჩავიდენო
ცხოვრებაში. თუმცა გამორჩენასაც ელო-
და. როცა მოვკვდები, ეგ დამმარხავსო,
გულუბრყვილოდ იტყობდა. ზოგიერთის-
თვის კი ნამდვილი სახე მარჯვედ მორგებუ-
ლი ნილაბია საქმის გასაჩარხად. ცნობის-
მოყვარეთა მზერას გაურბოდა, მაგრამ
ასეთები ყოველთვის მრავლად იქნებოდ-
ნენ, გულის გახეთქვამდე მეტიჩრები, ხე-
ლიდან დასხლტომად არაქათის გამოც-
ლამდე რომ ირჯებია. მერე ბამბუკის კე-
დელს მიყრდნობილი პირში პაპიროსს გა-
იჩრიდა და აბლაბუდების გარეშეც შთამ-
ბეჭდავად აბოლებდა. ტაატით მოფარფა-
ტე ბოლქვები ერთმანეთს კადრებივით ენ-
აცვლებოდა მსგავსად ძველბურთი კინო-
ლენტისა. ყოველი ნაფაზის შემდეგ კლიენ-
ტებს მისწერებოდა. ერჩივნა, საქმე ღარიბ
ხალხთან ჰქონოდა, ხელდამშვენიელი
სტუმარი იმვითად რომ ენახათ. მეამბოხ-
ეებს გულშემატკივრობდა, ბობოქარ ცხ-
ოვრებას რომ ენოვდნენ. განკითხვა ხეპრე-
თა ხელობად მიაჩნდა და მათთან არაფერი
ესაქმებოდა. მრჩეველს მათ შორის არ ეძე-
და, ცრურბრალდებლებს კი გაურბოდა და
ზედმეტად კრინტს არ ძრავდა. მთავარი
ხომ ის არის, ვინ ხარ, და არა ის, რად მიგი-
ჩნევენ. სნეულებაც ერთგვარ ნუგეშად მი-
აჩნდა, ხიბლში ღრმად რომ არ შეეტოპა,
სენი იმისთვისაა, ტანჯვა დაძლიოო. იგი
ყოფილი მეძველმანე და ვაჭარი იყო, საქო-
ნლის შესაღებზე რომ ზრუნავდა. სანყ-
ალობელ ამბებს ომახიანად აჟღერებდა,
ბუნდოვან განწყობებს კი სტენით გადმო-
სცემდა. იცოდა, ჯეროვნად მაინც არ დაა-
ფასებდნენ. თხის ბალანივით ნვეტიანი თმა
ჰქონდა, ხოლო მხრებზე იმდენი ქერტილი
ეყარა, თითქოს ნაძვეტქვეშ გამოეყლოს და
ზედ თოვლი დაჰფრთხობდეს. ლოყები გა-
მობრუყულივით ულაჟღავნებდა და ჟილე-
ტზე აწყვეტილი ლილეტიც მის უთავბოლ-
ობაზე მეტყველებდა. იმდენ ადგილას ჰქო-
ნდა ამომწვარი, წინწკლები გეგონებოდა.
ლუმელთან თუ არ ტრიალებდა, სიცივეს
მოზუზული ხვედრება და ცინგლიანივით
სრუტუნებდა. ხელში წვრილი ტოტი ეჭირა,
კოდალას ნისკარტით დახვრეტის რომ
ჰგავდა, მისგან სტივის თუ გამოთლიდი და
ტალღების წინაშე ხემივით ეპყრა, გეგონე-
ბა უხილავ თოქესტრს დირიჟორობდა. იმ-
დენად ფრთხილი იყო, გადატრუსულ ბალ-
ახეში ჩიტის შეფრთხილებასაც ამჩნევ-
და. მისი ცხოვრება არსებობის დაცინვას
ჰგავდა. როცა მოკვდებოდა, საუკეთესო
შემთხვევაში ღირებული წუნის ბედს გაი-
ზიარებდა, განცალკევებულ ნავაგსაყრე-
ლზე რომ ანადგურებენ. ათეისტთა მწირი
ნუგეში ხომ ამამდ მდგომარეობს. შავი ზღ-
ვის საპორტო ქალაქში დიდი ხნის წინ გად-
მოხვენილი იყო და მიაჩნდა, სწორადაც
მოვიქცევიო. დახშული საზღვრების ეპოქა-
ში ხომ რუსეთი იყო ევროპაცა და ამერი-
კაც. იამუკას ყურადღებით უსმენდა, რად-
გან ისეთი იყო, დედაქალაქელი ჯიბიანი-
ბიცი უფრთხოდნენ, დაცინვით დაცინვ-
ლა რომ სწევოდათ. აქეთ მომავალი ფუჭ
გეგმებს აწყობდნენ, ჟღალ წვერს იქეპავდ-
ნენ და დამხვდურებს ყურადღებით აკვირ-
დებოდნენ, ამათგან რამდენი გამოდებოდა.
ხილვებს მინდობილი თავს მიამიტად ას-
ალებდნენ, თითქოს ქოთნის ყვავილები

ყოფილიყენენ ველურ სარეველებს შორის. თუმცა ხილვები ხომ ჯადოქრებსაც აქვთ. ჯერ ხომ არ იცოდნენ, რომ აქ, ზღვისპირა ქალაქში მათზე დიდი ბლატარი დახვდებოდათ, იაშკა გონჩაროვი. როცა გადაიკვეთებოდნენ, სხვაგან გადანაცვლება მოუნევდათ თავის დასალენევად. იაშკა რამდენი წლისაც არ უნდა ყოფილიყო, ასაკს გადაცილებულს ჰგავდა. ვალის გასტუმრებას გადაგდება ერჩივნა, ხოლო გამოსარჩლებას ზერეულ საქციელად თვლიდა. ვინც თავისი ბედნიერებისთვის არ იბრძოდა, გრომებზე დაქირავებულ მემომად მიაჩნდა. როცა დევნაში იყო, თავი როგორღაც გაჰქონდა. დაძაბული ჯვალე ემოსა და ლამებს გაპარტახებულ ბინებში ათევდა, მაგრამ არ ნუნუნებდა. ნაგებს საუკეთესო მასწავლებლად აღიარებდა, კანონის დამცველები კი მის მოხელეთებას ამოდ ცდილობდნენ.

— რაიმე არ დაგრჩეს, თორემ ჯიბგირები ნაგაღვეენ! — ცოცხით შექუჩებულ ნაგაღვეე სიცილით უთითებდა იაშკა, ბებერ ავტორიტეტებს ქალაქის მათურებლად რომ დაედგინათ. თუ შეატყობდა, რომ გრიშას ხუმრობა სწყინდა, დაუყვავებდა:

— პატივს გცემ, გრიშა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემს გამოთავსებულ ნათესავს უძლებ, ბებერ ძუკანას, უქმროდ ყოფნას სიკვდილი რომ უჯობს. ცხოვრება თქვენისთანებს ერთად კრებს, სანამ დაიფანტებოდე, რადგან ფარვანებზე თხივრცის შერეული დღის სინათლეზე აღარც გამოჩნდებოდები. ყური მიგდევ, გრიშა! შენ ჯუჯებთან მეგობრობამ დაგაკნინა, თორემ გოლიათებთან შერკინება ვერაფერს გიზამდა!

ეგებ შოშიტა სწორადც მოიქცა, აღმზრდელებს რომ ჩააკითხა, მაგრამ დიდი ხნის ნამგზავრი რაღა იმ დროს დაადგა თავზე ჩემოდნით ხელში, როცა იაშკა ელვად უტყებოდა. გრიშამ ერთი შეხედვით იცნო დისპვილი, უფრო სწორად გულმა უგრძნო, ვინც იქნებოდა და მზურვალედ გადაეხვია.

— იაშკა! გაიცანი, ჩემი სისხლი და ხორცია! — გამოცოცხლდა გრიშა და როცა მოკითხვებით გული იჯერა, განაგრძო, — მინდა, მასზე ვიზრუნო. ობლად დამრჩა და აქ სასწავლებლად ჩამოვიყვანე!

გრიშამ ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, იქნებ მისი თანდასწრებით მანც შეეშვას ჩემს გაშაყრებას. იაშკა, შოშიტაზე ათიოდე წლით უფროსი რომ იქნებოდა, მდუმარედ შეჰყურებდა მათ შეხვედრას, ბოლოს კი შეაქო:

— სწორადც მოქცეულხარ, გრიშა! სოციალურ ფაკულტეტზე მოვანყოთ, ლახობას ისწავლის და ფული ბლომად ექნება!

— შენი ნათქვამი ჭკუაში მივდება, იაშკა! — თვლები აენთო გრიშას, — ბევრი არაფერი გამაჩნია, მაგრამ ამ ბავშვს გზაზე როგორმე დავაყენებ!

— ბევრი არც არაფერი დაგჭირდება. თუმცა სემესტრი დასრულებულია, მაგრამ ჭკვიანი ბიჭი ჩანს, განვილი მასალას ადვილად დამლევს! ჰოდა წავიდე, რექტორთან მე გიმუამდგომლებთ, თან ჩემს საცოლესაც გაგაცნობთ, სწორედ მანდ რომ სწავლობს.

გრიშა შეუყომანდა, იქნებ აჩქარება არ ღირდესო, თანაც ნამგზავრიაო, მაგრამ იაშკამ წასვლა დაიჟინა და იძულებული გახდნენ, გაჰყოლოდნენ. შენობა ზღვის ნაპირას აღმართათ, საზღვაო სასწავლებლის მიმდებარედ. იქ სულ ორად ორი ფაკულტეტი ფუნქციონირებდა — სოციალური და საზღვაო. ძველი ბიჭები საზღვაოზე სწავლობდნენ, არისტოკრატები კი სოციალურზე. სასწავლებლისკენ მიმავალი დამრეცი ქუჩა ქვაფენილით მოეკირწყლათ, რომლის გასწვრივაც ბლომად დანესებულები ჩაქმკრივენიყვნით. ღია ფანჯრებში გაუფლერებელი ბგერებით თუ იმსჯელებდნენ, რომლის გადაფარვასაც გრიშა ამოდ ცდილობდა უხერხული ჩახველებებით, დანესებულებებში გარყენილების ოთახები დაეფუძნებინათ, ალბათ როგორც დამატებითი მოტივაცია კარგი სწავლისთვის, შემდგომში ფული რომ ჰქონოდათ და მისი შოვნის საქიროება ეგრძოთ.

— მე ეს სასწავლებელი დავამთავრე! — მრავალმნიშვნელოვნად ჩაიციხა იაშკამ. მან შოშიტას პირადობის მოწმობა გამოართვა და რექტორის კაბინეტში სულ ათიოდე წუთი დაყო საქმის მოსაგვარება-

ლად. რექტორმა იაშკა თავადვე გამოაცინა და დიდის ამბით დაემშვიდობა დერეფანში.

— გილოცავ, შოშ! სტუდენტი ხარ! — ახარა შოშიტას. აკადემიის ეზოში რომ გადაინაცვლეს, დიდ შესვენებაზე ულამაზესი გოგონები გამოეფინნენ. მათგან ერთ-ერთი მთელ მსოფლიოში ყველაზე კმაშპა ვარსკვლავი იქნებოდა ცეცხლოვანი მიხვრა-მოხვრითა და ლაჟვარდოვანი გამოხედვით. ასე გაიცნო იაშკას საცოლე, შთამბეჭდავი ლამაზმანი ანა ბაზმანი, ცისფრთვალემა სტუდენტი სოციოლოგიის ფაკულტეტიდან, ობიექტური შეფასებით მის ადრინდელ სიყვარულზე, სალიზე, გაცილებით მასშტაბური სილამაზის რომ იყო. წარმოშობით ბაზმანები ბაგარილები ყოფილან, მაგრამ აქ დიდი ხნის წინ დამკვიდრებულან. ქერა დედოფალი ფერ-უმარილზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე სესიებზე, ხელს რომ არასდროს იწვედა, მაგრამ ლექტორები, უბადლო სილამაზის მიზეზით, ან სულაც იაშკას შიშით, მაღალ შეფასებებს აყოლებდნენ. ვისაც ანა გულში ჩავარდნოდა, ასეთები კი ბლომად იყვნენ, მასთან საქმეს თუ დაიჭერდა, შარსა და ხათაბლამში გაეხვეოდა. მანც ვერაფრით ელოდნენ და იძულებულნი ხდებოდნენ მომავალი ცხოვრება სევდისთვის მიეძღვნათ. იაშკა გონჩაროვი, თხემით ტერფამდე კანონდამრღვევი, მის მარად თავყანისმცემლად რჩებოდა. ჰოდა, სანყენ სიტყვას ვინ გაუთბედა. კომპლიმენტი თუ დასცდებოდა, მაშინვე იაშკას ედახედავდნენ, ზედმეტი ხომ არ მოგვივიდაო. იაშკა ისე გაატარებდა, თითქოს არც კი გაუგიაო, ან იქნებ სულაც სიამოვნებდა კიდევ, გულისწორს რომ უქებდნენ. სიტყვის მოზომვას ციხედ დაჩვეულებიყო, რომლის კედლებიც კარგა ხანს ესხა და ზედმეტი არაფერს იტყოდა, ნამოროშად რომ არ ჩასთვლოდა. იაშკას მოსწონდა დიდ შესვენებაზე საყვარელთან ერთად საყვავილებთან ჩავლა. ქრიზანთებებს, კამელიებსა და ედელვასებს რუქნიდა. ფულის გამორთმევას ვინ გაუბედავდა, მხოლოდ ცნობისმოყვარი მზურვით მიაცილებდნენ, როგორც სილამაზისა და ვაჟკაცობის დიდებულ შეწყვილებას. ისინიც ამაყად მიაბიჯებდნენ ქუჩაში, თითქოს მოსახვევში კეთილმოხურნენი უნდა გამოჩენილიყვნენ შესაგებებლად. იაშკა მოსვირნიგებულ ხელი გულწინწორად გაეფრთხილა და საქორწინო კაბა როდის შევარჩიოთო, დაეჩემებინა.

— რა გეჩქარება, იაშკა! ისედაც ხომ შენი ვარ, სწავლას მოვრჩები და ვიქორწინოთ!

— ჯანდაბას! ასე იყოს! ოლონდ ჯვრისწერა მანამ უნდა მოხდეს, სანამ მე მოვხვდებოდე ციხეში. ქორწილში ყველა სერიოზულ ქურდსა და პატიოსან ჯიბგირს დაეპატიჟებ, მინისტრთა ცოლების ნაქონსამკაულეებს რომ მოგიძღვიან, ყველა წესების დაცვით ნაქურდალს!

— შენ თუ ციხეში ივდები, მე ვინღა მომხედავს? — ბუზლუნი საყვედურობდა ანა, გულწრფელი ეგოიზმი მის იდუმალებას კიდევ მეტ ელფერს რომ მატებდა.

— ნუ ნალვლობ, მოგხედავებ!

— მთელი ეს დრო როგორ გავერთობი?

— არაფერი მოგაკლდება!

— რახან ასეთი საყვარელი ხარ, სარკესთან ვივადები და ერთგულად დაგელოდები! — შეჰპირდა ანა, რომანტიკულ განცდებს რომ შეეპყრო და მონყალებად გადაეხვია სახელგანთილ იაშკას.

შოშიტა კი მეცადინეობას განაგრძობდა. ცოტა ხნით თუ შეისვენებდა, ქალღმებზე ქალის პორტრეტს ხატავდა, სალისა და ანა ბაზმანს რომ ამსგავსებდა. მერე კი დახევდა, ვაითუ იაშკამ ნახოსო და ისეე წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. ფილოსოფოსთა ნააზრვეს იზუთხავდა და ურიცხვ დასკვნებს განიხილავდა. წიგნს მამინ თუ გადადებდა, მზრუნველი ხმა თუ ჩაესმებოდა, საქმელი ჭამე, ზეზეურად არ ჩამოხმეო, გრიშა მაცივარზე უთითებდა:

— თეზივც გვაქვს, ხილიც, ჯადოსნური მაცივარია, მეზღვაურისგან შევისყიდე, მოშორებაზე რომ იყო. ჯერ კარი არ ელედებდა, ახლა კი ვეღარ ვხუჯავ, მაგრამ თავის მოვალეობას მანც ასრულებს. არ მოგერიდოს, მიირთვი, რასაც იპოვი, არა მგონია, დიდხანს მოგიწიოს ძებნა!

— ხალხი მოცივდა, შია შოშიტას! — ნაუმღერა იაშკამ, პერიოდულად მათთან რომ რჩებოდა ხოლმე, მერე კი შინაურულად მიმართა:

— სწორადც იქცევი, შოშ! ერთადერთი ცხოვრება იმისთვის კი არ გვეძლევა, სხვებით აღვფრთოვანდეთ, ჩვენ თვითონვე უნდა ვიღვანოთ. თორემ გამოვა რომ, ფესსაცმელსაც ფუჭად ვცვეთო. ოქროს ქვიშას თუ დავეძებთ, აღმოსავლეთისკენ გავწიოთ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მივავნებთ, მაგრამ ყოველი დღე უსასრულობასთან დაგვაახლოებს, ჰორიზონტის ციხალს მიფუსნრებით, მზის ამოსვლა რომ ჰქვია, მეჯლისი ჩვენს ფერხთით რომ გაიმართოს. ვარსკვლავებს თუ ვერ შევხვდებით, ჩამობერტყვა გემართებს. მშვენიერი მოზაიკები მომცრო ნამსხვრევებადაც რომ იქცეს, საჩუქრებად მანც ივარგებს. ჩვენ დიად გრძობათა წინაშე ვმოქმედებთ და არა ვნებათა საამებლად. გულის ვატყნა ამიტომაც არ გვმართებს. ჟღრიალა და ჩლუნგ თუნგს ფორმა მახინჯი აქვს, მაგრამ ბროლის წარმეაც ვაზაზე გაძძლია!

მაგრამ ყოველი მისი დარიგება უკანონო სამყაროში შეტყუებას ჰგავდა. ცხოვრების სიამტკილობა როგორ არ მოსწონდა, თუმცა ხვდებოდა, რომ ამგვარი ყაიდა ფსკერის ნიშნად ივარგებდა, თუნდაც შარავანდელის ჭყეტელა ფერებით ყოფილიყო შემკული. იაშკას მოღვაწეობა ბენვის ხიდს აგონებდა, დაჩაჩხიოთ რომ დასრულდებოდა. შოშიტა პერიოდულად საქმეში გაჰყავდა. ერთხელ ნაქურდლის გადამალვაც ანდო. ისეთ მიუდგომელ ადგილებში ეხეტნენ, ველურთა თავდასხმებისა იქ ქალწულებს გადამალავდნენ. მინდვრის შუაგულში ჭაობი აღმოჩნდა, ჩანერგილი შიშის შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა. უღრანი ტყე ისეთი მივარდნილი იყო, შესაძლოა კაციჭამიებსაც გადაჰყროდნენ. შოშიტა ჭალის დანახვაზე ცოტა დამშვიდდა. ქარი სახეში მსვერს აყრდა და თვალის დახუჭვას ვერ ახსნიებდა. იმ დღიდან ცოტაოდენი ფული გაუჩნდა, მაგრამ მოსვენება დაკარგა. სანამ ხელმოცარული ცხოვრობდა, უფრო მშვიდად იყო. ერჩივნა, დრო ფუჭად არ დაეკარგა და წიგნები ეკითხა, თუნდაც მის წინაშე თვით ლამაზმანი ანა ბაზმანს ეკეკლეუცა, რომელიც ძალიან ბევრს მოსწონდა. იმათ რიცხვში იაშკაც იყო, საფრანგეთის ატაშეს შვილი, შოშიტასთან რომ მეგობრობდა. მე აქ დიდხანს არ დავრჩებიო, გაანდო ერთხელ.

— ფრანგული ისწავლე და შენც გაგხიზნავ. ოჯახით პარიზში გადავდივართ, ჩავალ თუ არა, მისამართს მოგნერ და შენს განვევაზე ვიზრუნებ. აბა, შენისთანა გონიერმა კაცმა აქ რა უნდა აკეთოს! — საშკა შოშიტას წინაშე თავს ვალში გრძობდა, საშინაო დავალებებს რომ აწერიხებდა და დაფასთან გაძახებულს კარნახობდა. თუმცა შემდგომ საქმეები სხვაგვარად წარიმართა. საშკას არაფერიც არ გამოუგზავნიდა. ალბათ ეშინოდა, იაშკას მისი მისამართი არ გაეგო. მასაც ხომ სიგეფემდე შეჰყვარებოდა ანა ბაზმანი. მის სახელსა და გვარს რომ წარმოთქვამდა, ხმოვნები და თანხმოვნები ისე უღერდნენ, როგორც ეუნებები და ზანზალაკები. ანა ბაზმანს ფარულად შოშიტაც ეტრფოდა, თუმცა ამის გამხელას გულშიც არ გაივლებდა.

იაშკას ყურამდეც მივიდა ეს ამბავი, შენს სატრფოს დიდი კაცის შვილი ჰყვარობსო, მაგრამ არც მამინ განუკითხავს ანა. მისი თავქარიანობა მოსწონდა კიდევ და კონკურენტად არავის მიიჩნევდა. არც უცდია, მის მიმართ უფრო ყურადღებებიანი გამხდარიყო. ქუდების ასროლის ჟამმა რომ მოაწია, ანა ბაზმანმა იაშკას კიდევ ერთი დღე დასტყუა პიკნიკისთვის.

— შენ ხომ დიდხელოვანი გმირი ხარ, ჩემო განგსტერი, გმოსწები ბალადებს თხზავენ შენისთანებზე! — შესცინა გულისწორს.

რა უნდა ყოფილიყო, იაშკა არ დასთანხმებოდა. ბოლო ზარის შემდეგ, მთელი ჯგუფი ქალაქგარეთ ავტობუსით გაემშურა გასართობად. მხოლოდ საშკა მეზავრობდა ცისფერი „მერსედესით“, ავტობუსს კედში რომ მისდევდა და მტვრიან ოლქორქოლოებში მძლოლი საჭეს ხველებ-ხველებით ატრიალებდა. იმდენი მოსახვევი იყო, რეაგირებას ძლივს ასწრებდა ამტვერებულ შარავნებზე. პიკნიკის ადგილი, ნაკრძალს ჰგავდა. იგი ნაპრალებით გარშემორტყმულ ტაფობს წარმოადგენდა, შუაგულში უმწვანესი ტბორით. კობედან ფსკერი ისე ჩანდა, თითქოს ამოხედვას ლამობსო. ვის ძალუქდა საშიშ ფრინველთა ბასრი წისკარტებით ნაძიგნი ნაშთების გადაჩხრეკა. მლაშობს ბრჭყვიანი გაჰ-

ქონდა, ბალახს — სიხასხასე, დღის სინათლე გამჭვირვალე ფარდავით რომ ეფინებოდა. მერე გოგონები გამოშვლდნენ და კაბები ცხელ ქვებზე მიმოყარეს, თითქოს ძონძები ყოფილიყო. მზის შუქზე ჩამოქნილი სხეულები კოცონივით აუელვარდათ, ტბორში რომ შეცვივდნენ საზანაოდ. ანა ბაზმანის ნატიფ სხეულს, ზომიერ რუჯს აღმასის სითეთრე ოდნავ რომ გაემუქებინა, ბიჭები თვალებით ჭამდნენ. „მერსედესის“ მძლოლმაც კი, მანამდე ჩვრით რომ წმენდა საქარე მინას, ჭოგრიტი მოიმარჯვა და ბორცზე შემდგარი ნერწყვებს ყლანავდა. ამ ტბორში კლიოპატრასაც რომ ებანავა, ისიც ჩრდილი აღმოჩნდებოდა. ანას მშვენიერი ტანი სიფრიფანა კაბების მიღმაც ილანდებოდა, მაგრამ ესოდენი სრულყოფილების წარმოდგენა მანც არავის შეეძლო. დროდადრო თვალებსაც ხუჭავდნენ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს მოზღვავებული ვნებების დასაცხრობად. ანა გრნობდა, რა ჭირიც სჭირდათ და მხიარული კისკისით კიდევ უფრო მეტად ალაგზნებდა მათ. როცა კვლავ შეიმოსნენ, ბუნებაში გაშლილ სუფრას მიუხსდნენ და შამპანურების ბათქა-ბუთი ატყდა. სადღეგრძელო სილამაზეს თუ შეეხებოდა, ანას მზერას არ აცილებდნენ. საშკამ მომენტი იხელთა და ფუჭერით ხელში მიუახლოვდა მას.

— საოცარი ხარ, ანა! — ხმის კანკალით ამცნო, მაგრამ ამით ახალი არაფერი უთქვამს. ცოტაოდენი რომ შესვა, გაბედულება მოემატა და ყურში ჩასწურულა:

— ალბათ გასმენია, ატაშეს შვილი რომ ვარ. მამაჩემი საფრანგეთში გაიწვიეს, საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ადგილს მეც მპირდებიან. აქ ზარბაზნებმა რომ იხუვლონ, მლაშე ქუჩებს დენთვის სურნელი გაჟვინთოს. დასავლეთში მთავრობები უკეთ ზრუნავენ, მოსახლეობას ომი რომ ააცილონ. ჭუჭმარიტი ცივილიზაციის საყოველთაო მოსავალი, რომელიც ვეროპამ მოიწია, მის ყოველ მოქალაქეს თანაბრად ეკუთვნის. რა დაგრჩენია ამ ყრუ და უკიდევანო რუსეთში, ცივ და ულმობელ ქვეყანაში? (ცოლად თუ გამომყვები, პარიზში გაცხოვრებ! ყოველ დილით ვარდის არომატს გაჰკურებ, თაფლსა და რძემი გაგზან საშხაპეში, სპილოს ძვლისა და მარმარილოს აბაზანაში, ქორწილის დღეს ბაჯლდლო ოქროს ბეჭედს მოგართმევ, ბრილიანტის თვლებით შემკულს, სათუთ ყელზე კი ფირუზითა და მარგალიტით შეტკვილ ყელსაბამს შეგაბნევ, შუაგულში აღმასის ქვით!

ანა ბაზმანი, რომლის კისკისზე ჭავლებიც კი კამკამით ლიციციცდა, უტებ შოშიტას მიუბრუნდა და მეზნებარედ ჰკითხა:

— შოშ! იაშკა ხომ შენი ნათესავია?! — აფიშირება იმისთვის თუ დასჭირდა, თავი რომ მეტად წარმოეჩინა.

— ჰო! — მოკლედ მოუჭრა შოშიტამ, რადგანაც ახსნა დაეზარა.

— თუკი თანახმა ხარ, ახლავე წავიდე!

— განწირული ხმით განაგრძობდა საშკა.

— იაშკას უფროსი? — კეკლუცად შენიშნა გოგონამ.


— რა თქმა უნდა, ვუფროსი! გულივერი ხომ არა ვარ, მასთან შებრძოლება მსურდეს! მაგრამ ჩემი სიყვარული შიშსაც აღემატება. როცა ძალიან გნყურია, წყალს პეშვებს უშვერ, განა ტოლწის მოტანას დაუტყდი?

ანას შემოთავაზება იმდენად რომანტიკულად მოეჩვენა, თვალებიც კი აუციავდა დიდი ცვლილებების მოლოდინში.

— თანახმა ვარ! — მის შემახილზე საშკას ლამის ენა ჩაუვარდა.

გყოლოდა ასეთი ლამაზი ცოლი, ეს იგივე იყო, მთელ ქვეყნიერებას აჯანყებოდი. როცა ანამ გულუბრყვილოდ ჰკითხა, საშკამ ხელი ჩაავლო და ქოშინით შეათხუხა, მავას შესახებ გზაში გაამბობო. მათ ყველას თვალწინ მიატოვეს პიკნიკი და შორიასლო მდგარ ცისფერ „მერსედესში“ ჩასკეპუნდნენ, თავდია კაბრიოლეტში, ელვის სინსრაფით რომ დაიძრა დაღმა. ანას კისკისი მანამ გაისმოდა, თვალს სანამ მიეფარებოდნენ. ეტყობა მძლოლი ნამდაუნუნ საკეში იყურებოდა და ლამის მანქანაც გადაჩეხა. შოშიტას ვერ აეხსნა, მათ ლაპარაკში რომ არ ჩაერია. იქნებ ანასთვის საუკეთესო ცხოვრება სურდა და არა გაძაღლებული, როგორიც იაშკას ხელში ელოდა.

გაგრძელება მე-12 გვერდზე



კიბა

ავტობუსში:

ავტობუსი ადრე აქამდე არ მოდიოდა, ქვევით იყო გაჩერება და ფეხით გვინევდა მოსვლა, ახლა აქამდეც მოდის, რადგან ახალი კორპუსები აშენდა ბევრი, მაშინ მიზეზად ის ჰქონდათ, რომ — სულ ერთი იდგა (ჩვენი), მაგათი ჭკუით ჩვენთვის არ ღირდა... ხდება, როცა არ გთვლიან მოქალაქედ... ჩამოვედი და კორპუსს ავხედე — მეექვსეზე, ჩემთან, ფანჯრებში, შუქი ანთია.

I სართული:

ოთხი წლის წინ, ამ დღეს, ოც რიცხვში, ანუ თებერვლის ოცში, ჩემთან მოხვედი, მაშინ გნახე პირველად, ამოყვი კიბეს, ამ კიბეს, ამ საფეხურებს, არსაიდან გამომეცხადე, როგორც მფარველი ანგელოზი... ოთხი წელია?! — ცოტა მეტვერა, რადგან წამში გავიდა, წამში. შენც მიიხედე უკან, თითქოს გუშინწინ იყო... რომ ვუფიქრდები, შენ იყავი ღმერთის ნყალობა — დიდი სიკეთე.

II სართული:

და მას შემდეგ ბევრჯერ მოსულხარ, მოგიტანია ხალისი და ბედნიერება, მძიმე ნევროზის კლანჭებიდან დასახსნელად რომ მჭირდებოდა და ეს შეძელი... სიზმარი იყო. ალბათ, ამაზე კარგ სიზმარში ველარც მოვხვდები (მწვანე კარიდან ხმა გამოდის — მეზობლის ბავშვი უსმენს ემინემს). მაღლობა შენ, სიყვარული და, თანაც — ასეთი, ცხოვრებაში ხელმეორედ რომ განმაცდევინე.

III სართული:

ართული იყო ბოლო თვეები, გადაიტანე უსაფუძვლო ტალახის სროლა, ცილისნამება, ლანძღვა, კბენა, შეურაცხყოფა... მოკლედ — რა აღარ! თქმა არ უნდა — დიდი ამბები, დიდი დრამები. ჩაიკეტე საკუთარ თავში. და საიდანაც შუქს ელოდი, იქაც სიბნელი — მხოლოდ ნყვდიადი. მერე მიხვდი — სისულელეა, მათი ტალახი რას დაგაკლებს?! ხოდა, ინათა. უფრო ინათა.

ბ

ვერ შევძელი ბევრი რაღაც და დასანანია, არ გამომდის, ყოფით ამბებში ვიყო ყოჩალი, არც არასდროს გამომდიოდა, ეს ვარ, რაცა ვარ — ძირითადად: წერა, ვარჯიში, კითხვა, ოთახი. თუმცა ახლა რაღა აზრი აქვს, ვისი ბრაღია... ზოგი რამ თუ გაცვდა, ორივე კარგად ვხედავდით... ისევ ვინყებ, უკვე დავინყე, ხოდა, მაცალე — შეიძლება სიყვარულშიც კი ერთი რესტარტი.

გ

შენს პატარა ქალაქში ახლა დიდი თოვლია, მომწერე, რომ დისპეილი გყავდა სასეირნოდ და ქუჩის თავში უშველებელი თოვლის ბაბუა იდგა, ფოტოც გადაგიღია... ისე ციოდა თურმე, დიდხანს ველარ გაჩერდით გარეთ. გავლილი ოთხი წელი გადავასხვი თავში, მთავარი — თოვლიც კი არ გვისეირნია... აქ თოვს სათუოდ — მოდის, მაგრამ ტყუილად მოდის... არი... არ არი...

IV სართული:

მხედება მეზობელი, რომელიც მოსანევადაა გამოსული. ნელა (ცოტა გამაღიზიანებლადაც კი) იცის მონევა და კიბის ბაქნის მოაჯირზე მიმაგრებულ კონსერვის ქილაში აფერფლებს ხოლმე. მინდა, დავუხსლტე, მაგრამ მამის-ტოლა კაცია და უხერხულია. მეუბნება, რომ სოფელში თურმე დიდთოვლობის გამო მისი სახლის სახურავი ჩამოინგრა, მოხუცი დედამისი, საბედნიეროდ, მეზობელთან იყო გადასული და არაფერი მოსვლია. შენუხებული ვაქნევ თავს და, ბენჯზე გადარჩენილა-მეთქი, ვეუბნები. კიდევ უნდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვემშვიდობები და გზას ვაგრძელებ.

V სართული:

უფანჯრებო ბაქნებს თავისი ღირსებები აქვთ (კიბის ბაქნებს), მითუმეტეს, თუ ქალაქს მალლიდან გადაჰყურებს კორპუსი, ხოდა, არი სავსებით საკმარისი ბაქანზე დგომა მთელი ქალაქის დასანახად. მოაჯირზე კი მწკრივად სხდებიან მტრედები და ბავშვებს ახარებთ, რადგან მაშინვე ქვებს ესვრიან... სადღაც აყვფდნენ პოლიტოკოსკაიას (უნყინარი) ქუჩის ძაღლები, შენ რომ გაშინებს.

VI სართული:

ყოველ ღამე, გამთენიისკენ, ისე ვიღვიძებ, თითქოს ვიღაც მალვიძებს, თითქოს მხარზე ხელი მკრა. შევეჩვიე, ვფიზილდები, ოღონდ თვალებს არ ვახელ. შენ, სირუმე, ჩემი ოთახი — წრედიც შეიკრა (ღამე, ფიქრი საყვარელ ქალზე — მსგავსი რაღაცით თავს ვინ იღლის?! გადასულია უკვე მოდიდან) — და ხელს ვუსვამ ლოგინის კუთხეს — იმ ერთ ნახევარს, სადაც გიყვარს ნოლა, როდესაც ჩემთან მოდიხარ.

VII სართული:

ბ სახლს გამოვცდი. ფიქრში გავერთე, ისე გავერთე, მეშვიდეზე ამოვსულვარ და უკან მომიწევს ჩაბრუნება, ჩავდივარ... ერთხელ, ცოტა ნასვამმა (სადღაც ლუდი დავლიეთ მე და გიო ლომიძემ), როცა კიბე ამოვათავე (ჩემი გამოთვლით, სადღაც, ასე, ორი წლის წინათ), სწორედ მეექვსე და მეშვიდე სართულებს შორის კენჭით (არა ვარ აზრზე, რატომ ზემოთ, ანუ აქ?) ფერმკრთალ კედელზე

ბ

მივანერე შენი სახელი, რატომ ვარჩიე ეს ადგილი?! — უცნაურია! ქვევით შემეძლო, მიმეწერა (თუმცა კარგად ჩანს ჩემი ბაქნიდან)... ვჩრდები და ვუყურებ, გულში ნელა, დამარცვლით ვიმეორებ, ვკითხულობ და ეს სამი მარცვალი, კონიაკის სამი ყლუპივით, ამ სიცივეში მათბობს... უფრო მათბობს. ვუყურებ. მგონი, ცოტათი გაფერკმრთალდნენ ასოები და ძირს ჩამოცვენილ

ა

კენჭებს შორის (ბზარიდან ცვივა) დიდი, ყველაზე დიდი კენჭი ამოვარჩიე და ასოები გავამკვეთე — გადავატარე, უფრო მკაფიოდ ჩანან ახლა, თუნდაც ცოტა ხნით, თუნდაც დროებით. როცა ისევ გამკრთალდებიან, მოვალ — მეასედ, მეათასედ გავამკვეთებ, რომ შენმა სახელმა სამი ყლუპით გამათბოს ხოლმე... ეზოს, სტადიონს წვრილად ათოვს, თოვლში ქალაქი ჩანს სანახევროდ.

VI სართული:

შენი ბინა პირველზეა და, როცა შინიდან გადიხარ, ან ბრუნდები უკან, მხოლოდ ერთხელა გინევს ჩემზე ფიქრი. აი, მე მინდა, დავუშვათ, მეხუთეზე ცხოვრობდე, ანუ — ბოლო სართულზე... ისიც მინდა, ბოლო სართულზე მეც რომ ვცხოვრობდე, თუნდაც სხვენში — იყოს, ვიქნები სხვენზეც თანახმა. ზუსტად ვიცი, ერთადერთი ვარ მთელ ამ კორპუსში, ვისაც გულით უხარია, რომ ლიფტი არა გვაქვს.

დიდი დასვენება

დ-ს სხოვნას

ბავშვობიდან ასე ვიყავი, სულ გარიყული, შენ ხომ გახსოვს, ჩემთან თამაში ჭირივით სძულდათ თანატოლებს, მამშვიდდები და თავს გაჩვენებდი მეც, რომ თითქოს დავმშვიდდი, გულში ვამბობდი: ღმერთო, სამუდამოდ დავისვენებდე, დავისვენებდე!

მერე იყო: გოგო მიყვარდა, მას სხვა უყვარდა, ცოლად გაყვა... დავიფიცე, რომ ცოლის მომყვანი არ ვიყავი, ფიცი ვერაფრით გამატეხინე, თუმცა ბევრჯერ ეცადე. გულში ვამბობდი: ღმერთო, სამუდამოდ დავისვენებდე, დავისვენებდე!

რასაც ხელი მოვკიდე ან რაც მქონდა გეგმაში, არაფერი გამომივიდა, ყველამ მისაღწევს მიაღწია... ხოლო მე დავარჩი სხვების შემყურე, ამიტომაც ვამბობდი: ღმერთო, მაღალ ღმერთო, სამუდამოდ დავისვენებდე, დავისვენებდე!

მერე იყო: ვსვამდი, ბევრს ვსვამდი, ბევრ მოსანევისაც ვენეოდი, მაგრამ ეს ტკივილს არ მიაშებდა, სულ პირიქით — უფრო და უფრო მამძიმებდა და მაგიჟებდა... ვამბობდი: ღმერთო, რა იქნება, რომ სამუდამოდ დავისვენებდე, დავისვენებდე!

დავაპირე ორჯერ... გაჩერდი მხოლოდ შენს გამო, ჩემს გარდა ხომ არავინ გყავდა... ბოლოს კი მაინც

გადავწყვიტე... მტკვარი ვარჩიე... გთხოვ, მაპატიო ეგოიზმი — ახლა რომ ვნევიარ, მსუბუქად ვნევიარ, დიდ ოთახში (მუხის კუბოში), და ვისვენებ, დე!

დედა

კარგად ვიცნობდი — უბოროტო ქალი იყო, ქმარი ადრე მოუკვდა, ბიჭი ჰყავდა, მარტომდმარტომ გაზარდა.

სკოლის ბანკეტზე, შარშან, ბიჭი ჩხუბში მოკლეს, რვაჯერ დაარტყეს დანა... გასვენების მეორე დღეს, ლოგინში ჩანვა დედა და ასე იყო, არ დგებოდა, არც ხმას იღებდა, ინვა — შვილის ფოტოს, გადიდებულს, კედელზე რომ დაუკიდეს, შესცქეროდა, შესცქეროდა, თურმე აღარ ტიროდა, მხოლოდ ასე უყურებდა... გუშინწინ, ანუ წლისთავზე, ადგა ყველას გასაკვირად, ნელა ჩაიცვა, ნელა გაემართა ჭიშკრისკენ და გაუყვა ორლობეს, ცენტრი, სოფლის ცენტრი, შორს არ არი, ცენტრში დგას ეკლესია, ის ეზოშიც არ შესულა, გარედან სთხოვა ღმერთს: ღმერთო, მომკალიო... ამის თქმა და, მოკვდა.

ხარხი

დღე არი და: თვალდახუჭული ვაკეთებ ხოლმე სიკეთეებს, რადგან ჯობია, რომ ბრმა მე ვიყო. ღამეა და: ყურდაცობილი ვლოცულობ ხოლმე ხატების წინ, რადგან ჯობია, რომ ყრუ მე ვიყო.

მატიმოჰას პრინციპი

სახლი ჰქონდა, სახლში თავისი ოთახი ჰქონდა და ოთახში მაგიდა ედგა და მის უჯრაში შავყდიანი ბლოკნოტი ედო და ის ბლოკნოტი თავისივე ლექსებით ჰქონდა სავსე, ლექსებში გული ედო, აი, გულში კი... აი, გულში კი არაფერი სდებია, როცა იმ ლექსებს წერდა.

ორი ძმა

ძმები არიან, უფროსი ძმა უბანში ზის სულ და ჯოკერს თამაშობს, ცოლი არჩენს.

უმცროსი ძმა გვერდითა კორპუსში ცხოვრობს, თვითონ არჩენს თავის ოჯახს, ერთი სიტყვით, მშვენივრად მისდის საქმე.

უფროსი ძმა ვერ იტანს, როცა, საღამოს, შინ ბრუნდება უმცროსი ძმა, სავსე პარკებით ხელში. დაღლილია, დაქანცული, ხანდახან ლუდსაც უყიდის უბნის ბიჭებს, უსაქმურებს, მისი ეს შესტი უფროსს ჭკუიდან შლის, დაუსხამენ, არ ახლებს ხელს ლუდის ჭიქას, რომც კვდებოდეს, ნამალადაც არ მოსვამს, ნავა მარკეტში და ნისიად უამრავ ლუდს მოიტანს. თვრება უფროსი და ბოლმისგან გულზე სკდება, როცა უმცროსს ორივე ხელისგული აქვს დამსკდარი შრომისგან.

ნოდო

ავტომანქანა დაეჯახა, იქვე მოკლა... იყო თერთმეტის, იყო მსუქანი და საყვარელი, პატარა ჩანთა ეკიდა სუყოველთვის, დიაბეტი სჭირდა და შიგნით ედო ინსულინი... ზოგჯერ, როცა ბავშვები (უბნის ბავშვები, ანუ მისი მეგობრები) ჩხუბს ან კინკლაობას რომ დაიწყებდნენ, ჩადგებოდა შუაში და აწყნარებდა, აწყნარებდა, ამშვიდებდა, თუ ვერ მოახერხებდა, ტიროდა და, გაბუტული ყველაზე, შინ მიდოდა და კარგა ხანს არ ჩნდებოდა... გუშინ დაკრძალეს — კუბო, პატარა და განიერი, სახლიდან როცა გაჰქონდათ, უკან მიჰყვებენ კლასელები, ერთმა — ჩემი კეთილი ბუთქუნაო — მიატირა, გოგონამ.

მანღარინის ყუთები

ორლობეში ჩამოვივლიდა, საკუთარ თავთან ლაპარაკში ისე გართული, ირგვლივ ვერავის ვერ ამჩნევდა. სანყალს შვილი ჰყავს და კარგული — ჩურჩულეზდნენ მეზობლები და შემწყნარებლურად პატიობდნენ უსაღმოდ ჩავლას, იმასაც, მთლად რომ ნორმალური ვერ იყო, მე კი მთელი ბავშვობა

მეგონა, რომ ასეირნებდა შვილს სადღაც პარკში და დაკარგა, ხოდა, მას შემდეგ ვერ პოულობდა. სოხუმიდან იყო დევნილი, ოჯახთან ერთად ბაგა-ბაღში ცხოვრობდა, ტყუილი გოგონა ჰყავდა, გოგონები ჩემზე ცოტათი უფროსნი იყვნენ. იქ, სოხუმში, მასწავლებელი ყოფილა, თურმე

ასწავლიდა მათემატიკას. ხოლო ჩვენთან კი სულ სხვა საქმეს მოჰქიდა ხელი: ტელევიზორის ხელოსნობით არჩენდა ოჯახს. ჩვენს სახლშიც იყო ერთი-ორჯერ — ჩვენი „რეკორდი“ შეაკეთა და მამაჩემთან ცოტა დალია. შემოსასვლელში ნაცრისფერი მისი პიჯაკი ეკიდა, გულზე

მრგვალი ფოტო ებნია — ჩემზე ბევრად უმცროსი და ნითური ბიჭი მიმზერდა, ვიფიქრე, ალბათ, დაკარგული ბავშვია-მეთქი... მოკლედ, ხელობა მართლა კარგად იცოდა, მაგრამ საკუთარ თავთან ლაპარაკში გართული ზოგჯერ ვერავის ირგვლივ ვერ ამჩნევდა, სანაყალს შვილი ჰყავს დაკარგული —

ჩურჩულებდნენ მეზობლები და შემწყნარებლურად პატიობდნენ უსალმოდ ჩაველას, იმასაც, მთლად რომ ნორმალური ვერ იყო, მე კი მთელი ბავშვობა მეგონა, რომ ასეირნებდა შვილს სადღაც პარკში და დაკარგა, ხოდა, მას შემდეგ ვერ პოულობდა. როცა ცოტა წამოვიზარდე, მერე გავიგე:

თურმე მაშინ, ომის დროს, მის სახლს ჭურვი დაეცა, ბიჭი მოკვდა... სხვები გადარჩნენ... და სანამ ქალაქს დატოვებდნენ, სახელდახელო კუბო შექცედა მანდარინის ყუთებისგან და ბიჭი დამარხა სახლის უკან თავისი ხელით... ზოგჯერ უსალმოდ ჩაივლიდა... ლაპარაკობდა... ლაპარაკობდა...

ქალი ქალსკამზე, ბზის ბუჩქებში

პური ვიყიდე, თონის პური, თბილი იყო. შინისკენ გამოვუყევი, მოვდიოდი, ნერწყვს ვყლაპავდი, თავი ძლივს შევიკავე, რომ ყუა არ წამეტეხა... ბზის ბუჩქთან მომესმა: „— ცოტა მომიტეხე...“ — მივიხედე, იჯდა ძელსკამზე ქალი, მთვრალი იყო,

უფრო სწორედ — ნასვამი, ორმოცზე მეტის იქნებოდა, ტატუ ჰქონდა მკლავზე, არაფრით ჰგავდა უსახლკაროს... მოვუტეხე, მივეცი, საოცრად ფრთხილად გამომართვა, დაყნოსა და ლოყა

მიაღო, როგორც ჩვილ ბავშვს.

უკვე ვერც მამჩნევდა, რაღაცას (თვალდაუჭული) ჩურჩულებდა, გადაწყვიტე, მთელი პური მიმეცა, მაგრამ მივხვდი, არ შიოდა — თავისი თავისთვის სურდა დამტკიცება, რომ ის იყო ჯერაც ადამიანი, კიდევ — იმის, რომ ამ ქვეყნად ჯერ კიდევ არის ხალხი, ვინც პურის ყუას უწილადებს უცნობს... თავისთავს უთხრა, თითქოს, ესეც:



„— ორი დღეა, ციხიდან გამოვედი და ვერ გავიგე ვერაფერი, სად ვარ...“

ღურგალი

კუბო უნდა წამოგველო და მივედით ღამით, მისი შვილი შემოგვეგება, თვითონ კი იჯდა თავის მოზრდილ სახელოსნოში, გველოდებოდა. ლაქემშემრალი კუბო სკამებზე იდო და, გვერდით, თავსახური იყო კედელზე აყუდებული. იჯდა, ხელში ათამაშებდა თეთრი ატლასის ნაჭერს, ანუ კუბოს სარჩულის მონარჩენს. ხელზე

(კონკრეტულად — მარცხენა ხელზე) თითები აკლდა (სამი თითი) — სმა უყვარს, ხოდა, მთვრალმა დაკარგა სხვადასხვა დროს... სახელდახელო სუფრასთან, იქვე, დაზგაზე რომ ჰქონდა გაშლილი, მიგვიპატიჟა. ჯერ თვითონ თქვა მიცვალებულის მოსაგონარი, მერე ჩვენ ვთქვი... სახელოსნოდან გასული შუქი ეცემოდა დაფნარის კუთხეს — ზუსტად იმ ადგილს,

სადაც არი მისი თითების სამმო საფლავი...



თვალეები „გამიფუჭდა“ — ღამის ურჩხულებივით გამოვკვეტი მინებში.

როული ასახსნელია, როგორ ვხედავ კანის ქვეშ, როცა კანს ზემოთ მინის გალია მჭირდება.

როგორ ვხედავ უსულო ადამიანებში სულს, როგორ ვაჯერებ მათ, რომ ის მშვენიერია.

ბიჭს, რომელიც მომწონდა, ღამაზი ცხვირი აქვს, ეს მანამ ვერ შევამჩნიე, სანამ მომწონდა.

ყველაფერი საინტერესო კანქვეშ ხდება, კანქვეშ დულს ან იყინება ადამიანი. დანადარტყმული კაცისგან სისხლი ყველაზე ცოტაა, რაც მოდის.

იარებიდან ყვავილებიც შეიძლება ამოიზარდოს, თუმცა მანამდე სიმშვიდე, იმედი, ბრაზი ან ტკივილი უწინავეს.

გააჩნია, ჩვენს თვალებს რისი დანახვა სურს ან შეუძლია. სიმშვიდე ერთადერთია, რასაც მინაში ვერ გამოამწყვდევ, მას შეუძლია, სულის ყველა

აფეთქება მშვენიერებად აქციოს. კანზე ზემოთ რაც არის, სისულელეა, ადამიანები კანქვეშ ცხოვრობენ და მე მათ ვხედავ, „გაფუჭებული“ თვალეებით.

რვაფხა

კენტ დღეებში ვძლებ, ლუნ დღეებში ვცხოვრობ და ვყვები, როგორ ვძლებ.

ყვეები — ის ისმენს, აი, ურთიერთობის უმაღლესი ფორმაც.

ხვალ მოყვები, კანის ქვეშ როგორ მეზრდება იასამნები, როცა ის მისმენს.

შემდეგ წავალთ ჩვენ ჩვენი და სხვადასხვა გზით, სანამ კიდურებზე ტკივილის თვალეები არ ამომეზრდება, რომლებიც მას დაუნყებენ ძებნას.

ისევე ვეტყვი, დავიშალე ჭიანჭველების სახლივით. ხელებიდან

ფიჭვის ხეები მეზრდება, ველარ ვწერ. ბევრს ვუთხარი —

„ახლავე მოვალ“ და არ მივედი. თვალეები მტკივა, მოგონებები ქინძისთავებივით მერჭობა, როცა ვხუჭავ. ის მპასუხობს, რომ ნორმალური ვარ,

რაც ნიშნავს სიმშვიდეს, შემდეგ ნგრევამდე. უბრალოდ იასამნები დამიჭკნა კანქვეშ...

„ნიშნავს ბავშვია“ — ამბობდა პაპა, მარცხენა თვალის უპეზე მიუთითებდა, სადაც მუქი ლურჯი კაპილარი მაქვს.

ზოგჯერ ძალიან მენვის თვალის უპეები, თითქოს უნდა გასკდეს და დავისვენო. შემდეგ სხვა „ნიშნავს“ გოგონები გავიცანი,

ზოგს თამბაქო ჰქონდა ჩამწვარი კანზე, ზოგს საკუთარი ფრჩხილით ნატკენი ხელისგულები. ზოგი საკუთარ დაბადების დღეზე მოკლეს.

რამდენია საჭირო?! რა დროში ვხვდებით, რომ მოვკვდით... ალბათ მაშინ, როცა ჩვენს სიყვარულს წყვეტენ, ან მაშინ, როცა საერთოდ არც იწყებენ ჩვენს სიყვარულს.

მიტოვებული კვერცხებივით ვიზარებით, შემდეგ მკვდრები ვიბადებით საკუთარი ნიშნებით.

არასდროს მიყვარდა თოჯინების თეატრი, დამალული ადამიანი, თავისი ხელით,

რომელიც თოჯინის დადების შემდეგ ვინმეს სტკენდა, თოჯინა კი უსულოდ იწვა შემდეგ წარმოდგენამდე.

ყველა ნიშანი უნდა ვაპატიოთ თავს, რომელიც დაგვადეს, წარმოდგენიდან წარმოდგენამდე არავინ მოვა...

თუ როდისმე დაბრუნდა და გკითხა: „რას აკეთებ“? უთხარი, რომ ცრემლების შებრუნებას სწავლობ.

სულში აბრუნებ მათ, რომ ნაცრად იქცეს. უთხარი, რომ აღარ გაქვს, რისთვისაც დაბრუნდა, ხელები ოკეანის ნიჟარად გექცა, ის დაიჯერებს — ყრუა.

უთხარი, რომ როცა გეხუტება, კანში თებერვალს გრძნობ. შემდეგ წავა, მიხვდება, რომ სახლი დაკარგა...

შემდეგ შენც წადი, ამოიღე სულიდან ცრემლები და იტირე შენი ხელები, რომელიც მკვდარ ფრინველს გიგავს, მისი ჩახუტება ძვირფასი პალტოსავით შეინახე.

მაშინ ამოიღე და ჩაიცვი, შიშველი რომ იქნები. ასე ვერავინ გაიგებს, რომ სახლი არა გაქვს.

როდისმე დაბრუნდება და გკითხავს: „როგორ ხარ“? შენ უთხარი, რომ მას უხდება უფრო მარტივი...

შემდეგ გაუშვი იმ მარტივთან, ვინც ვერასოდეს დაინახავს, კანქვეშ რა ხდება.

და არაფერი აღარ უთხრა... თუნდაც დაბრუნდეს...

წანამებ, წანვიმარ დაქანცულ ფოთლებში ჩურჩული: სად არის... სად არის... სად არის.

წასვლას და დარჩენას ერთმანეთს ადარებ, ადარდებ — არავის.

ჰო, შეიძლება ვერ გაიგო, რატომ მიყვარხარ, ზღვებსაც არ ესმით, რა საჭიროა კალაპოტები...

ყველა იმ ქალზე, სადაც გძინავს, ოდნავ მეტი ვარ, ერთი ჯვარით და ერთი პოეტით...

მიხო მოსულიშვილი

მაკალე კარტასენა დე ინდიასში

ერთი ამბავი მომავალი რომანიდან „მოგზაურთა და უგზაურთათვის“



დასაწყისი N349

ბაკანო — ¡Qué chévere!

მეორე დღე კაი ხნის გათენებულია უკვე და მაკარიომ გაამზადა დილის ბრეკფესტი — ექვსი არეპა დე ვევოთი, ანანასი, მწვანე მანგო, ფორთოხლის წვენი და ყავა. ზედაც — ტოსტერის პურები და ყველი.

აქ კედლებზე დარბიან ნაცრისფერი პატარა ხვლიკები და რომ ვსაუზმობდით, მაკარიომ უცებ დაინახა ერთი მათგანი, კედელ-კედელ ეპარებოდა თითქოს და ისე ნამოხტა, რომ კინალამ ზედ გადაისხა ყავა, გადმობრუნებულად ჩაცმულ თეთრ მაისურზე.

მე კიდევ ხელზე მიკეთია ევფროსინა მარაიტუს ნაჩუქარი ფერადი სამაჯური და ვფიქრობ, ამ კოლონიისგან დაკბენილ ფეხებზე შორტები როგორ ჩავიცვა, რას ვემგვანები...

მერე გამოვედით და კიდევ გავიარეთ. ძველი ქალაქი კოლონიალურ სტილშია აგებული, თავისი განიერკედლებიანი ციხე-სიმაგრითა და რამდენიმე ასეული წლის ხანდაზმულობის ფერად-ფერადი სახლებით, მეჩვიდმეტე საუკუნის ესპანეთში რომ იდგა, სწორედ ისეთებით.

გეთსემანის უბანიც იქვეა, ძველ ქალაქთან. სულ ყვევლებით მოთხრობილი სახლებშია ჩაფლული, საიდანაც სალცას მუსიკა ისმის. აქვეა ცნობილი კაფე „ჰავანა“, იქაც შევიარეთ და ქუჩებში უამრავი კედლის ნახატები ვათვალიერეთ, გრაფიტს რომ ეძახიან.

ვიყავით დიდ ეკლესიაში, ესაა კარტახენა დე ინდიასის კათედრალური ტაძარი, წმინდა ეკატერინე ალექსანდრიელის სახელობის სამიტროპოლიტო კათედრალური ბაზილიკა. მერე შევედით სან დომინგოს ეკლესიაში, რომელიც აშენდა მეთექვსმეტე საუკუნეში, მისი კანონიკური სახელწოდებაა „წმინდა დანიელის მონასტერი“. მეცხრამეტე საუკუნემდე ამ ეკლესიას პატრონობდნენ დომინიკანელი ბერები. შემდეგ ეს შენობა გადაეცა კარტახენას ეპარქიას, აქ იყო სემინარია, კოლეჯი, მერე კი ნატიფ ხელოვნებათა ინსტიტუტი. ბოლო ხანს აღადგინეს.

ეკლესიაში რომ შევედით, მღვდელი ქადაგებდა ლათინურად და იყვნენ მორწმუნეები ცოტა, აქა-იქ. გრძელი მერხები იდგა და სადაც ფეხები ხვდებოდა დაჯდომისას, იქ იყო გრძლად გადაებული ფიცარი, ზემოდან გადაკრული ტყავით და რბილი. მეთქი, ეს ფეხების დასაწყობი რად უნდოდათ ეგეთ რბილი. მერე მაკარიო მოვიდა და, — აილე ახლავე ფეხები, მანო, აქ იჩოქებენ ხოლმე ლოცვისასო...

და მეთქი — ¡Qué chévere!

წამოო, ლა ბოკილიაშიც მოვძებნოთო — მაკარიო ამბობს და ეს ლა ბოკილია ჩრდილოეთითაა ძველი ქალაქიდან, თხუთმე-

ტი წუთის სავალზე და პლაჟის გასწვრივ, ლარიბების მოფხავებული სახლებით და მეთქი — მე იქ წამომსვლელი არა ვარ, ბიჯო და შენ წადი, თუ არ დაიშლი. ლარიბების უბანია ეგ და, აი, მითხარი, იქ რომელი გეტყვის, ემელიანო სადაა?

ვიარეთ მერე კიდევ და ერთგან, ტროტუარის შემადლებულ საფეხურზე სულ შავებში ჩაცმული შავი კაცი იჯდა გარინდებით, ხელში ანკესი ეჭირა, ოლონდ იმ ანკესზე ნაჭრისგან შეკერილი შავი თევზი იყო წამოცმული. შავი მეთევზე შავი თევზით და შავი სომბრეროთი, ზედაც გრძელი ცხვირით — კარიბულ გრაკლს ჰგავდა... ძალიან მაგარი სანახავი იყო და მეთქი, გადავუღებ და ჩიკოს გავუგზავნი, მაგრამ — ეგ შავი კაცი გადაღებამი ფულის ითხოვსო — მაკარიომ მითხრა — და თუ არ წამომყვები იმ ტურში, ჩემს ფეხებს მოგცემო. მე კიდევ მაგ დროს პესოები აღარ მქონდა ჯიბეში და ვეღარ გადავუღე.

მერე გავივით ძველ საზღვაო პორტში, სადაც იდგა ჯერ ძველბურთი იალქნიანი გალერა და უკანა ფონზე სხვა, თანამედროვე გემებიც მოჩანდა. აქეთ, პორტში აშენებულია ძველი ციხე-სიმაგრის კედელი, საიდანაც დიდი და პატარა ზარბაზნები გადაჰყურებს გემებს და პორტს. იქ მე და მაკარიომ გადავიღეთ სურათები და ვის აღარ ვკითხეთ, მაგრამ ტაქსისტი ემილიო იქაც არავის ენახა.

აეროპორტში ხომ არ დაგვხვდა, მეორე დღეა, მოზილზეც ვერ ვურეკავ და გადავავადო, მე მაგის დედა-დედეები რომ ავაცურებო, — წარბებს იკრავდა და მხრებსაც ეუთანაბროდ იჩქავდა გაკვირებული მაკარიო.

მერე სიმონ ბოლივარის სკვერში მივედით, სადაც არის სიმონ ბოლივარის მუზეუმი, მაგრამ შესასვლელის დარაჯმა გვითხრა, — დღეს მაშინ გაიღება, როცა დირექტორი მოვაო. როდის მოვაო, — ვკითხე და, — თხუთმეტ წუთშიო. ვიდექით სკვერში, ვუყურებდით სიმონ ბოლივარის ცხენზე ამხედრებულ ქანდაკებას. ამასობაში მოდიოდნენ და მოდიოდნენ რაღაც-რუ-ღაცების გამყიდველები და, — „აქუა, აქუა, კოკა-კოლა“ — ეს წველების გამყიდველი ყვიროდა.

ბროშების გამყიდველი დიდი დაფით მოვიდა. „გრასი, ნო“ — უნდა უთხრა და ნავა.

ისე ჩალიჩობენ ამ გაყიდვებზე, რომ უკვე განუხებენ და ნერვებს გიშლიან. და დაფრინავენ გრძელწიწკარტა, შავი ჩიტები — კარიბული გრაკლი The Carib grackle (Quiscalus lugubris) ჰქვია ამ შავ ფრინველს და ესე იძახის — tickita-tickita-tickita-ting ანდა მოკლედ ესე — chi-chi-chi-chi, ანდა უფრო სწორედ ცოტა განელილად — „კიი-კი, კიი-კი!“ — ამასობაში რამდენიმე თხუთმეტი წუთი

გავიდა, მაინც არ გაილო მუზეუმი და მეთქი, ამისი დირექტორი ნაღდად ქართველია და განბილებული წამოვდით ბოლივარის სკვერიდან.

მაკარიომ თქვა, — წამო, დავისვენოთ და კარიბის ზღვას ვუყუროთ სევდიანი ფიქრების და ტოტო დე მომპოსინას სიმღერების თანხლებით — მოზილში აქვს ჩანერილი იმისი სიმღერები და მართლა მაგარი მომღერალია, მოუსმინე აუცილებლად.

ტაქსით გავედით კარტახენას შემოსასვლელში. მანდ დიდი და ფერადი ასოებით წერია CARTAGENA. ჩამოვედით ტაქსიდან და პოლიციის მანქანებია, დამცავ ჭრელ ლენტს აბამენ და იქით კიდევ ერთი ლამპიონის რკინის ძელზე აშენ მანქანა მიყენებული და ხსნიან თოქს, რომელზეც ვილაცა ჩამომხრჩვალა ჰკიდა.

მეთქი, ვახ, შენი... იმ სიმაღლეზე თოქი როგორ დაკიდა... მოკლედ, ცუდ დროს მოვედით, მაკარიო და ვეღარც კარიბის ზღვის თვალიერება გამოგვივა უკვე და ვეღარც ტოტო დე მომპოსინას სიმღერების მოსმენა, თავისი სევდიანი ფიქრებით...

მიდგა-მოდგა ეს მაკარიო და სანამ სასწრაფო მანქანით წაიყვანდნენ მიცვალებულს, ვილაც-ვილაცებს დაელაპარაკა და დაბრუნდა დამარებული — მშვიდობით, ჩემო რვაასო-დეტოროო.

რა იყო მეთქი? ტაქსისტი ემელიანო არის ჩამოხრჩობილიო...

კარიბის ზღვიდან უბერავდა ქარი და მოაგორებდა თეთრად აქაფებულ ტალღებს. ვიდექით ვერე, ერთმანეთს მიჩერებულეები, ქარის ზუზუნში და ტალღების ზუზუნ-ტყლაშუნში.

კიკვივით მორბენალი შავი ჩიტები, კარიბული გრაკლები შესძახებენ — „კიი-კი! კიი-კი!“ — დარბოდნენ მახლობლად და ცდილობენ, რამე მოეპარათ მიტოვებული შუბლოვებიდან: პურის ნამცეცი, ნაყინი თუ ხილი... რადგან პლაჟზე ვინც იყო, ყველა ჩამოხრჩობილის ლამპიონთან იყო მისული და სასწრაფო დახმარების მანქანას მისჩერებოდა, ჩართული სირენებით რომ მიდიოდა სანაპიროს ტრასაზე.

მერე ძლივს გავაჩერეთ ტაქსი, რომ ჩვენს სასტუმროში დავბრუნებულყავით...

ევფროსინა მარიატუ როზაიო ნოსი

ორმოც წელს არცთუ ისე გადაცილებული ვარ და შარშანდღამე არავინ მყვარებია, სულ არავინ. მოწონება იყო, ენებია-ნი გატაცებაც იყო, მაგრამ წამდელი სიყვარული არ ვიცოდი, რა იყო.

და რომ მოჰყვებოდა ხოლმე ლათაიებს, რომ სიყვარული არის სათნოება, ყველა ადამიანური სიკეთე, თანაგრძობა და ერთგულებათ — სულ ტყუილია ეს ყველაფერი.

სიყვარული სიგიჟეა, ადიდებული და შენთან მოვარდნილი მდინარეა, რომ წაგლეკავს... წაგლეკავს და ჭკუიდან გადაგიყვანს...

შარშან გამაცნო მაკარიომ ეს გრინგო, ბაკანო — ¡Qué chévere! და მაშინვე შემომჩვილა — უთხარი რამეო, ამდენი ფული გადავიხადე და კუნძულ როსარიოზე იახტით რომ სექს-ტური იმართება, ოცდაათქალიანი, იქ არ მომდევსო.

რა გინდა, ბიჯო, აბა, როდის გთხოვე წაყვანა, როდისო?

და მეთქი — მისმინე, შე ახვარო კაჩაკო — მაკარიოს ვუთხარი — თუ გინდა, რომ ამ უიკენდზე ამ აზიზ-მაზიზი გრინგოს მაგვირად ჩემი ბარის მცველი ბალთაზარი წამოგყვეს, მაშინ იმის მაგივრად ამ ჩემი ბარის მცველად ეგ el bastardo უნდა დადგეს, სერხიო ბენკოს ალზანტესთან ერთად და ფრთხილად იყოს თანაც, რადგან სერხიო ბენკოსი ძველისძველი სიკარიოა.

სერხიო ვიცი, მედეჯინში იყო, მაგრამ ესეც მაგარი ნომარია და კაპიტნის ნოდებაც აქვსო — კაჩაკო მეუბნება.

მაგდენი სად იომა-მეთქი?

დედამინის მეორე მხარეს, რაღაც-რუ-ღაცა ადგილობრივ ომებში — ეცინება — და თან რუსების წინააღმდეგ და ამ ჩვენს KGB ბარში რომ წაიყვანე, ფერნანდეს დე მადრიდის მოედანთან, მეგონა, გაუხარდებოდა და იქ პროფილების ცნობილი ნახატი დაინახა — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის — და კინალამ გადაირია, ძლივს გამოვიყვანეთ ოთხმა კაცმა და მაგ ბარის აფეთქებით იშურება ისევო...

კარგია, თუ კულის მოქნევა ციცი-მეთქი — გაუტყინე მეც — და სერხიო ბენკოსი გაარკვევს, სადამდე იქნევს მაგ თავის კუდს და ეგ კუდი მართლა თავისია თუ არა...

მოკლედ, ეს გრინგო მცველად დადგა, ბალთაზარი კიდევ მაკარიოს გაყვა და უიკენდის ბოლოსკენ, კვირა საღამოს ბარში გავიარე, რომ აბა, ერთი რა ხდება, ჩემი ახალი მცველი რას შვრება და ხომ არ შემოაკვდა უკვე სერხიო ბენკოსს...

შევედი ბარში და რას ვხედავ, დახლთან სხედან ეგ გრინგო და ჩემი სიკარიო, სულ დაჭრილ-დაღუნელები, გრინგოს მკლავი აქვს დაბინტული და კისერზე ბინტი-სვე საკიდით ჩამოკიდებული, ამ სერხიოს კიდევ მარჯვენა თვალი მურტლად აქვს ჩალურჯებული და სახის მარცხენა მხარეს კაი ოთხკვანდიანი ნაკერი ადევს, დანით ნამუშევარს ჰგავს. ჰოდა, სხედან ეგრე, წინ რომი უდგათ და იტალიური „ბერეტას“ სადღეგრძელოს სვამენ, ძალიან მაგარი პისტოლეტიაო.

და მეთქი, ეხლა სმის დროა თუ მუშაობის, თქვე bastardos და მიდი, მეც ჩამომისხით... და „ბერეტას“ კი არა, წამდვილ სიყვარულს გაუმარჯოს...

არავინ იცის, წამდვილი სიყვარული რა არისო — გრინგო ამბობს და სერხიოც თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.

წამდვილი სიყვარული ის არის, რასაც მაპალე გავარკვევს-მეთქი.

ცეკვაა ეგ მაპალე და მაგაზე ამბობსო — სერხიო უხსნის და ის კიდევ მხრებს იჩეჩავს მხოლოდ და უხმოდ სვამს, დაუჯერებლობის ღიმილს მალავს წვრილი ტურების კუთხეებში.

და მეთქი — აი, მაგ გველურ ღიმილს უკან მაშინ წაიღებ, el bastardo, როცა ჩემს სოფელში წამოხვალ და მაპალეს ისწავლი. ამ ცეკვის დასახელება „მაპალე“ არის ერთი თევზიდან, რომელსაც ასევე ჰქვია: „ზღვის ლოქო მაპალე“...

მოცეკვავდი მთელ თავის ხერხიანობას და ძალას ხარჯავს, ლამის ტანსაცმლიდან ამოხტეს. ცდილობს, თეძოები და მხრები სწორად ამოდროს. ამ ცეკვის დროს სხეულის მოძრაობა ძალიან სწრაფია, რომ კაცი მოცეკვავე დოლებს და დაფაფების ხმას სრულად აწყვეს და განასახიეროს საბედისწეროდ ასხმარტალეული თევზი, რომელიც ნაპირზეა ამოგდებული და ამ დროს კი ქალი უნდა წარმოადგენდეს დინჯად მღელვარე ზღვას...

და ყველაზე მთავარი მომენტი მაშინაა ამ ცეკვაში, როცა თევზ-კაცი გარინდებული აგდია და ზემოდან ზღვამ უნდა გადაუაროს, ანუ ქალმა და ისე უნდა გადაუაროს, რომ ფეხი არ დაადგას, დატყეპილი მოძრაობებითა და თავისებური თრთოლით, ხელებისა და ფეხების, მთელი სხეულის აჟრიამულებული მოძრაობებით...

ხომ მიხვდი? აი, ესაა მაპალე! და მაგრად გადაუვლი თუ არა, სწორედ მანდ ჩანს

და აი, ეგაა ნამდვილი სიყვარული, სხვა კი არაფერი...

მთელი ერთი კვირა ვიყავით მე და ეგ პალენკე დე სან ბაზილიოში და მაპალეს ვასწავლიდი.

არ გამოდგა ცუდი მოცეკვავე და თითქოს მიხვდა რაღაცას...

არადა, ეს ახვარი კაჩაკო, ეს მაკარიო გუშინ მოდის და მეუბნება, რომ სენიორა ანტონიას ეკუთვნის ბაკანო — ¡Qué chévere!-ო, რადგან, თურმე, სწორედ ანტონიამ ჩამოიყვანა ბარსელონიდან სამი წლის წინ და ტყუილად პრეტენზიები არ მქონდეს...

ბაკანო — ¡Qué chévere!

La Palenquera Club House Gastrobar — აი, ასეთი ღამის დაწესებულებაა ჩვენი სასტუმროს პირდაპირ, სულ დაშვებული ფარდებით. წინ უდგათ ორი ფორმიანი დაცვის მუშაკი, ბალთაზარი და სერხიო. ორივენი არიან სულ ფხიზლად და ქუჩაში ჩამოვლილ ყველა ძალს თუ მამაძალს იცნობენ. მუშტის მუშტზე მორტყმით ხვდებიან ხოლმე ნაცნობებს.

ამ პალენკერა კლუბთან იკრიბებიან: დამტარებლები მხარზე გადაებული ყუთებით, სადაც უწყვიტო სიგარეტის კოლოფები და შოკოლადები. ეჭვად მაქვს, რომ რაღაც ტაბლეტებიც, პარკებით კოკაინიც და ტუსიც აქვთ ჩუმად. პოლიციის მოტოციკლი რომ ჩამოივლის, სასწრაფოდ დაიშლებიან ხოლმე.

ესენი ტრიალებენ აქ ათი-თორმეტი მაინც.

არიან ამვლელ-ჩამვლელები — ცოტაცოტა ტურისტები, წყვილად და მარტოდ და ბევრი მოვარდები.

დადიან ერთცხენიანი ეტლებით ტურისტების გამასეირნებელი მეეტლეები.

გადი-გამოდანი ხილის და წველების დამტარებლები.

გაივლიან ხოლმე პოლიციელებიც — მოტოციკლით, ორ-ორნი თითო მოტოციკლზე.

ახლა ჩამოიარა ერთცხენიანმა ეტლმა, შიგ იჯდა ერთი ძალად გაღიმებული, თავმოებურებული მსუქანი და სათვალისანი ტურისტი. ეტლის ასასვლელზე ჩაჭიდებული იყო ორი შავი რეპერი, რიგ-რიგობით ურეპავდნენ ესპანურად და მათთან ერთად ფეხით მისდევდა ეტლს მესამე რეპერიც.

შუალამისას გამოიძინა ქალებიც. ყველანაირი ფერის და ფორმის. ლამაზებიც და ულამაზოებიც. დონ ჩუჩო პერესმა მითხრა, ვენესუელიდან აქ გადმოვიდა ბევრი, იქ ძალიან დიდი გაჭირვება და უბედურება ტრიალებს...

კაცებიდან ზოგი ამ გოგონების მიმხედავიც არის — ჟიგოლო თუ სუტენიორი, ანუ პროსტიტუტი რომ მართავს და ფულს უყოფს, მფარველობის სანაცვლოდ...

მერე ამ პალენკერა ბარის შესასვლელთან უცებ მოვარდა ყვითელი ტაქსი და ვილაც ქერა და მსუქანი გოგო, უტრუსიკო, ხელში აყვანილი, სანახევროდ შეიტანა ტაქსიში ახალგაზრდა ბიჭმა. მერე მერე მხრიდან საბოლოოდ შეათრია გოგო, თავადაც ჩაჯდა და გავარდა ეს ტაქსი.

გავარდა ეს ტაქსი და გაიყვანეს ხალხი და შეიკეტნენ დაცვიანად, ჩაკეტეს კარი.

და ჩაირთო სირენები, მოვარდა პოლიცია მოტოციკლით და სირენების უფრო გულისწამლები და მონოტონური წივილკივილით.

სულ გაიკრიფნენ ყველანი, მხოლოდ სირენების ხმა ისმოდა და პოლიციელები დადიოდნენ. ასევე იშვიათი გამვლელები. მანამდე კი ისეთ მძიმე დისკოს უკრავდნენ და ისე ხმამაღლა, რომ ტვინი გვაქვს ყველას წაღებული ახლო-მახლოს და შორსაც.

და პოლიციელები რომ ნავიდნენ თავიანთი ორთვლიანი მოტოციკლის შუქების ციმციმით და სირენის ხმაც შორს მიიკარგა, ევფროსინა მარიატუ გამოვიდა ბარიდან, ორ-ორად, სამ-სამად და ცალკეც მოსულ და ჩამომდგარ ქალებს უყურებდა ერთხანს უაზროდ, ძუძუებზე წასმული საგანგებო მაზებით რომ გამოსულიყვნენ ქუჩაში, რომ კარგად აპრიალეობათ მკერდი. ეტყობა, თან ეწინოდა, ის გათიშული გოგო რომ გამოასვენეს, ვინმემ ხომ არ გადაულო ვიდო და არ მიჩვილოსო.

მე კიდევ სანთებელა გამივარდა ხელიდან, ქვაფენილზე დაეცა, ახტა, დახტა და ზუსტად ევფროსინა მარიატუს ფეხებთან მირაკუნდა. იმან ჯერ სანთებელა აიღო და მერეა ამოიხედა მაღლა, აივანზე გადმო-

მდგარი და გარინდებული დამინახა, პირში ჩადებული სიგარით — უხ, შე el bastardo-ო! — და სანთებელა მესროლა.

ეს ნასროლი სანთებელა ჰაერშივე დავიჭირე, სიგარას მოვუკიდე და, მეთქი — მუჩას გრასიას, პალენკერების დედოფალო!..

სიმონ ბოლივარის მოედანზე აქაური თეატრის დასი გამოდის ხვალ საღამოს და მაპალეს იცეკვებს, მერე სხვებსაც შეგვეძლება ცეკვა და ისევ გახსოვს, მე რაც პალენკე დე სან ბაზილიოში გასწავლე თუ აღარო?..

ევფროსინა მარიატუ როზაიო ნოსი

მაპალე გაჩნდა, როგორც მეთევზეების სიმღერა და ცეკვა. როგორღაც ხომ უნდა დაესვენათ საღამოობით, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ.

ეს ცეკვა დაიბადა კოლუმბიის სანაპიროზე და იმ აფრიკელებმა მოიგონეს, მონებით ვაჭრობის მსხვერპლნი რომ გახდნენ და კოლუმბიაში აღმოჩნდნენ, ძირითადად კონგოდან და ანგოლადან. მათ შეძლეს გაჰქცეოდნენ თავიანთ გამტაცებლებს, დააარსეს თემები მოშორებულ ადგილებში, ისეთებში, როგორცაა პალენკე დე სან ბაზილიო.

მაპალე იმთავითვე შეიტანეს წყნარი ოკეანის თემებშიც — კოლუმბიიდან პანამამდე, პერუს და ეკვადორის ჩათვლით.

ითვლება, რომ სამუშაო სიმღერაა მაპალე და სრულდება ლამით, დოლებს და დაფდაფებს — იამაროს და კიტამბრეს აკომპანემენტით, ხელის გულების ტაშითა და სიმღერით. დიდი სენიორა ტოტო დე მომპოსინაც ხომ მღერის სასწაულად...

ამ ცეკვას ძლიერი და დახვეწილი მოძრაობები აქვს, სხეული უნდა მოგყვებოდეს და გიჯერებდეს, რომ კარგად ამოძრაო ყველაფერი...

კაცებიც როგორ არა, მაგრამ ქალები უფრო წარმტაცად და ეროტიკულად გამოდიან ხოლმე.

მოცეკვავეები მოძრაობენ სწრაფად და ძლიერად, მოკლე ნახიჯებით, მერე მინაზე ეცემიან, ზემოთ ხტებიან, ხელებს ასწვენენ, აცახცახებენ მხრებს და თეძოებს, დოლების და დაფდაფების რიტმს მიჰყვებიან.

და ეს ცეკვა, თუ მართლა ცეკვაა და არა სულელური ნმანენა, ეს ორმხრივი ვნება ქალსა და კაცს შორის, თანდათან მიდის და უახლოვდება იმ უკიდურეს და მოუხელთებელ ზღვარს, განათებულს ზეციური ნათელით, როცა სიყვარული და სიკვდილი ერთი და იგივე ხდება. და როცა სიკვდილი სიყვარულია და სიყვარული კიდევ — სიკვდილი...

აი, ეს ცეკვა ვასწავლე ამ el bastardo გრინგოს და ისე ისწავლა, რომ ზოგჯერ აქაურებსაც კი ჰგავს...

დონ ჩუჩო პერესი, სიზარის მაღაზია „ლა კაპვას“ მენატრონა

საიდან ხარ, სენიორ კაპიტანო, ვერ გავიგე მაინც... კავკასიიდან და, ესე იგი, ეგ სად არის? რუსეთშია? არა? აბა, თურქეთში? სადაა? აჰა, უკრაინის მეზობლად ხართ? ძალიან კარგი მაშინ, ძალიან კარგი მოდი, ჯერ ეს ერთი სირჩა „დიქტადორი“ დამილიე, ეს სიგარაც ინებე და „ჩამპეტაზე“ მერე მოგიყვები.

ჰო, სენიორ კაპიტანო, ჩვენ გაგვიმარჯოს ჯერ და შევევით...

ახლა კი მოგიყვები, ისე როგორ მოხდა, რომ ეს ჩამპეტა ჯერ დანა იყო და მერე ცეკვა გახდა...

Champetúo — ეს დამამცირებელი სახელია, კარტახენას საზოგადოების უმაღლესმა კლასმა შეარქვა იმ აფრიკელების შთამომავლებს, ღარიბულ რაიონებში რომ ცხოვრობდნენ. ეს აფრიკელები ატარებდნენ დანებს, რომელსაც ისინი ბანტუს ენაზე უწოდებდნენ champeta-ს.

ჩამპეტა მაჩეთილაა, მომცრო მაჩეთე — მოკლე, გაღუნული, მაიმუნის მოსაკლავი დანაა, ტრადიციულად გამოიყენებოდა სამზარეულოში, სოფლის სამუშაოებზე, ხშირი მცენარეებით დაფარულ ადგილებზე გზის გასაკვლევადა.

ჩამპეტა ჰქონდათ თევზის ვაჭრებს, ქუჩის გამყიდველებს და ვის აღარ, თან ერთმანეთშიც ჩხუბობდნენ ხოლმე ამ ჩამპეტა დანებით...

და ჩამპეტათი ბრძოლის ყველაზე დიდი

პროფესიონალები იყვნენ კარტახენას ღარიბულ უბნებში...

მერე კი სახელწოდება „ჩამპეტა“ 1980-იანი წლებიდან კარიბის სანაპიროზე საცეკვაო და სასიმღერო სტილად იქცა. ეს სტილი განვითარდა უფრო ადრეული, 1970-იანი წლების სტილიდან „ჩალუსონგა“, რომელიც წარმოიშვა პალენკე დე სან ბაზილიოში.

კარტახენა დე ინდიასში, ცენტენარიოს პარკის მახლობლად, არის ერთი ადგილი „ბაზურტო სოსიალ კლუბი“, სადაც სხვადასხვა ჯგუფები ცოცხლად ცეკვავენ ჩამპეტას.

ჩამპეტა დანის საუკეთესო მომხმარებელი კაცი, აქ რომ ნახე და შენ რომ იცნობ უკვე...

ჰო, ბენკოს სერხიო ალზანტე, პალენკეროა ეგ კაცი...

მაკარიო ანხელ პეპერი

პლაზა დე ბოლივარზე მოცეკვავე ევფროსინა მარიატუ, მწვანე თვალებიანი პალენკერა, როგორც ბაკანო ამბობს ხოლმე, თვალეში რომ ლურჯი მერცხლები დაუფრინავენ ხოლმე — აქამდე ყვითელ ქვედაბოლოში დამალულ ჩამპეტას გააძრობს და მასთან მოცეკვავე ბაკანო — ¡Qué chévere!-ს, მედეჯინში საიდანღაც ჩამოსულ ვილაცა ოხერს, ყოფილ კაპიტანს, რომელიც წელზემთ შიშველია და მხოლოდ ნითელი შარვალი აცვია, ტოტებზე ყვითელი და კუნკუნა არშიებით, შიგ გულში უმარჯვებს...

მერე ფილაქანზე დაცემულ და საკუთარ სისხლში აფართხალებულ პარტნიორს რომ დაინახავს, ევფროსინა მარიატუ ჩამპეტას მაღლა შემართავს და მშობლიურ პალენკეროზე შეუძახებს მოშორებით ჩამომდგარ ბენკოს სერხიო ალზანტეს, ვისაც ჩამპეტა დანის მოხმარება უსწავლებია მისთვის: Toabía í á se bailá!

სერხიო ბენკოს ალზანტე სწრაფად მიდის ევფროსინა მარიატუსთან, სისხლიან ჩამპეტას გამოართმევს, ჯიბეში ინახავს და ყველას გასაგონად ყვირის — ვილაცა ნიღბიანმა დაარტყა დანა და ვინ იყო, არ ვიცით არავინ! და თუ ვინმემ მაინც იცის, ჩემთან ექნება საქმე! — და სანამ პოლიცია მოსულა, სისხლით მოსვრილი ქალი სასწრაფოდ გაჰყავს ბოლივარის მოედნიდან.

ევფროსინა მარიატუ როზაიო ნოსი

სან ფელიპე დე ბარახას ციხე-სიმაგრის ძირში, სცენასავით მორკალულ პიედესტალზე მოქანდაკე ტიტო ლომბანას გაკეთებული ძველი, თასმებიანი და ყელიანი ფეხსაცმელი სკულპტურაა, და ყელზე ფეხსაცმელი სწორად დგას და მარჯვენა კიდევ — ნაქცულია.

ეს ქანდაკება შექმნილია კოლუმბიელი პოეტის, ლუის კარლოს El Tuerto ლოპესის, ანუ „ცალთვალას“ პატივსაცემად, რომელიც თავის ლექსში Ami Ciudad Nativa („ჩემი მშობლიური ქალაქი“) ქალაქ კარტახენას აღარებს ძველ ფეხსაცმელებს, რომლებიც გიყვარს და ვერ შელევიხარ...

ჰოდა, ეს ყელიანი ფეხსაცმელები ჩემი ქალაქის სიმბოლოა და აქ უამრავი ჩამოსული იღებს ხოლმე ფოტოებს, და სანამ ისინი მოსულან, მარცხენა ფეხსაცმელში ჩავდივარ, ვჯდები და მარტო ცას ვხედავ მაღლა, იმის ვრცელ სილურჯეს თეთრად განელილი ნისლი ურევია აქა-იქ...

ღმერთო, შენ ხომ ყველაფერი იცი, ისიც იცი, როგორი ცა დამახვედრო და ისიც, სანამ მოქანდაკე ტიტო ლომბანა ნარკოკარტელის საქმეების გაკეთებას დაიწყებდა არიზონას შტატში, მერე დაიჭერდნენ კიდევ და ეგრე დაიღუპავდა თავს, იმისი გაკეთებული ეს ფეხსაცმელების ქანდაკება გადაარჩინე და აქ დაადგევიინე და მერე, იმის ძმას, ჰექტორს, ისიც მაგარი მოქანდაკე იყო, ცხონებული, ბრინჯაოში ჩამოსხმევიინე სამარადისოდ... გთხოვ, მეც მიშველე...

სერხიო პეპოს ალზანტე

ევფროსინა მარიატუ, ვიცი, ფეხსაცმელში ზიხარ და გამომხედე, რაღაც უნდა გითხრა-მეთქი — ვეძახი.

არ იყურება, მაგრამ უკვე ვიცი, რომ გაფაციცებული მისმენს — მე ხომ ტყუილად არ მოვიდოდი...

და მეთქი — დონ ჩუჩო პერესმა დამიჩეკა — ჩემმა დისშვილმა, რამოსმა გაუკე-

თა ოპერაციო და ის გრინგო გადარჩებოა.

ევფროსინა მარიატუ სასწრაფოდ ამოხტება ფეხსაცმლიდან და მეკითხება, — გადარჩებო? მართლა გადარჩებო?

მეთქი, ჰო, მართლა. შენ რომ ჩამპეტა დაარტყი, ნეკნზე აცურდა და გულს ასცადა, თურმე...

მართლა ამბობო? მართლაო?

ჰოო-მეთქი, ევფროსინა მარიატუ, შენ ოღონდ დამშვიდდი და, ჰო! — ვეუბნები გაჯავრებული და ვეკითხები — ახლა რა ვქნა, ნავიდე და საბოლოოდ მივხედო მაგ გრინგოს თუ არა?!

შენ ფრთხილად, სერხიო, აქეთ არ მოგხედოსო.

და მეთქი — ვიცი, კარგი მეომარია და თან ძალიან გამიჭირდება, მეგობარია უკვე ღამის, მაგრამ მე მაინც ვეცდები...

შენ იმას ეცადე, რომ ბალთაზარი მართლადარ დატოვო ნუხანდელოვით და მისახედს მე თავად მივხედავო — ბრაზით მეუბნება და ცდილობს, სიხარული არ შეეცაცყო...

ევფროსინა მარიატუ როზაიო ნოსი

ჰოდა, ღმერთო-მეთქი, რა გაუძლებს ამ ვარდისფერ დილას, ამ მოლულუნე მტრედებს, ამ კაჯე დელ კოლგოს ამდენ ამელელ-ჩამვლელს, მთელ ამ ისტორიული ცენტრს, ამ კარტახენა დე ინდიასს, მთელ ამ კოლუმბიას და იქით აფრიკაში ბანტუსი ხალხს, ტამტამებზე დამკვრელი კაცებითა და თავზე წყლის დოქებში მოდგმული და ფერად-ფერად კაბებიანი და მძივებიან-საყურებიანი ქალებით, მთელ ამ ბნელ-ნათელ, ცრუ და ყრუ, ვერაგ სამყაროს რა გაუძლებს-მეთქი, უშენოდ რაღა გაუძლებს-მეთქი, ბაკანო — ¡Qué chévere!.. გრინგო ხარ, გრინგო არა ხარ, ვინა ხარ, ბოლო-ბოლო, ვეღარ გავიგე... და ნეტავ სინამდვილეში რა გქვია იმ მენი კავკასიის მთებიდან... სამყაროს მეორე მხარეზე...

ჰო, მთელ ამ ბნელ-ნათელ, ცრუ და ყრუ, ვერაგ სამყაროს რა გაუძლებს-მეთქი, უშენოდ რაღა გაუძლებს...

ახლა კი ვიცი, რაც გაუძლებს, მე და შენ რომ პალენკე დე სან ბაზილიოში წავალთ და მაპალეს ვიცეკვებთ, ის გაუძლებს, ბაკანო, რადგან ეს სიყვარულია — ველური და ნამდვილი, უსიტყვო და მაპალესავით გიჟური, სამუდამო და უსასრულო...

და მოდი, იცი, რას ვიზამ, el bastardo? რას და, მართლა რომ გადარჩე, „მამაო ჩვენოს“ ვიტყვი პალენკეროზე:

Tatá suto lo ke ta riba sielo, santifikaro sendá nombre sí, miní a reino sí, asé ño boluntá sí, af tiela kumo a sielo. Nda suto agué pan ri to ma ría, peddona ma fata suto, asina kumo suto a se peddoná, lo ke se fatá suto. Nu rejá sujo kaí andí tentación nu, librá suto ri má. Amén.

მერე ამოვალ ამ ფეხსაცმლიდან და მაპალეს ვიცეკვებ მარტო, ამ ფეხსაცმელებს ის წინ, მომრგვალებულ პიედესტალზე...

სწორედ იმ მაპალეს, რომელსაც დიდი სენიორა ტოტო დე მომპოსინა მღერის ვიცეკვებ მხოლოდ შენთვის, ისე ვიცეკვებ, რომ სულ ლურჯი მერცხლები ამომიფრინდნენ მწვანე თვალებიდან, როგორც შენ გიყვარს ხოლმე თქმა და შენ კიდევ სულ „¡Qué chévere!“ იძახიო...

შე მართლა el bastardo შენ...

! Toabía í á se bailá — პალენკეროზე: „მე კი ისევე ჩვეულებრივ ვეცეკვებ“.



გამოყენებულია ავტორის ფოტოები



გიორგი ბალახაშვილი

მარტი სიმღერა არის, ბოშური, როგორ ვმღეროდით, მახსოვს, უწინაც, როცა სამყაროს ვცნობდით ნახევრად, ქვეყანა იყო ცალმხრივად კარგი, სუფთა ფურცელი. უნაკლო ქარგა, ბურთითაც მინებს ხშირად ვამსხვრევდით. გვესმოდა წყველა-კრულვა, ქოქოლა, მუქარა — ბურთის დაჭრის. შერისხვა, გავიზარდეთ და რიყის ქვებისგან მოგონებების ჭა ამოვქოლეთ... ახლა კი, მივდევთ ყოფის რუტინას, სახლი. ტრანსპორტი. ბანკის კრედიტი. ირგვლივ უსივრცო მასა — კრეტინთა. მორალს გვიკითხავს თითო უტყინო თვითრწმუნებულის მანდატის მქონე ან გამგებელი — რაიმე ოლქის, რომლის დამქაშსაც უჭირავს ქოლგა, რომ არ დასველდეს მისი ბატონი. მე არ მჭირდება ქოლგის დამჭერი, ქოლგას ვინ ჩივის, არავის ვიჭერ. „ბედნიერების მოთმენის ნიჭი“ — მაღლობელი ვარ, ესეც დავწერე...

მატროში (21/03/23)

„პოეზია კი ჩემი აზრით არის აკვანი, სადაც პოეტი ნებისმიერ ასაკში წვება“... სულხან ნულუკიძე

სულხანს

პოეზიაა უეცარი ხელის ქავილი. არ იცი რას წერ. გეწერება. რალაც იქნება. მეტიც, ეს ლექსი უსათუოდ გაინიგნება. არტისტულია გაზაფხულზე ყველა ყვავილი და შლეგი წვიმაც, რომ აადენს მინას — ოხშივარს, აატალახებს თუმცა მტვრიან, უნომრო ქუჩებს. პოეზიაა — მარტის ქარი, ბავშვით ურჩი, ხან ჩვილის სუნთქვის შესაშური, მშვიდი სიხშირე. პოეზიაა — ზედაპირის ხილული სიღრმე ან უხილავი, მაგრამ პირველს მიჯობს მეორე... ერთმნიშვნელოვნად პრაქტიკაა, რადგან თეორიების დრო მოკვდა. მეფეების სიზმრების მიღმა. პოეზიაა ყველაფერი, რაც უწინ იყო არაფერია. გექავება ხელი და წერე. წერე უშარფოდ. უბერეტოდ და უცილინდროდ.

გადაკითვა

რა დამლელია ბოდიალი, მარტო — მეტროში, თვალწინ ჩამივლის დღე — უშენოდ ნავაქცინები, როცა მე ვზივარ უარაფრო, ყოვლად უგროშო და მეცინება დღეზე, რომელიც მილია, როგორც წინადადე, გულიც ვატკინე ალბათ ვინმეს, უაზროდ დავგმე, შენი კოცნისთვის ბრძოლა დავთმე, თუმცა გავინაღდე აპრილის დღეგმა... ვიხილე ძილი ბუნების და გამოლეიძება, ნამარტალ დღეთა უმწეობა ფონზე აპრილის; აკვედუკები, დოლოროსა, მზე და წინვები, მთვარე — კაპრალი, ღრუბელთ კაპელა, ლაჟვარდი და პარტიტურები, მსურს, ყველა სალამს გათენებას შენთან ვატანდე და ეს სალამოც თავისთავად გაიტურება, მორჩა, გათავდა.

MYSOPHOBIA

სინამდვილეში — მიზოფობია შემიპყრო. ვფიქრობდი, რომ თუ შეგეხებოდი, გაჭუჭყიანდებოდი. კანს დავაბინძურებდით. რეზინის ხელთათმანები... მიმებრუნებოდა მოვარდით ხელისგულები — ერთი მეორეს. მთელი ღამე ვიყურებოდი ერთმანეთის თვალების მიღმა, მზერის ფსკერიდან — სულის ზედაპირის ნახვის იმედად. მსუბუქი იყო უმძიმესი ხელუხლებლობა, ანდაც პირიქით...

რილკე

დილიდან შეგითრევს თარგმანი „მაგის“, ნახევრად მძინარე — მიდისარ რილკესთან,

გვირილა

დღეს ჩემს გვირილებს ისე სწყუროდათ სიცოცხლე. სიო. წყალი. ლარნაკი. მინდორიც როგორ ჰგავდა სუროგატ დედას, რომელსაც დიდი მარაგი ჰქონდა გვირილის ფურცლის, ღეროთა, მე, როგორც ქარმა, ისე გავრისკე მათი მოწყვეტა. მახსოვს, ვმღეროდი და იხრებოდა ღერო — ქარისკენ და, როცა გაწყდა მათი კავშირი და, როცა ჩქამი ქანციც გამიწყდა, მე, როგორც ქარი, ისე დავმშვიდდი, მე, როგორც ქარი, მაგრამ სამინე, მაგრამ აშარი და ურცხვი ქარი, მიწასთან კავშირგანწყვეტილ ღერებს — ვაბნევედი შენი სასახლის კართან და შენ ისმენდი — ქარის სიმღერას.

საპარჯიშოები

დილისკენ იაბო აბალახე და შემოიხვიე ყაბალახი. იცეკვე ქარაბზა — ქარებში. მცირედი მიზეზის გარეშე. ხემსისთვის ღვინო თუ გინდა, სპილენძის ძველი თუნგიდან დაისხი და ღმერთი ადიდე, ხეებმა განაგრძონ პა-დე-დე. დატოვე სადილი. სამხარი. არ მისცე სამხილი — სამყაროს, რომელიც უმიზნოდ ხარხარებს, რომელიც ჩირივით გამხმარა და წრეზე ტრიალებს, რა ხანი, იცეკვე. დაბარე. მოთოხნე. ფორთოხლით აივსე ხახალი, ხახალი — აივსე ფორთოხლით. ღამით კი იაბო მიაბი და ერთი იამბი უამბე, მიეცი მსხალი და უნაბი, ხანდახან უმსგავსოდ უნებოს. შეეშვი ყოველგვარ ცდუნებას, შეეშვი. შეეშვი. დანებდი. სამყარო ისედაც ხუნდება, გრინვიჩით. გრძედებით. განედით. კიტოთი. ლიმათი. ლა-პასით. დღეების გაკარაკასებით. ბებერი პროფილით. ანფასით, რომელიც არ გალამაზდება...

ოღის მცდელობა

როგორც პოეტმა და დიდმა მაგმა, ჯერ არშობილი სიტყვებისგან — ოღის დაწერა განვიზრახე. პირველი სიტყვა, რომელიც არ იშვა, იყო „გათვალისწინება“, თუმცა ყველა „გათვალისწინებას“ ეძახდა, არადა, მხოლოდ ერთი ასო იყო შესაცვლელი. (გავითვალისწინოთ, სამომავლოდ) მეორე სიტყვა, მკვდრადშობილი, გახლდათ: „შრეტილი“. ყველაფერი, რაც ვერ გავითვალისწინეთ —

შრეტილად იქცა. შემალამდა მესამე სიტყვაზე ფიქრში და ვთქვი საჩემოდ, „ჩამომწუხრებაც“ კარგი იქნებოდა... ოღა არადა, მინიმა აენყო, თუ ჰაიკუ, ან, როგორც არის: „ჩამომწუხრებამდე რაც ვერ გავითვალისწინეთ, დაიშრეტი“.

აპარგება

უნდა მიაფურთხო ერთხელაც ყველაფერს. ადგე და ნახვიდე სიზმრებიდანაც, წარმოიდგინე, იქიდანაც მოგინევეს აიბარგო. მაღაზიაში ვალი გაასწორო. ალარასოდეს გახსნა აირბავიც კი. ვალი — ჯანდაბას. შაურიანი გინდა გქონდეს, გინდაც გახვრიტე. მიაგდე წიგნებიც. ნუ იფიქრებ. დაწვი ჰიუგოს „საბრალონი“, ბრუნო შენცალე. არ დაწვა. ბერნმა დედამინამ იტრიალოს... „DANZKA“ გაიყოლე, თერმოსადაც გამოდგება — ლიტრიანი. 2-3 ლერი სიგარეტიც გეგდოს, ვთქვათ, ლურჯი „SOBRANIE“. ჯაგრისად — არათითიც გამოდგება, სხვაგან რომ რჩებოდი, იმავე პრინციპით იმოქმედე ან ФИГ С НИМ, აილე ჯაგრისიც, პლეერი დატენე. გაიჯიბე, მაგრამ არ უსმინო მიკ ჯაგერს. მტვერი გადანმინდე მამის გახუნებულ, შინდისფერ ჩემოდანს. სიმი ამოიღე მობილურის. გამორთე. ბანჯოს სიმები გადააწყე. წყენა დაივინყე. დიდი საქმეა. პატარა კაცთა სინდრომები — ალთას შეატოვე. ბალთასაც, ბატონო. მიუშვი ანდრომედას. ნასვლამდე მტკვარი ნახე. თისელიდან. ან უკეთესი. აწყურდიდან.

უსიზმრობა

ალარაფერი დავირჩინე, ორი, სამი ჩაყრა დარიჩინი, ყვითელგულიანი გვირილების კეთილსურნელება — ყვრიმალეტან. დილამ მოატანა უკითხავად, რა ვქნა, მომეშველე, თუკი თხევად სიზმარს გამომატკლის სასთუმლიდან დილა — უტიფარი. გაურთულდა ახლა უჩემობა — გათენებას. ხიდისთავიდან. ატენიდან. სანამ უსიზმრობას მომისჯიდა. ნისლში ჩაძირული გორიჯვრიდან.

ბადენიარების მოთმენის ნიჭი

ოთარ ჭილაძეს

ვის გაუგია მარტი — უწვიმოდ? მარტი — წვიმების ჭრელი ბროშურა.

რუტინას ანაცვლებ და იმის მაგიერ ყავა მოადულო ან ვთქვათ, წაიხემსო — უკიდებ სიგარეტს. არც ყავა, არც ჩაი, არც ხემსი. უბრალოდ რილკესთან ჩერდები. არადა, თამბაქოც ზნეა და ქაჩვაა. წყალსაც კი არ უცვლილ მოწყენილ გერბერებს — ხრუსტალის ვაზაში და თვითონ „ხრუსტალიც“, რა მძაფრი სიტყვაა, ღმერთმანი, „ბროლივით“ ფაქიზად განარჩევს — სწავლულს და უსწავლელს, ტირანს და დემოკრატს, კასტროს და ბოლივარს. რილკესთან მივბრუნდეთ. ჩვენ დიდი სიკვდილი გვაქვს ყველას საერთო, ფოთლებს და ნაჭურჭლებს, რომ უკვე დალილი და ღონემიხილი — ბრინჯივით დაბნეულ სიტყვას ძლივს აქურჩებ, უკიდებ ახალ ღერს და წინა აბზაცის ხმა და სიმსუბუქე, თან სიღრმე გაფიქრებს, ხანდახან კარგია, როდესაც ზარმაცობ, ხანდახან კარგია, რაღაცაც გაგიქრეს, რომ ისევ იპოვო და ძებნის პროცესი — გაგრძელდეს თარგმანში, შეჩერდე რილკესთან, მტვერი მოაშორე უცხელეს პროცესორს, ყავა მოადულო ან ვთქვათ, წაიხემსო...

SWEET NOVEMBER?

რა კარგი იყო შავი თუთებით მოთხვრილი შენი სუსტი ხელები... მიზეზებს როდი ვასახელებდით ერთურთის ნახვის, სუნი — უთიბი, მწვანე ბალახის, როგორ გვზაფრავდა, ვიდრე ბალახი გადიქცა თივად, ვიდრე ითმენდა მოცეკვის ტკივილს, ვიდრე მორიგდა იმ ცივ ზამთართან, რომელიც ბოლო ნოემბერს მიყვა, უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს, ხელები ცივი გქონდა, ღმერთმანი, მახსოვს, ბოლომდე ვერა ვთქვი: „მიყვა“, სიტყვა — კოცნაზე ადრე შემინყდა, როცა თვალები მორცხვად დახარე, უარის ნიშნად, რაღაც სხვაგვარი უარის ნიშნად, მაშინ ერთი წყრთა თუ იქნებოდა ჩვენს შორის, ალბათ, ან შესაძლოა წყრთაზე ნაკლებიც... ელოდნენ გამველე მოპედს — ძაღლები, რომ შეეყვანათ და დიდის ამბით, გაჰკიდებოდნენ ქუჩის კუთხემდე წერილის ანდა შაურმის მიმტანს, მაშინ ვიფიქრე პირველად, იმ წამს, ვინ იცის, იქნებ ლოდინს ვუფრთხოვდით — გარინდულ ძაღლებს და მე წავედი, მერე შენც წადი და იდგა ბოლო შემოდგომის დღე. ნოემბრის სოლოს უკანასკნელი ტერცის ხავერდი...

აქატი

შენი ქვები და ზარდახშები და ისევ შენი მარაოები. ამაოება. ქოშინი. ქშენა. მუდმივი კითხვა: თუ გადავრჩებით? მითხარი მაინც, როგორ მოვრიგდეთ, ვიდრე იმედის ძაფიც გამინყდა და დედამინა — ლაბრადორიტი, შეეგებება კიდევ ერთ აისს. ლოდინის რთველი, ნეტავ აქამდე, უერთმანეთოდ როგორ გავძელით? მორყეულია ყველა საბძელი, მხოლოდ აქატი დაგვირჩა მრთელი...

დიღეა 2

ვინ დაასველებს სიტყვას საშენოდ, რომც გამოგიჩნდეს ათასი ასლი, იქნებ, დარჩენა უფრო გაშინებს, რადგანაც წასვლა — სულ შეიძლება, გაჩენის დღიდან, ნამდვილად ვიცი, დუმილზე მენდე, რა ოვაცია ან ჰეფი-ენდი, ყოველთვის მლლიდა ბედთან ჭიდილი, როგორც იაკობს, თავად ვიყავი სიზიფეს ლოდიც, ქრისტეს მონაფე. პერანგი. ბოდე. ცისკრის ციაგი ბეთლემის ცაზე — პირმშო მთიების, მე გახლდით ღვარძლში — იფქლის გარჩევა. სულერთი იყო წასვლა. დარჩენაც. რომელიღაცას მაპატიებდი...

ნარცისთა

ნარცისთა უზადო სიყვითლე, საჭირო სიტყვების დამარცვლა, მე — ათას მოკითხვას გითვლიდი, სულ ერთი ღიმილის სანაცვლოდ. ვიხდიდი უვადო ხარკივით ლექსებსაც, იქნება ჯილდოსთან ახლოს ვარ. დღეები მიმქონდა. დღეებსაც მიყვავდი. გამტკვირეს. ვფიქრობდი, რით აღარ მომბეზრდა, ამდენი ლოდინი, ხარკის ხდა, ტკივილად გადამიხარისხდა, ყოველი მარცვალი — სონეტთა, ჩამიქრა ვარსკვლავი მარჩბივის, ვინ იცის, დამასწრეს მოწყვეტა, წერაც ლოდინივით მომწყინდა და ბოლოს დუმილი ვარჩიე...

იელთა

ახლა უადვილოა საუბარი სარტრიზე. კამიუზე. ჰესეზეც. ნუ წაშლი ჩემს სმს-სს: არაფერი მოხდება, უმწვანესი შარტრეზით, თითო ღერი სიგარით, ამ ერთხელაც მივექართ! წრეზე დავეტრიალდებით, ისე მეიოლება მოთმინება — მუზეუმის. სიტყვის დამორჩილება. აპრილამდე დაგიცდის ქარი — მევიოლინე. მაისს აეტუზება, ფრთამტვრიანი ჩრჩილებით. ნასვამობას მივანერ სისულელეს — ათასგვარს, თავის მოკატუნებას, მონატრების შელოცვას. საკუთარი ჩრდილივით მზე ჩეროში გადავსვი, სამჯერ დავაკაკუნე ნიფლაზე. შენ როცა შეამჩნიე პირველად ახალშობილ იელთა უეცარი სიყვითლე, როდოდენდროს გვარიდან. უმწვანესი შარტრეზიც წამში დაცარიელდა, გეამბორე მითვლემილს, ოთახიდან გავედი...

სიტყვაში

დაივიწყებენ სიტყვები ბრუნვას, გამოიცვლიან ზნეს და ხასიათს, შეწყდება ღამის მუზიციერება და პოეზიაც მოკვდება ჩემში, უმოდრაობის სიმძაფრე შემშლის, ამ სტატიკაში — მუზის ძიება, ველარ გაგიშლი ლექსის პასიანსს, უუნრფელესი, ბავშვური ზრუნვით, ველარც ოპერას მოუუსმენთ, ანი, მოზრდილებივით, უწინდებურად, ესეც გაივლის, როგორც ანშლაგი, ლორნეტების და ფრაკების გამო, დავნვათ აფიშა, პროსპექტზე გამო, დავნვათ აფიშა, უნდა გავშმაგდეთ, სიდნის ნაცვლად შეგვრჩეს მელბურნი, დავნვათ ოპერა, სანამდე არ წვიმს, მივეუახლოვდეთ, თან ვუთვალთვალოთ — აფიშების და სიტყვების კოცონს, სანამ ტექსტები იქცევა ფერფლის სინონიმებად: ნაცრად და ავლად. წვიმიან სიტყვებს მოვუნყო გვალვა, რაც უკვე ითქვა, ან უფრო ვერ ვთქვით, რაც არ მოგვწონდა, ახლა კი, მოგვწონს, აურაცხელი და უთვალავი...

მოთოვს

მახსოვს, მითხარი თუ გამჭორესო, ვიდარდებ არრას, წყალმა წაიღოს ჭორებიანად ყველა მსტოვარი. მზერა კი გქონდა — უგამჭოლესი, თებერვლის ქარის, ყინვაც რა უხვად მორევიო ამინდს — მთოვარის. ჭადარმა დარდად ფიქრი ამხილა, ფოთოლმცვივანმა, ბოლო ფოთლები ქარმა ახვეტოს, შავ-თეთრი ფოტოც. მონატრებაა. სიცვივა. სუსხი — იმხელა. ხმა — გამკვივანი. ყურს ნუ ათხოვებ შარახვეტიებს. ამაღამ მოთოვს.



*** ყველა წერტილი, საიდანაც სევდა მოჟონავს, სათავეს შენი ფიქრიდან იღებს, სანამ მათში გზას გავიკვლევდი, დავინახე, როგორი შეუძლებელია, სიყვარული იყოს ორმხრივი, ერთი არ იწვევს მეორის ტანზე და ვილაცას მუდმივად სისხლიანი ხელი არ ჰქონდეს, რატომღაც არასოდეს შეგიმჩნევია, ყვავილების მდინარეს რომ მოვყვებოდი, შენი სევდის ზღვაში მშვიდად მეძინა, სიზმრიდან გასული, ტანზე ახალ ყლორტებს გასვამდი, შენ კი მუდამ სისხლიანი ხელით იდექი, ჩვენი სიზმრების შესართავთან. მერე უბრალოდ ქუჩა ვინატრე, უცნობთან ერთად გავიარე მდინარის გასწვრივ, წყალი თავის სევდას ჰყვებოდა. ჩვენ ვღუმდით.

*** დედა, შენი ხმა ყოველთვის იყო ჩემი აღდგომა, რომელ ქარშიც არ უნდა ვმდგარიყავი, რომელ უდაბნოშიც არ უნდა მეხეტიალა, ვინც არ უნდა მყვარებოდა. სინამდვილეში მუდამ შენგან გავრბოდი და მუდამ შენკენ მოვისწრაფოდი. შენ იყავი ჩემი საუკეთესო, მარადიული მეგობარი. მე კი გავბრიყვდი, როცა კაცს ვუთხარი, რომ ის ერთადერთია. იმ წამის მერე ის გახდა ვილაც, ვინც დაიჯერა ერთადერთობა, ვილაც ისეთი გახდა, ვინც სადღაც დავკარგე და ვერაფრით ვიხსენებ, რატომ უნდა მენატრებოდეს... ქვიშაში ჩაფლული ვუყურებ, როგორ წვიმს შენი სიმღერა. მთელი ძალით ზემოთ მექაჩება, იქ, სადაც ალუბლები ყვავის და ახალდაკრეფილ სოკოებს მიწვდი, როგორც გადარჩენის დასტურს, იქ, სადაც მარადიული სინათლე ეშვება და თვალეგაბრწყინებული შენკენ მოვრბივარ. ჩემი ერთადერთი და მარადიული მეგობრისკენ.

*** მითუმეტეს, თუ სიცარიელე რჩება და ვერასოდეს ვერაფერს მიუსადაგებ, მარადიულ გაურკვევლობაში გინევს დნობა და დანაკარგის თმენა, რაც ერთი შეხედვით შეუძლებელია. შეუძლებელია, ასე ჰაერზე ქრებოდეს ადამიანი, რომელიც ასე ჰაერივით გჭირდება. მითუმეტეს, თუ სიცარიელე რჩება, რომელსაც ვერასოდეს, ვერაფერს მიუსადაგებ და ცხოვრება მუდმივ მოულოდნელობაში დნება შენი თვალდან.

DOLCE FAR NIENTE

ყველა ზაფხულს მინდოდა, დრო ისე გამეტარებინა, როგორც იტალიურ ფილმებშია... ზღვა, სილალე და რაღაც აუხსნელი სიფაქიზე. რაც ყველაფერს განუმეორებელს ხდის. როცა ვილაც თავდავიწყებით გიყვარდება და საქმეს არ ირთულებთ. უბრალოდ ხარ და მზე თმებზე გეფინება. ნაღების ნაყინით იგრილებთ თავს სანაპიროზე და დილაზე ცეკვავთ ზაფხულის ამბავს. მაგრამ რაც უფრო მეტ ზაფხულს ვცხოვრობ, უფრო უცხო და მიუნვდომელი ხდება უბრალოდ ყოფნა. სულ უბრალოდ.

*** რძიდან სიტყვა ამოვიყვანე. დედა ყოველთვის მასწავლიდა რაღაც უხილავს. როცა ძროხას ვწველიდით. როცა ეზოს ვალაგებდით. როცა ტყიდან ფიჩხი მოგვქონდა. ჩვენ ორის მარტოობა. ზამთრის გრძელი ღამეები. მისი სიმღერა. დილის ლოცვა. მწუხრი. ზარები. სადაც არ უნდა წამილოს ქარმა, ხელით ჰაერს ვაგროვებ. ყველა ჩემი სიტყვა რძედ იქცა. ეს მან მასწავლა — რაღაც უხილავიდან სრულქმნილში გასვლა.

დახიუბი

ალექსანდრე ძიმისტარიშვილი



აანყე ლექსი, მოუყარე თავი სტრიქონებს,
ბაბილონივით ააშენე გოდოლი რითმის.
რაც არ განუხებს, ის ნუხილიც გამოიგონე,
თუმცა,
ისედაც
ყველაფერი განუხებს,
თითქმის...

და დღეს თუ არა, ხვალინდელი დღე არის შენი,
შენ კვლავ ლოცულობ და იმედის საკმევებს უკმევ.
მაგრამ მყარი და უცვლელია ეს განაჩენი.

თან შენ,
ისედაც,
ყველაფერი განუხებს
უკმევ...

აგზისტანციალური ლექსი

შენ ფიქრობ მუდამ, ცხოვრებაც ერთობ
გაქვს მოვლენების უფრო ფიქცია.
ფიქრობ იმაზეც, რატომ არ ფიქრობ,
რაზეც არასდროს არ გიფიქრია.

შენ არ საუბრობ, თუ მაინც — ცოტას,
და თუ ბევრს, მაშინ ნანობ უთუოდ.
დაგაქვს სხეული, მინორთა ნოტა,
შენ თავს ცხოვრება რომ გაურთულო.

შენ გაქვს დღეები, გაქრობა გინდა,
და თუ არ, მაინც ასრულებ ასე.
გაქვს სალოცავი — სიმშვიდე წმინდა,
რითიც ინერტულ ცხოვრებას ავსებ.

და შენ წერ ლექსებს, ეხები სივრცეს —
რაც გინახავს და რაც შეგიტყვია.
ჰოდა, შენ თავზე რას იტყვი ისეთს,
შენი ლექსები რომ ვერ იტყვიან?!

აკუტაგავას მოტივი

გათავდა დღე და მორჩა პარტია,
ლანდები ისევ ყუთში სხდებიან.
ყოველი დილა — გადმონაშთია,
ყველა ღიმილი — ნასესხებია.
დგახარ კარიბჭის თავზე და უმზერ,
როგორ ეშვება ქალაქზე ბინდი.
ყველა ლამპარი გესობა გულზე,
გაშალე ხელი და გადაფრინდი.
საით? — იკითხავ, მერე იაზრებ,
ეჭვსა და სევდას რომ ემონები.
ბინდი ნელ-ნელა მუქდება ცაზე...

ყველას ჩვენ-ჩვენი რამომონები
დაგვაქვს. დავათრევთ. გულით მქუხარე
აზრებს ვაფრქვევთ და ასე გვგონია,
ყველა ტკივილი და სანუხარი
ისევ ჩვენივე მონაგონია.
არადა, როცა სარკის წინ დგახარ,
შეუბლაღავი, სრულად შიშველი,
ხედები, ვერაფერს ვერ იტკენ ახალს
და ვერც ვერაფერ ახალს იშველი.
ჰოდა, რიუნო, გახსოვდეს, სანამ
ეჭვსა და სევდას დაემონები,
ქალაქის პირას გვერდიგვერდ დგანან
ჩემი და შენი რამომონები.

ილეგია

შენი ადგილი ჩემთან არ არი,
გავიდა დრო და შენაც დამტოვე.
მაგრამ ზრახვები, დაუფარავი,
ეურჩებიან ჩემ სიმარტოვეს.
გაცივდა მინა, შენი საფლავის
ქვასთან მოვედი ისევ მდუმარე.
ძველი ლანდები ისევ მზაფრავენ.
ჩემი სიზმრების ხშირი სტუმარი
გახდი და გახდენ, და თან გახლიან,
ვერგადახსნილი ფეთქავს ვენები.
მომასვენებენ ჩუმი სახლიდან,
მეც არ ვურობ და მოვესვენები.
ზამთარი უფრო სამწუხაროა,
თუ პეიზაჟებს ნისლი ედება,
თუ ვერაფერი ვერ გიხარია
და შენაც ჩემსკენ არ იხედები.
ვიხსენებ მუდამ ხეთა ხეივანს,
როგორ ტკეპნიან ქუჩას ლანდები.
ცხოვრობ ნარსულში და უხეიროდ
ვერც მომავალში ვერ ვიბადები.
ცივია ღამე და ამგვარ ბინდში
ხეთა ჯარები იქცნენ ჩრდილებად.
მე ველარაფრით ველარ დავმშვიდდი,
ალარც სხეული მემორჩილება.
ველარც ვიცდი და ველარც დავდივარ,
ვიცი, ყოველ მხრივ ისევ მელიან
ლანდები, თუმცა თავად ლანდი ვარ.
შენი საფლავი ცარიელია.
ვიცი, არ მოხვალ, არც გელოდება
ჩემი თავი და ჩემი სხეული.
უაგუნურია ახლა გოდება
გარდასულის და დავინყებულის.
ნესით შენ ახლა შორს უნდა იყო,
ცხრავე მთასა და ზღვაზე შორეთში.
მიამიტს ალბათ მეგონა, სიტყვით
და სიმარტოვით მოგიშორებდი.
რაც არის, არის — ვამბობ და მჯერა
ჩემი სიტყვების ფუჭი სიმართლე.

დაგემშვიდობე ვითომ ამჯერად
და ნასასვლელად ნამოვიმართე.
ხეები თავზე მადგან ჩრდილებად.
ლანდები ისევ ჩუმად მელიან.
ფეხები ძლივსლა მემორჩილება.
შენი საფლავი ცარიელია.

ქრიზანთემაზი და პროშანაზი,
ანუ მოსკლის ლექსი

მთვარის ქალმერთო,
ერთადერთო,
ჩემს სარკმელთან ნიავის რწევავ,
მიმწუხრის სუსხო
შემოდგომის ხეივანს შორის!
ფანჯრის რაფაო, იმ რაფაზე მცხოვრებო ვაზავ,
ვერ მოგიტანე ქრიზანთემები,
შროშანებმაც ყვავილობა დააგვიანეს.

შენ ზეცაში აღმართე ხელი,
მერე მეორე,
გადაგეკრა თვალზე ლიბრი,
ბუტბუტებ სიტყვებს, ჰაერს ყლაპავ და იმეორებ
ფრაზებს, რომლებიც არასდროს გითქვამს
და ამის შემდეგ არასდროს იტყვი.
შენს თვალებს შორის ცხოვრობს სამყარო.

რა ამბავი გაქვს,
რა მოგიტხრეს კედლის სულემმა,
რა მოგიყვავა ტყეების ნიშვამ,
რომელიც შავი ეკრანიდან გეჩურჩულება?!

— მომიყვი იმ სამყაროზე —
გეტყვი მე და იდაყვებზე ძვლებს დავალაგებ
— ისევ ხედავ ჩამავალ მზეს?
ისევ გიშლიან ჰორიზონტებს
ცათამბჯენტა სახურავები?
კედლის იქით არ ვყოფილვარ დიდი ხანია!
შენ ჩვეულად შემომციცინებ,
ალტაცებით და მცირეოდენი დანანებით...
იმიტომ, რომ დასანანია.

ძვლებს ავალაგებ მაგიდიდან.
ნალექი შრება ყავის ფინჯანზე
და საფერფლეს კვლავ ასდის კვამლი.
გაისმება რომელიმე თბილი მინორი.
რით ვერ მოვიდა ქარიშხალი,
რით ვერ მოვიდა ნიაღვარი.
მაგვიანდება.

ჯაზის ლექსი

რიტმულად აწყობს დეკემბერი ქუჩაში ქარებს
და უადგილო არ იქნება
არცერთი ნოტი.
მან თითები შემოაწყო
ღრუბლის ბალიშებს,
მუქი ზეცა მორჩილებით
გამოჰყვავ ნებას.
მინორთა გამა.
გაეფინა „მწუხარე კვირა“
მზის სხივებზე და ფილტვებზე მოედო ხავსი.

თავის წილ ღამეს ანაწილებს —
ეს სიმშვიდის.
ეს ფიქრების.
ჯაზის. მუსიკის.
თოვლის ფიქვებმა პანაშვიდი დაიგვიანეს,
სისულელეა თანაგრძნობის მთელი რიგი პასიანსები.
არ სწვდებიან სიღრმეებს,
თუმც — რაც არის — საბოლოოდ
არ იმალება.

თავდახრილი მეზმანა ღმერთი.

მოსვენება ვერსაით ჰპოვა.
წამისათვის ღირს ყოველი.

დაუკარი, შენი ღმრთის გულისთვის,
შიშველ ხეთათვის,
ჩიხის ბოლოს მარტოსულად მყეფავ ძაღლისთვის.
უპატრონე ტროტუარებზე გაბმულ სიმებს,
რადგან სულს ღაფავს
მათხოვარი ქუჩის კუთხეში,
სადაც მდუმარება უცხო ხილია,
სადაც ჯაზი — დიდი დროა — აღარავის გაუგონია.

დაღლილი ლექსი

დახურავ ფანჯრებს და არ გყოფნის ჰაერი,
გაალებ — ქუჩაში გაგირბის ანწყო.
არის არჩევანი — ნაირნაირი,
ოღონდაც ბოლომდე არცერთი განწყობს.

ბოლომდე არასდროს არ გყოფნის სუნთქვა, არადა, ვერც ამორებ სტრიქონებს. ნაილე ყველა დარდი უფასოდ, მუქთად და სევდის ესთეტიკა გამოიგონე. გამოიგონე, რომ უკეთესია, თუ გული გაგიშავდა ამდენი წუხილით, რომ თავის ტკივილი ცხოვრების წესია და ცოცხალი ხარ, თუკი მარწუხები ანდა შანთები ტანს დაგისერავენ, ღვიძლს თუ დაუთმობ ყვავსა და არნივებს, თუ იეგოისტებ — ყველა ტრაგედიას დაიტოვებ და არ გაუნანილებ არავის.

არსად. არასდროს იტყვი. ღამეებს შეთხზავ შიშველ ლექსებად, მინას შეჭამ და უთქმელი სიტყვის ცრემლით თვალები თუ ამოგვესება. და როცა მორჩება მდუმარე პროცესია, როცა პარაკლისიც საკუთარ თავს შეჭამს, მოვა ეშმაკი, ვითომ პროფესიულ ნაწერებს დაწვავს და დაიმანჭება. გამთენიისხანს მზე შეგახსენებს, რომ აზრი არ აქვს ამ მთელ რიტუალებს, რომ გაიმეორებ ყოველ დღეს და უსასრულობამდე წრეზე იტრიალებ. ცხადია, იცი, თუმცა კი არ გჯერა, მსხვერპლად სათითაოდ შესწირე ვენები. ვერავის გააკვირვებს ვერც ამჯერად ეს შენი ველარგადარჩენები.

ვერადამკვიდრების ლექსი

I
არის დღეები — არ გინდა ყოფნა და როგორც გინდა, ისე არ არის. ცხოვრება არის ორად გაყოფა — არყოფნის ჰო-დან ყოფნის არა-მდე.

II
შენ საკუთარ თავს უწერდი ლექსებს, ფილტვებს გინვავენენ „კენტის“ ლერები. ახლაც შენი ხმა არავის ესმის, ნევხარ მარტო და ბნელს ეფერები. ქუჩას სერავენ ზამთრის ქარები, თან სიმძიმე და სევდა გახლია. დგები თამამად და იპარები ვერამომშრალი ცრემლის სახლიდან. თავს დაგყურებენ ჯმუხი ხეები (ზამთრისგან მხოლოდ შემორჩენენ ჩრდილად), შენი სარკმლიდან კვლავ იხედება გამომწყვდეული წარსულის დილა. მშვიდად მიჰყვები ცვეთილ ტროტუარს, არის შარა თუ უქიმეონი. უახლოვდები ქუჩის ბოლოს და გელის ქარონი და აქერონი. უახლოვდები და გახსენდება — არ გაგაჩნია ღარიბს ხურდები, არ გაქვს იმედი და მოხერხება და შენი ფეხით უკან ბრუნდები. ფიქრობ ბედსა და უბედობაზე, მტკივან თავს ზედმეტ ფიქრებით ივსებ და სიგარეტი არის ექსტაზი და არაფერი არ არის ისე... ქუჩის კუთხეში ქარი იკვილებს, ნვიმის უწყვეტი გესმის არია, დასანანია ახლა სიკვდილი, სიცოცხლე უფრო დასანანია. არასდროს არის დრო საამისო, შენ კი, ჯიუტად, თმენა არ გინდა. საკუთარ სახლში ბრუნდები ისევ, დილა ეშვება სახურავიდან. ახლაც, შენი ხმა არავის ესმის, ეკლის თითებით დღე გეფერება. შენ საკუთარ თავს კვლავ უწერ ლექსებს და ფილტვებში ნვავ „კენტის“ ლერებად.

III
არსებობა მიჰყვება უბედობის ქარავანს, მე დუმილის ქვიშით მაქვს ავსებული თვალები. უნდა იყოს სიმშვიდე, უნდა იყოს!.. არადა — ჩემში შობილ ქარიშხალს ვერსად ვერ ვემალები. ჩემ ძარღვებზე ცხოვრობენ შავი მიწის მატლები, ღრღინან კაპილარებს და თავი მოაქვთ ღმერთებად. ვერ მივიღებ შენდობას, თუა დასანადლები, რადგან ყალბი ღიმილი მეტად არ მეხერხება. ვარ ოლიმპოს ღმერთებში ორფოსის იგავი და ლაერტის მახვილი — ჩემი გამოგონება. ვისურვებდი, ფუძის მთის ტყეში ვყოფილიყავი როგორც ვერდამკვიდრების უდღეური ცხოვნება. ჩემ ამბავში დუმილი სიცოცხლეზე მეტია, არის სევდის არაკი და უგმირო ეპოსი. ლექსად ამოვანთხიე, რაც შიგ არ დაეცა — ნაადრევი სიკვდილის უცხო აპოთეოზი.



დაბიუტი
გიორგი დუნდუა

პლასტილინის საზოგადოება

პლასტილინის ხართ, გამოძერწილილი მრავალ ხელთაგან, არეულო, გათანგულნი ამდენი ძერწვით. თქვენი ძერწვისას დაუნანებლად შეურიეს მრავალი სიტყვა, ენერგია და ფორმა. შიგ უთვალავი აირია ფერი, სურვილები. მას ემსგავსებით, სულით და ხორციით ვინც გძერწავთ, როცა ხელში ჩაგიგდებთ. უთვალავი ძერწვისგან ფერადოვნება სულ გაქრა თქვენში. ბავშვობაში პლასტილინს ერთმანეთში რომ ვურევდი, ბოლოს ერთი ფერი ხდებოდა — ნაცრისფერი, ამდენი ძერწვისგან თქვენც ამ ფერისანი გახდით, ვერ გადარჩით — არ დარჩით ფერადოვანი.

შენი სათამაშო

მე ვარ უბედური შენი სათამაშო. შენ არ იცი თამაშის არცერთი წესი. შენ კი არ მეთამაშები, არამედ მტკენ — მაგლიჯავ სხეულს ასო-ასოდ. ჯერ მაცლი ყურებს, მერე ხელებს, ფეხებს... მფატრავ და ბამბის ქულების გამოგაქვს შიგნეული. ამ ბამბის ქულებს ფეხს აჭერ და იატაკთან ერთად ამრგვალებ, მტვერში განგლავ. ძალიან მტკივა შენი ქცევა. სულს უბერავ, თუ ბამბის ბუსუსები ფეხსაცმელზე აგეკრო, წმინდავ და წმინდავ. სათამაშოზე მეტად ფეხსაცმელს უვლი, ჩემს ტკივილს კი არაფრად აგდებ, მუცელში და შიგნეულში ყასაბივით თითებს მიყრი. მე აღარ მინდა, შენი სათამაშო ვიყო. შენ არ იცი ჩემთან მოქცევა, თამაში. შენ არ იცი თამაშის არცერთი წესი. მე უნდა განგერიდო. ღამე რომ მოვა, დაგეძინება, იატაკიდან ჩემს სხეულს ნაწილ-ნაწილ ავკრევ შელანძლულს. გაგექცევი. ქალაქის სიბნელეში დაგლეჯილი და დასვრილი ვირბენ. მენაგვეებს ან კურიერებს შევეკედლები, ისინი კი თავიანთ მოპედებზე, მანქანებზე ჩამოშვებენ, ივლიან აღმა-დაღმა. ყველა დაინახავს, როგორ ექცევი შენს სათამაშოებს. ვიცი, სათამაშოების ღმერთიც დაინახავს, გაბრაზდება და მრისხანებით არ გაღირსებს მოდგმით სათამაშოებს.

ღვინო ან სისხლი

არის აღმართი, სადაც ჩალის ფასად თეთრი კაბა იყიდე. ახალმთვარეობის მიჯნას ჩქამიც არ გაილე. სული რომ ამომდიოდა, მზაკვარზე გამცვალე. უსახურად მთვრალმა წითელი ღვინის ჭიქაში თითი ჩაყავი, ნარუშლეული მდუმარებით მოფარებულში კედელზე ჩემი სახელი მოხაზე. სისხლი ვერ გაიმეტე. ღვინოც და სისხლიც ხომ ორივე წითელია?!

სურვილების ფართა სიმრავლე

ამ ტრფობის სიტკბოს, სურვილების ფერთა სიმრავლეს, ნუ გაამხელ, თორემ ავი თვალი ეცემა, გადამმალე, ვით მალავ ჩემგან ნაჩუქარ ბეჭედს მარცხენა მუჭში, მოკუმშულში აღარ გეტევა. ნუ მოკლავ მას, ვინც გიყვარს და გააცოცხლებ სხვას, ვინც ასე გძულს, ბედითმოღლილი მარტოობა დაგრჩება მხოლოდ, სულს მოსცილდება, თვალს მოსცილდება, ჩაგეძინება, გამოიღვიძებ და შეგაკრთობს გვერდით ნახოლი — ციკლოპების ნასუნთქი გემო.

ნიჟარაში ჩატეული ამბავი

ნიჟარაში ჩატეული ამბავი იყო ისეთი სათუთი მიუწვდომელი და შეუვალი, შიგ ვერ ჩაძვრებოდი ვერც თითით, ვერც ფიქრით, ამბავს გარეთ ვერ გამოიტანდი, თუ არ გარდაიქმნებოდი, მხოლოდ მაშინ შეძლებდი მსუბუქი უწონადობით შეტეულიყავი შიგ და მოგესმინა იქ ჩატეული ამბავი.

გაგრძელება

როცა იაშკამ მომხდარის შესახებ გაიგო, მისივე დადევნა, მაგრამ ვეღარსად მიაგნო. ცაჰ ჩაყლაპა თუ მინამ, არავინ უწყდა. ბოლოს ვიღაც გადამზიდველი გამოჩნდა, ზღვასთან ცისფერი „მერსედესი“ დაენახა, უანდარმების ესკორტი რომ ელოდა. მთელი ამალით კატამარანში ჩასხდნენ და ნაპირი დატოვესო. იაშკა მეგობრის კანჯოთი დადევნა, გვიან კი ხელცარიელი დაბრუნდა პორტში. მიტოვებულ „მერსედესს“ მიაგნა და ქვებით ნამსხვერველად ექცია. მანამ უშენდა, სანამ ხელები არ დაუსხლიანდა. გრიშას ლუდხანაში გვიანდა გამოჩნდა. ქანცვანყვეტილი იყო, თუმცა იხტიბარს არ იტყვდა, გეგონება სიყვარულის დაკარგვამ ბრძენად აქციაო. მოზრდილი ჭიქით არაყი გადაჰკრა და აღმოთქვა:

— მდიდრები თუ საცოლეებში შეგვეცილებიან, მანანნალობის მეტი რა დაგვრჩება!

შოშიტა თავჩაქინდრული უსმენდა. მის მიმართ იაშკას მზერითაც არ გამოუხატავს საყვედური, შენ სადღა იყურებოდიო. მხოლოდ ირგვლივ მიმოიხედა და რახან თანაგრძობით აღსაყვ მრავალ მზერას გადააწყდა, მძიმედ ამოიგინა:

— მიჯობს, ჩამქრალი ვიყო, ვიდრე თქვენსავით ვხრწოლავდი! გირჩევთ, მერიდოთ, რადგანაც სადაც ხანძარია, ფერფლი ფარფატებს და ჩრდილები ცახცახებენ. კვამლის გავრცელებას ქარს ქროლა განაპირობებს. თივის ზინებსაც შორიშორ დგამენ, ალინაკლებად რომ შეეხოთ... დამლალა მაგ თავქარიანის დევნა, ბრილიანტები ჩემზე მეტად რომ ჰყვარება!

იაშკა ისეთ სევდას მოეცვა, თითქოს აღსარებას ამბობდა:

— როცა პირველად დავაშავე, სივრცე გისოსებით მომისაზღვრეს. ზღვისპირა ფლიგელი დილეგმა შეცვალა, ოთხივე მხარეს რომ დარაჯობდნენ. საპყრობილე უსაზღვრობის ზღუდეა, მრუმე გისოსებით მანანნალათა ღამეებს რომ აფერმერთალებს. ისეთ ხალხსაც ვიცნობდი, ძვირფასეულობით უზრუნველყოფილნი რომ იყვნენ, მაგრამ ფულს ზედმეტად არ დახარჯავდნენ. იყვნენ ისეთებიც, ძვირფას ნივთებს უსასყიდლოდ რომ გასცემდნენ ხოლმე. ოქროს ბეჭდებს ზარდახმა უხდებო, იტყოდნენ, თვითონ ალჭურვილობა არც ეკეთათ, უბრალო მაჯის საათიც კი. ზონაზე რევოლუციის მამამთავრებიც გავიცანი, თვითონაც რომ არ იცოდნენ, რა დრო მოჰყავდათ, მაგრამ თავი ისტორიის კუთვნილებად მიიჩნდათ და ვერ გადათქმევინებდნენ. გოლიათს შექაბილებით აღვიძებდნენ, პირველ რიგში მათ რომ დაერუდა და მიხვდებოდნენ, რა ქონდრისკაცებიც იყვნენ სინამდვილეში, მაგრამ ყოველი მხილება მათ ენთუზიაზმზე ცეცხლზე ნავთის დასხმასავით მოქმედებდა, რახან გვებრძვიან, სწორ გზას ვადაგვართო. ციხიდან გამოსვლისას ქალაქში მასობრივ არეულობას ინვედნენ. მხოლოდ ყრუ ხმები გაისმოდა, რადგანაც ცას რუხი ბინდი გადაჰკვროდა. მზის ამოსვლის მერე ჩნდებოდა მაგათი ნამოქმედარი. ბრბოს მიერ დაღვნილი ბრები და ჩამოგლეჯილი აბრები. ცოფიანთა ზიზღი მიზნად ჰქცევოდათ და ერთმანეთის ჭამა თულა გააძღობდა. ხანგრძლივ სიცოცხლეს ღრმა სიბერემდე მიღწევის მოსაწყენ მოლოდინად აღიქვამდნენ. მტანჯველი განცდა იყო, რომლის განვრცობა არც სურდათ და ვერეთაც ისევე ცხოვრობდნენ, როგორც დილეგში. თუმცა რას დაგიდევდნენ, განა ცეცხლი გამჭვირვალეა? ცხოვრება ბოროტმოქმედთა შორის განვლევ, წარწყმედილ სულებს შორის და ციხეს თავი რომ დავადნიე, უკან შებრუნება აღარ მსურდა. მეხსიერებას მხოლოდ ის ბილიკები შემორჩა, დევნის დროს რომ აღმოვაჩინე. ღამეებს მიტოვებულ ქოხებში ვათევდი. ქარის მიზეზით სველ მინებზე ტოტების კაკუნი განუწყვეტილად გაისმოდა, თითქოს ჯადოქრები მაკითხავდნენ. მაშინ ბევრი არავინ მიცნობდა. ასეც მერჩინვა, ყიფინით ხომ არტისტებს ხვდებიან, ნამდვილი გმირების სცენა კი ჩრდილია. ხორცის სიტკბობას მტკიცე ხასიათის შენარჩუნებას ვამჯობინებდი. დაცემით როგორ არ ვეცემოდი. განა ნემისას ძალუძს მშრალი არსებობა? ცხოვრებას თუ მიეჯაჭვები, ნავარდს ველარ შეძლებ, ხოლო უმიზნო ხეტიალს თუ შეუდგები, უკიდევანო სივრცეც უკმარი იქნება. ნესრიგის აუ-

ცილებლობას ქაოსი განაპირობებს და ყურთასმენის ნამღები ხმაურიც საბოლოო ჯამში სირუმეს ემსახურება. აქაც ბედისწერის გათვლაა, ყოველივე უმნიშვნელოდ მიგანდეს, გული ვინმეზე რომ შეგვივარდება და თავის დაღწევა აღარა გსურს. და მოძრაობაც ამაოა, ნისქვილის ბორბალიც ხომ ტრიალებს, თუმცა ადგილს ვერ ინაცვლებს. ერთადერთი, რაც დავადგინე, ის არის, რომ სიყვარულს ვერავინ ამარცხებს!

იმ ღამეს იაშკა ბევრს სვამდა და ბევრსაც ლაპარაკობდა. ისინიც უსმენდნენ, ეგებ გულს გადააყოლოსო, ხოლო დილით

ეცოდებოდათ, თვითონ იხიცებოდნენ. უქმროდ დარჩენა კი არ შეეძლო. ამიტომაც დროს არ კარგავდა და პანაშვიდზე მოსულ მამაკაცებს შორის ნამტირალევი თვალეზით მორიგი ქმრის შესაძლო ვარიანტებს განიხილავდა.

შოშიტამ ყუთი ჩანთაში ჩადო და გამოემშვიდობა. ვაგზალთან ჩავლისას ემელონის ერთ-ერთ ვაგონზე წარწერა შენიშნა — ამანათი საქართველოდან.

— რა მოგაქვთ ჩემი სამშობლოდან? — ჰკითხა გამყოლს.

— თუ გამოიცნობ, დასალევს ვიკისრებ! — ლუდხანაზე მიუთითა გამყოლმა.

დიმიტრი ნიკლაური

ახლა, ახლო, ან სადმე, ოდესმე

კი გადაიკარგა და მას მერე აღარავის უნახავს. ზოგი ამბობდა, საფრანგეთს მიაშურათ ანას მოსაძებნად. ზოგი ამბობდა, ციხეში ჩავარდა და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯესო, ზოგიც, ამერიკაში გადაბარგდა და სამხრეთის შტატებში ნებივრობსო ფლორიდის მზის ქვეშ, სადაც მილიარდერ პლანტატორს ზედსიძედ დაუჯდაო. თუმცა იმ ბუდის ვინ მიაკვლევს, საიდანაც მსგავსი ჭორები ვრცელდება.

შოშიტას სამსახური აღარც უძებნია, კანჯოზე მოეწყო საშუაოდ იაშკას მეგობართან — ვიტალი ერქვა. მერე მასთან ერთად ეხეტა ზღვაზე დიდხანს. ფული ყოველთვის ჰქონდა, თუმცა იმ საქმეში გაინაფა, რომელსაც გულს ვერ დაუდებდა. ერთხელაც ზღვას ზურგს შეაქცევდა და სხვაგან წავიდოდა, მაგრამ ჯერჯერობით იქ ტრიალებდა. სარჩოს შოვნას შეყოლა სჩვევია. მოპოვებულ თევზს რესტორნებში აბარებდნენ და უცხო ქვეყნის მოვაჭრეებსაც დაუკავშირდნენ. ზღვის ხიზნები ნელში საკმაოდ გაიმართნენ, ხოლო საქმიდან გამომდინარე ადგილმდებარეობას ხშირად იცვლიდნენ. ერთხელაც მშობლიურ ქალაქთან აღმოჩნდნენ. ორი დღე დავისყენეთო, გადაწყვიტეს. ვიტალი კანჯოზე დაერჩა, შოშიტა კი ნაპირზე გადავიდა, მაგრამ იმდენი ხანი გაეტარებინა ზღვაში, ფეხქვეშ მინაც კი ტორტმანებდა. პირველ რიგში გრიშას ლუდხანას მიაკითხა, სადაც ვიღაც ნითურ კაცს გადააწყდა, იმდენად გამობრუნული რომ იყო, კითხვაზე მხრების აჩერვას მოჰყვა, გრიშა ვინ არისო. ნადაღო ინჯუმორტყემული დახვდა სახლის ზღურბლთან. შებერებული ჩანდა, მაგრამ შემართება ძველებური შერჩენოდა. დაგრძელებული ფრჩხილები, ბრჭყალებს უგავდა, ცხვირი კი მტაცებელი ფრინველის ნისკარტს. ეგ კაცი ჩემი ქმარიო, უამბო ნითურზე. გრიშამ, რა ხანია, პირი იქით ქნაო, აღნიშნული ნისკარტი ცისკენ აიშვირა და საძინებლისკენ მიმავალ შოშიტას გადაელეობა, ეგ ოთახი გავაქირავე, აბა, თავი რით მერჩინაო.

— ჩემს ნივთებს რაღა უყავი? — ჰკითხა შოშიტამ.

— რომელ ნივთებს? — გაიკვირვა ნადიამ და კართან ჩამოკიდებულ ჩანთაზე მიუთითა, დიპლომი და რაღაც საბუთები აწყვია, სხვა მე არაფერი ვიციო. შოშიტამ ნიგნები რომ მოიკითხა, ბუკინისტმა წაილოო. ანუგემა, გული არ დაგწყედეს, ისედაც თავგები ჭამდნენო.

— გრიშას საფლავს ვერ მიჩვენებ? — როგორ ვერ გიჩვენებ, გაგატან კიდევც! — სამარაილეზე მიუთითა ნადიამ, რომლის გასწვრივაც ყავისფერი ყუთი იდო. შიგნით მისი ფერფლი ყრიაო, თქვა.

— დაწით? — შეიცხადა შოშიტამ.

— თვითონ მოითხოვა ასე! თან დაიბარა, შოშიტა რომ გამოჩნდება, იქნებ ჩემს მშობლიურ მინა-წყალს მოაყაროსო. ეგ ფერფლი ააშენებს თქვენ ქვეყანას, როგორც ეს ოჯახი აალორძინა! — სიცილით ფერფლები აუცახცახდა ნადიას, ხელეებს კი არტისტისთვის იქნედა. რამდენჯერაც უნდა გათხოვილიყო ეს ქალი, ჭკუას ვერ ისწავლიდა, ურიცხვ ქმართა გონება კი ქორწინების დღიდან იწყებდა გამოფიტვას. შოშიტამ წარმოიდგინა, როგორ დაიტირებდა გრიშას, ქმრებს მუდამდღე თავის სწეულბებზე რომ ენუწუნებოდა. მათ კი ისე



— თუ ვერ გამოიცნობ?

— რის გამოცნობი ხარ, მაგასაც ვერ ხვდები, რომ მაშინ შენ უნდა იკისრო! — აღნიშნა ხითხითით.

— ღვიწო! — სულსწრაფად შესძახა შოშიტამ.

— ჰოდა, გაამზადე ფული ლუდისთვის, სანამ განახლები, რა მიმაქვს! — ნიშნის მოგებით თქვა გამყოლმა და ისინი ვაგონში ავიდნენ. ხის სადგამზე ფიტულები ელავა ყველა ებოქის შესაბამისი დამახასიათებელი ნიშნით, ათასი წლის წინანდელი მდგომარეობიდან დღემდე. მერე ლუდხანისკენ გაემართნენ.

— სამყაროს ჩამოვრჩით ჩვენი უნიათობით! დედაქალაქში მოძმე ქვეყნების გამოფენა იმართება, ღვიწის სამშობლო კი ფიტულებით წარმოადგინეს! — ლუდი მშფოთვარედ შესვრიბა გამყოლმა, აშკარად ღვიწის წამოღება რომ ერჩინა. ღვთაებრივ სითხეს ცოტათოდენს მაინც დაიტოვებდა კოლექტიური ქონებიდან, აბა, ფიტული რა ჯანდაბად უნდოდა.

— არადა, რა ღამაში სამშობლო გვაქვს! — განაგრძო უხალისოდ, — ცა, ყურძენი, გვირილები...

რა უცნაური სამეული დაასახელა, გაიფიქრა შოშიტამ და გონებით ფიტულებთან გადაინაცვლა. მოგვიანებით, კანჯოსთან რომ მიბრუნდა, ვიტალის გრიშას ამბავი შეატყობინა. ახლა რას აპირებო, ჰკითხა იმანაც.

— ცოტა ფულს რომ ვიშოვი, სამშობლოში წავალ!

— იქ რაღა დაგრჩენია? გვონია, რომ გულში ჩაგიკარავენ?

— ვინ ჩამიკრავს, აღარავინ დამრჩა!

— მითუმეტეს. ბედს შეურიგდი, ცხოვრება, პირველ რიგში, ჯიუტ ხალხს სტეხს!

— როგორც იაშკას მოეცა, ხო?!

— იაშკა ბრიყვი იყო. ეგონა, ცხოვრებას დავეძღვეო. მაგრამ მასთან ჭიდილში ვის გაუმარჯვია. იაშკა თავისივე სიმამრემ დალუპა. კაბას შუა ზღვაში რომ გაეკიდა, თევზი ხომ არ იყო, დაეჭირა. წყლის ნაყვა-მეთქი, გაავართხილე, ქარის დევნა, მაგრამ ქვა აავდო და თავი შეუშვირა. ქა-

რიშლებს დასახშობად ის უნდა გაეშუროს, ვინც საკუთარ სიმამრს სძლია!

— რა კარგად თქვი!

— მისმინე, შოში! თანაშემწე ყოველთვის დამჭირდება, მაგრამ, იცი, რაზე ვფიქრობ, განა აკადემია ტყუილად დაამთავრე?

— აკადემია სულაც არ მალელებს! — მოუჭრა შოშიტამ, — მიჩრევიანია, დავრჩე!

— დარჩი, ძმობილო, მე მხოლოდ მოხარული ვიქნები!

ამ სიტყვების მერე ბარემ ოც წელს ეხეტენ ზღვაზე, სანამ შოშიტა ერთ დღესაც ფარდულში სულთმობრძავ ვიტალის არ გადააწყდა.

— მისმინე, შოში! არ მინდა, მინაში ჩამფლან, ზღვას მიმბარე, მის ტალღებში რომ ვპოვო განსასვენებელი. შემდეგ ცხოვრებაში თვეზად მოვალ! — გაცივება სცადა ვიტალიმ, მაგრამ ტკივილმა სახე დაუმანჭა, — სადმე, იქ, ძველ შუქურასთან. აბაგამი, კართან რომ ჰკიდიან, ფული დევეს. შენ გიტოვებ, ოღონდ ანდერძი აღასრულე! — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. შოშიტამ ნემტი კანჯოზე დაანვინა და ზღვაში შეცურა. დათქმულ შუქურას რომ მიაგნა, ნერაქვი მოიმარჯვა და ხომალდს ფსკერი დაუხეთქა. მობცრო ნაფოტები ირგვლივ ცვიოდა, ხოლო ჭახანით გამონვეული ბგერები მთელ სივრცეს ეფინებოდა. ცოტა ხანში კანჯომ ვიტალის სხეულთან ერთად იწყო დაძირვა. თვითონ ნავში გადაჯდა და ნიშნები მოუსვა. ამ ამბის მერე საბოლოოდ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება, სადაც მისი შესახებ დიდხანს არაფერი გაეგონათ, მაგრამ ალბათ იფიქრებდნენ, რომ უკიდევანობის ძებნამ, რამაც ასე შორს გადახვეწა, შესაძლოა ისევე აქ მოიყვანოსო. ამიტომაც მისი გამოჩენა არავის გაუფიქრებოდა. მშობლიურ ენაზე ლაზღანდრობაც მოეხატა, უცხოთა ჯიჯლინი კი ყელში ამოსვლოდა.

ერთ სისხამ დილას ვაგზალს მიაშურა და მატარებლის ბილეთი აიღო. თითქმის მთელი გზა ტამბურში გაატარა. როცა მთებს მიუახლოვდა, შორეულმა ღრანტებმა თეთრად გაიელვა გვირილების მიზეზით, ქალაქის ნაფლეთებს რომ ჰგავდა, მინდორში მიმოფენილს, ბალახზე გადაღვრილ სალებსაც, გეგონება სიმწვანეს თოვლის შესახებ უამბობსო. წარმოსახვა სამშობლოს სილამაზის შესახებ ისედაც შაბლონად ჰქცევოდა, ახლა კი მითუმეტეს დარწმუნდა. ქარიშხლის სიძველეს უკველი ცა მარტობისგან გაცოფებულ ოკეანეს ჰგავდა. შორს თოვლიანი გორაკები ბრწყინავდა, თითქოს მარლის მთები ყოფილიყო. ხორბლის თავთავებზე ქცეულ მინდვრებს მოლაპლაპე რკინიგზა შუაზე ყოფდა, თითქოს პირქვე დადგობილ მინას ზურგზე სახრე გადაჰკრესო. იქ მთებში ალბათ ცხოველებიც ამაყნი იყვნენ, განსხვავებით დაბლობის პირუტყვთაგან, ძუნძული რომ სჩვეოდათ. არნივის ნაცვლად რომელიმე რეტდასხმული ფრინველი თუ შეკრავდა ირასო ტრამალის თავზე. მე რომ ჩავიდა, ღამის მნათობნი ბრინჯის მარცვლებით აელვარდა, მინა კი მთვარის შუქზე ბრინჯაოს ზედაპირით ბრჭყვიანობდა. სარკმლის მინა შოშიტას სახეს ირეკლავდა და საკმაოდ მობერებული ჩანდა. სულის უღრანებში სულ სხვა ხვეული მელილა ცვლავდებოდა დილით რომ გაჩერდა, რკინიგზელს გასძახა:

— მეგობარო! ეს უკვე საქართველოა?

— საქართველოა! რუსეთის უკიდევანობა იმ ვინრო ხიდთან მთავრდება! — მიუთითა მან.

— რამდენ ხანს ვიდგებით?

— ერთ საათს მაინც, გზაზე რაღაც შეფერხება!

ასეც უნდა ყოფილიყო. სამშობლოში დაბრუნება ადვილი საქმე არ გახლდათ. შოშიტამ რკინიგზიდან გადაუხვია, მყუდრო ადგილი მოძებნა, საიდანაც ზღვა ხელის განწვენაზე მოჩანდა და ყუთი ვახსნა. ფერფლი მინაზე რომ მიმოყარა, მისივე ქარმა გაფანტა და ორი მიმართულებით ნახვება — ზღვისკენ და რუსეთისკენ. რა ვერ გასვენებს, უგუნურო, შესძახა შოშიტამ, ბიძამისს პირველად რომ მიმართა შენობით და მტვერს თვალი გააყოლა. სახე შეშლილი ჰქონდა, დავალება პირნათლად ვერ შეეასრულეო. ვიჩქარე, ბრაზობდა, მაგრამ რაღას იზამდა. მერე ისევე ვაგონში ავიდა.

მადონა გვეხიძე



ოცდაცამეტი

არადა, დაიბადა, ხომ დაიბადა! ბიჭო, შენ გეკითხები! მე რა ღმერთი ვარ? რახან შეიქმნა, ალბათ დაიბადა კიდევ... აბა, მე რა ვიცი, ღმერთს ჰკითხე... ადამიანებს ჰკითხე... ადამიანებს რა ვკითხო, ბიჭო, გიჟები არიან... აი, ღმერთთან კი მართლა მაქვს კითხვა... ადამიანი, რომ დაიბადა, მართლა რომ დაიბადა, სადღაც ხომ უნდა დაეგნოდა? რას დაძრინს, რას? რა არ ელევა? რა არ ულაგდება... ვის, ბიჭო, ვისზე ამბობ... აი, იმაზე სულზე მეტად რომ მიყვარს, მთელი ცხოვრება რაღაცას ეძებს, თუ რაღაცის ძიებაშია ეგ უბედური, რაღაც რომ წესიერად არც უპოვია, უკვე კარგავს... ეჰ, ალბათ მისი არაა და მაგიტომ... და სწორედ მაგას ვამბობ, ბიჭო! რომ დაიბადა, ხომ დაიბადა?! ხომ სუნთქავს, რომ სუნთქავს... სადღაც ხომ უნდა არსებობდეს, სადღაც მკვიდრობდეს... ხომ ტირის? ხომ განიცდის? ხომ შიშა? ჰოდა, თუ შიშა, თუ ჭირდება, გაზაფხულის ყვავილების ფიფქებით თუ სჭირდება... სადღაც ხომ უნდა ეტეოდეს, სადღაც ხომ უნდა გუობდნენ, ბიჭო?! არადა, რა ჭირს უგუებელი?! ხომ დაიბადა, ხომ შედგა როგორც დაბადებული და ცნობიერი... ხომ განსაკუთრებულია, ბიჭო, ზენიჭებდა და ენერჯიებს ფლობს... ხომ ფლობს, ფლობს?! ალბათ ფლობს, მაგრამ არ გიფიქრია, რატომ ვერ ეტევა... მაგას ჩვენ ვკითხულობთ, მაგრამ, აბა, იმას ჰკითხე... დაიბადა და შედგა კიდევ, საკუთარი შრომის, ციციქნა თითების დაუღლელობისა და წვის ფასად შედგა. ამაღლდა და აღიზარდა... ჰოდა, იტყვის ახლა ასეთი, მათ მეტებონო, ისინი მომიყვანონო, ვინც ვერ მიგებს და უკან ჩამოვიტოვეო, და სწორიც იქნება! ადამიანი რომ იბადება, განახლების, ძიების, განვითარების, ცნობიერების მომწარმო-მოტკბო გემოს უნდა განიცდიდეს სულ... და თუ განიცდის, თუ კეთილია, თუ მშრომელია და პრობლემა თუ მხოლოდ ის აქვს, მე და შენ, ან ჩვენსაირებს ვერ უგებს. იმიტომ, რომ ნიგინა რაა! ფიქრი რაა! მოთმინება რაა! ფერიცა და გემოც არ ვიცი, ჩვენ რა უნდა მოვკითხოთ ან რა უნდა ავკიდოთ მას... ისედაც ხომ ხუთმაგად მძიმეა მისი მხრები... დადის იქ, სადაც უცხოა, სუნთქავს იქ, სადაც იგუდება... საუბრობს მათთან, სადაც არავის ესმის, მუშაობს იქ, სადაც მისი ადგილი არაა... და ჩვენ უნდა გაგვიგოს, ჩვენს ტყავში უნდა ჩაჯდეს ასეთი ადამიანი! ბოდიში, მან ის გზა, ცნობიერების, სინათლის გზა, ქრისტეს მსგავსი ეკლიანი გზა უკვე განვლო... ადგილის დამკვიდრებისთვის ჩვენწაირ

ყვევებთან იბრძოლა. უკვე იბრძოლა, ინვალია, იღვანა. მხოლოდ თავისი სიკეთით და სინათლით... და ჩვენ უნდა გაგვიგოს მან. უკაცრავად და, მან რომ ჩვენ გაგვიგოს, უკან, წარსულში უნდა დაბრუნდეს... და რომც დაბრუნდეს... და თავიდან დაიწყოს ის გზა, რასაც ადამიანად ყოფნისა და დაბადების გზა ჰქვია. ოცდაცამეტ წლამდე იმავე გზას გამოვივლის და იმავე ორფეხებს შეგვეჩეხება ისევე გაუთლელს, გაუშაბამინებელს, როგორადაც დაგვტოვა და მთლად უფსკრული, იცი, რა იქნება, ჩვენ ვერ მივხვდებით, რომ იგი წარსულში იყო... ვუსაყვედურებთ, სად დაიკარგე, და არც მოგვივა კითხვა, რა მდგომარეობაში იყავი, რამეთუ არ ჩანდი... მხოლოდ გაუშალა, შინებელ სიტყვას მივხვებით, სად დაიკარგე, თუ ხასიათზე იქნა, ალბათ გეტყვით — ღმერთთან ვიყავი იმისთვის, რომ თქვენთვის გამეგო! მიპასუხე ახლა. ცოდო არაა, ასეთი ოცდაცამეტი წლის კაცი, უკან დაბრუნო... დაანო საზოგადოებას, იმაზე მეტი, ან დაეუშვათ ისევე ისეთი და სოციუმში ისევე ბრმა! ცოდო არაა... მოიცა, ოცდაცამეტი წლისაა უკვე თითქმის... და ამ ხნის მანძილზე სულ დაძრინს, სულ ეძებს, სულ აკაკუნებს, თხოულობს, იბრძვის. ვითარდება, ეძიებს, ეძიებს და რა. ისევე მარტოა. ისევე უჭირს, ისევე კლავენ, ისევე უიმედობაში, ისევე ხელახალი ხსნის გზაში... იმავეში და ისევე იმავეში... განა ცოდვა არაა... ოცდაცამეტი წელი ქრისტეს წელი, ბიჭო. ორჯერ ოცდაცამეტ წლად რომ დააჩნდეს ადამიანს. და ვინ იცის, იქნებ და დააჩნდა კიდევ... ვინმე იცის, რამდენჯერ მიბრუნდა უკან საკუთარ თავზე მუშაობისთვის, რომ იქნებ მერე მანაც დამკვიდრებულიყო სავანეში... მიელო სოციუმს და კიდევ პირიქით... ეჰ, ბიჭო, 33 წლის ხდება განა... ვინ იცის, იქნება ორჯერ ოცდაცამეტის, ვიცი, კი განა. ჩვენ ხომ გოლგოთას გავატარებთ ხოლმე ნიჭიერ ადამიანებს. ვერ უგუებლობის სენს ავკიდებთ მორჩა! ვინ იცის, ოცდაცამეტის განა... იქნებ ორჯერ უფრო მეტი ოცდაცამეტის.

ქალის ფიქრები

მე მივრბოდი გაუკვალავ სინათლეში. მივრბოდი იმიტომ, რომ ხსნა მინდოდა. მივრბოდი, მაგრამ ამავე დროს პირველყოფილი მზერით ვიმზირებოდი უკან. იქით პატრონისკენ. ის მოდიოდა, კარგა ცხოვრება გამოვლილივით მოდიოდა. ფიფქვით მსუბუქი და ამავე დროს ჩემსავით მძიმე... მე მივრბოდი, მივრბოდი, რადგან

ვიცოდი, პატრონიც ჩემსავით უმწეო იყო. ისიც ამ ცხოვრების აბლაბუდაში გაბლანდულიყო, მას ვუყვარდი, მაგრამ იგი ჩემსავით უსუსური ჩანდა, ვერ დამიცავდა. აი, რატომ ვიყავი მასზე წინ. ჩვენი გზა ტაძრის იყო და ვიცოდი, თუკი პატრონი მიიღებდა იქ ნუგეშს, ის მეც მერგებოდა! მივედი... დანანებით შემომხედა, შენ ვერ შეგიყვანო და ნამსვე გამახსენდა ფრაზა, მის მიერ ხმამაღლა წაკითხული: „ყოველი კაცი ცრუ არს“. შენც, შენც-მეთქი, ვუსაყვედურე. მაგრამ ვიცოდი, მისი ნება რომ ყოფილიყო, ტაძარში თავისზე წინ გამატარებდა, რადგან გავიგონე, ნეტავ რომელი ვართ შენზე სუფთები! მე არ ვიცოდი — ეს ვინ იყო სუფთა და ვინ უმწინდური, მესმოდა მხოლოდ უღრან ტყეში პატრონის მუხლმოდრეკილი ლოცვა და კაცთაგან მივიწყებული ტაძრის ხმები. მე შენთან ვარ! მე სულ შენთან ვარ! იქიდან ნამოვედით, თავისი საგზალიც მე მაჭამა და ისე ნამოვედით. წინანდებურად მხიარულად ვეღარ გავიარეთ გზა. ვერც ერთმა, ორივენი ვგრძობდით რაღაცას დავამთავრებდით, მე სხვას, ის სხვას, მაგრამ დასასრულის ფერი მანაც ერთი იყო — ტკივილი. რომლის სევდაც ჩვენს კვალს ახლდა. იქ, რომ ვეღარ დაემჩნეოდა და ახლა, ანტიკვარით უნდა შეენახა ბუნებას ის. ჩემი ნაფეხური, არა და პატრონისა კი არ ვიცი. თუმცა ვგრძობდი ისიც ბევრ რამეს ამთავრებდა საკუთარ მესთან. ამთავრებდა რუტინულობას, ლპობას აუსრულებელი ოცნებისას. და მე მინდოდა, უბრალოდ ძალიან შორს წასულიყო იგი, როგორც მოსული არსაიდან არსით. მართლაც რომ არსით მოსთვის ნიჭიერი ადამიანი უფრო... ჩვენ მივდიოდით. გზა შორი იყო. იქ შემოდგომის პირველი თოვლი იდო. და ბუნების ყველაზე სათუთ არსებას გამომშვიდობებდა უწევდა მასთან, რადგან ბევრ რამეს ასრულებდა. ვამთავრებდი მეც ჩემს პატრონთან ყოფნას. ის მიდიოდა, მეც ვერადა, იქ დარჩენით საკუთარ თავსაც ვერ დაიცავდა, ვუმზერდი და მხოლოდ მე მესმოდა მისი. ვითავისებდი, რომ მხსნელად ტაძარი მივიჩნიე. გონებაში რომ ვფიქრობდი, ოდესღაც დაბრუნებულ ჩემს პატრონს აქ დაველოდები და ხეებს თავუწახავ-მეთქი. მაგრამ იქ საკუთარი თავიც ვერ შევუნახე. ის ნავიდა და მე გადამაგდეს, დამაგდეს გზაზე მშვიერი და გამახსენდა ჩემი პატრონი. გამახსენდა, არა და ვინატრე კიდევ. მისულიყო და ის ძაღლების გადნახული ლუკმა მოეტანა, მდიდრები რომ ნაგავში ყრიდნენ, ის ჩემთვის ინახავდა. მერე მე ჩემს წილს, სანაგვესთან მოსულ ბა-

ბუს ვუნახავდი... ვნატრობდი, ისევე მოსულიყო ჩემთან, მაგრამ ის ჩემგან ახლა ძალიან შორს იყო. არსაიდან მისული არსით. სწორედ არსით მიდიან ასეთი ადამიანები. ეს სამყარო რომ ყელში უჭერთ, როგორც ახლა მე ჯალათისგან ყელზე გამობმული თოკი... მეც არსით მივდივარ, ძალი ვარ და... ისე როგორც, მაგრამ ის? ის კარგად იქნება თავისი ნიჭის ფრთებშესასხმელად ოდესღაც მოფრინდება და მეტყვის, მე დავბრუნდი! რა ბედნიერებაა! მე მას ისევე ვნახავ დედამინის იქით. არმისული არსით — სამყაროში, რომელშიც ახლა მივდივარ, ვიცი, ოდესღაც ისიც იქ მოვა.

ჯვარცმა

ჯვარცმის უმძიმესი დილა — ცივი, ცვრიანი და სუსხიანი... გლოვა და მზადება — ზოგი როგორ, ზოგი როგორ. და მანაც ბოლომდე ვერ გააზრება, და გააზრების მერე ვერ დატევა, ჯვარზე როგორ გააკრესო, მაცხოვარო?! შეძრული სამყარო და შეძრული დედა, ისეთივე კაცთაგან დაუტევენი, დაუტევენი და გაუაზრებელი, როგორც ჯვარცმის... თორემ მან. მან ხომ გაიაზრა და ერთადერთი იყო, ვინც დაიტია! დედა! დედის ერთადერთი შვილი, ღმერთი... აბა, შენ აღზარდე ღმერთი და მერე უყურე მის დაღურსმვას, როგორია! განიცადე, იგრძენი და მერე ისევე იგრძენი იმ ქალწულად, იმ ბრწყინვალე ქალწულად, რომელსაც ღმერთსმობელი ჰქვია. დედა და შვილი. ყველა დედაზე აღმატებული დედა-შვილი! და დაღურსმული შვილის ნუგეში — ნუ სტირი, დედაკაცო! ათასგვარი ტკივილი ცალკე დედის, ცალკე თავის? ნაიარევი არადა, ხალხი სტკიოდა? რამეთუ არ იციან, ღმერთო, რას იქმან! ვერ მოშლის ყორანი ყორნობას ვერ! ვერც მოვიშალეთ... სიკვდილი და მიძინებელი ტკივილი მისი! და ჯვართან მოქვითინე მასზე ვერ შემყურე დედა, ღმერთსმობელი ყველასთვის ტკივილ დამამებელი, თავისი შვილისთვის კი ვერა. ქრისტე, ყველას ნუგეში და ჯვარზე მიმსჭვალული... ჩვენგან მოფუსფუსე დიაცებისგან. დიაცებისგან და არა დედაკაცებისგან, დედაკაცი ღვთისმშობლისა! მამაკაცებისგან მოქვითინე, იუდა მამაკაცებისგან წითელი ღვინო წითელი პარასკევი, მათი ამ სახით გააზრება დღევანდელი დღისა... დღევანდელი დღე, დღეის სამყარო მოფუსფუსე დიაც მართები. და სხვა... ყველაზე წმინდა კაცის კაცთაგან დაღვრილი სისხლი. და ამ სისხლით დამძიმებული მთელი სამყარო. ფარდულთან მდგარი მოქვითინე მოხუცი, დღეს ჩემი ქრისტე ჯვარზე აცვესო, აცვეს! გამყიდველი იყო იგი, და დღეს ქრისტე მოკლესო. მხოლოდ იდგა, გახევებული იდგა, მხიარულ მართებებსა და მოქვითინებს განრიდებული დღევანდელი დღის გლოვა, ფუსფუსი, სიხარული და ისევე იგივე... იგივე, იმავე, ისევე და მარად. გაქვავებული მოქვითინე ღვთისმშობელი მამინაც და ახლაც, ახლაც! და მანაც სხვისი მანუგეშებული მამინაც და ახლაც, დღესაც... ბრაზიანი, სუსხიანი სამყარო მამინაც და ახლაც, დღესაც! ჯვარცმა! გლოვა აღდგომა სიხარული ისევე გლოვა ისევე სიხარული. ისევე, ისევე. ისევე კაცთაგან ისევე ჩვენგან ყოველდღიური ყოველ წამიერი ჯვარცმა! ჯვარცმა! ჯვარცმა!



— ჩემი სახელია ბრუკი. ბრუკ პეტელი. მახსოვდა, თუმცა ახლა სამწუხაროდ ვეღარ ვიხსენებ, საიდან ვარ. ერთადერთი, რაც ისევ მახსოვს, ეს ბილია. ბილ ჰარისი. ალბათ ეს მახსოვრობაც იმ ცისფერი აბების ბრალია... ჰოვარდისთვის უნდა დამეფერებინა, არც მე უნდა დამელია ის აბები. ან სულაც, იმ მოლაყებ სუბანისთვის, რომელიც გამუდმებით გაჰყვირის და ლამისაა უკვე ჭკუიდან შევიშალო, ისედაც შეშლილად შერაცხილი და თქვენგან გიჟის სტატუსის მქონე... მმ, ჯანდაბა! ისევ დამავინწყდა.

— ბრუკი.
— ჰო, ბრუკი... ჰო, კიდევ ჩვენი უკანასკნელი ცეკვა მახსენდება და ის საოცარი ლამელოს-ანჯელის სასაფლაოზე. მესმის... თქვენ მას კვლავ სასაფლაოს ეძახით. ჩემი მხრიდან აზრიც არ აქვს იმის მტკიცებას, რომ ის სასაფლაო კი არა, უბრალოდ ერთი ვეებერთელა საცეკვაო მოედანი იყო, სადაც მე და ბილი ჩვენს უკანასკნელ ცეკვას ვასრულებდით. რომ არა ის საზიზღარი დარაჯი, ახლა უკვე ჩემს ბილთან ერთად შორს, ძალიან შორს ვიქნებოდი და ის ცეკვაც სამარადღამოდ გაგრძელდებოდა. აბა, წარმოიდგინეთ დაუსრულებელი ცეკვა... თუმცა, თქვენ წარმოსახვით სამყაროსთან გაუცხოება გჭირთ და გიჟებს კი ჩვენ გვეძახით. თქვენ იმის წარმოდგენაც კი არ შეგიძლიათ, თუ რად ყვირის სუზანი? ჩუმი რადაა დოროთი? რატომ არ სვამს აბებს ჰოვარდი? დრეკი, ყოველი ვახშმის შემდგომ დარჩენილი პურის გულისგან რად აკეთებს, მხოლოდ და მხოლოდ ჩიტის ფიგურებს?.. ისიც კი არ გესმით, თუ რად იმეორებს სხვის მიერ თქმულს, ბებერი ჩარლი. იქნებ ამ წყეული აბების ნაცვლად მათთან საუბარი სცადოთ. თუმცა, თქვენთვის გაუგებარია ჩვენი გიჟური ენის დიალექტი და პრობლემის გადაწყვეტის მარტივ ხერხს ამჯობინებთ, უთქმელობით და იმ წყეული აბებით!!!

— ბრუკ, დამშვიდდი.
— ნუ მომიწოდებ სიმშვიდისკენ მაშინ, როცა სიმართლეს ვამბობ!
— მშვიდად, ბრუკ. ახლა შენ ნერვული აშლილობა გაქვს. ეცადე, ღრმად ჩაისუნთქო და იმ ლამეზე, ბილზე იფიქრო.
— გამუდმებით ამაზე ვფიქრობ. ამიტომაც ვარ აქ.
— არა, ძვირფასო, შენ აქ შენი ჩადენილი ქმედების გამო ხარ და ეს უკვე მრავალჯერ გითხარი. ვცდილობ, შენს საქციელს შორიდან შეგახედო, რათა ნათლად აღიქვა მთელი მისი სიმძიმე. უშენოდ და შენს დაუხმარებლად ამას ვერ შევძლებ. ასე რომ, ბრუკ, მეც ისევე მჭირდება შენი დახმარება, როგორც შენ ჩემი.
— მე თქვენი დახმარება არაფერში მჭირდება. ეს თქვენ გგონიათ, რომ ავად ვარ და შეველას ვსაჭიროებ, თუმცა მე ასე არ ვფიქრობ. არა.

— ბრუკ, ახლავე სკამზე დაჯექი!
— არა! არ ვფიქრობ ასე!!! არაა!!!
— დააბრუნებ სკამზე და 10 მგ ქლორპრომაზინი გაუკეთებ. დამშვიდდება...
გაავებული ძალღებობით მეცნენ, ბრაირკლიფს დაგეშილი, კუნთმაგარი რეგენენი და ჩემ სკამზე დაჯდომასა და სხეულში ინიექციის შეყვანას ლამობდნენ. იმდენად დაუნდობლად და ისეთი ძალით მიჭერდნენ ხელს, რომ ძვლებს ღრჭიალი გაჰქონდა. ისიც კი ვიფიქრებ, რომ ურჩობის გამო მაჯასაც გადამიმტვრევდნენ, ამიტომ ვეცადე, ჭკუის უკანასკნელი ნაოჭი გონების დაძაბვით როგორმე ამეფუშავებინა და ამ გაავებული ცხოველებისთვის ჭკუით მეჯობნა. გაბრუნებულ თავში ისღა გავიფიქრებ, რომ გონის დაკარგვის სცენა გამეთამაშებინა, რათა მოულოდნელობის ეფექტის ხარჯზე ხელიდან დავსხლტომოდი და ჩემს პალატამდე მიმეღწია. ასეც მოვიქეცი. თვალის გუგები გადავატრიალე და ერთიანად მონყევით ჩავესვენე გრძნეულის მკლავებში. წამოვგნენ კიდევ, იატაკზე სწრაფად დამანინეს და ჩემს გონზე მოყვანას ნიშანდურითა და გამეტებული სილის განენით ცდილობდნენ. როგორც კი ხელ-ფეხი თავისუფლად დავიგულე, მყისვე წამოვხტი და გაქცევა ვცადე, თუმცა ამოღე...

მთელს სხეულში უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ცისკენ სავალ ბილიკს ღრუბელ-ღრუბელ მივუყვებოდი. ნელი და ფრთხილი ახტომით ვხტებოდი შემხვედრ ღრუბლის ქულაზე და წვივამდე მასში ვიფლობოდი. მერე? ისევ ჰარმონიული სვლით ვაგრძე-

ლებდი ცისკენ სწრაფვას და ასე, შინაგანი სიმსუბუქით მოსილი მივიკვალავდი ერთობ სასიამოვნო შეგრძნებით აღსავსე ბილიკს, ცისკენ სავალს...

ვგრძნობდი, როგორ იცვლებოდა ირგვლივ ყოველივე. რატომღაც ყველა ფერს ერთი ფერისათვის მივბაძათ და მთელი სამყარო ვარდისფერ ფერთა უკიდევანო ელვარებას მოეცვა. იმდენად ნათლად აღვიქვამდი, ისეთი სიცხადით, რომ ღრუბელ-ღრუბელ მავალს ერთი ხელის განვდენაზეც კი შემეძლო, მივწვდომოდი შემხვედრ ვარსკვლავს.

როგორც კი უკანასკნელი ღრუბლის ქულა დავლავებდი და ვარდისფერი ფერით გაჯერებული ჰაერი ფილტვებში მთელი სიხარბით შევისუნთქე, ჩემ სხეულში მიძინებულმა სიფხიზლის ზარებმა რეკვა იწყეს. მთელი მონდომებით წკარუნობდნენ და ცდილობდნენ, არარსებული მყოფადო-



ბიდან ირეალური სამყაროს არსი გაედევნათ და ჩემთვის რეალური აღქმის უნარი დაებრუნებინათ.

საკუთარი სხეულის ოფლით გალუმპულ კვრძნობიდან ციდან მთელი სიმლეგით ვარდნას! აღარსად ჩანდა ბილიკად ნაგები ღრუბელთა სიუხვე, არც შემხვედრი ვარსკვლავნი კიაფობდნენ მთელის მონდომებით ისე, რომ ხელით შევხებოდი. სამყაროს ყველა ფერი კი ვარდისფერ ფერთა ელვარებას წინ შეუპოვრად აღსდგომოდა და წართმეულ სიფერადეს უკანასკნელ მისხლამდე აცლიდა.

ვეცადე, უხმოდ მეყვირა და ბილისთვის შეველა მეთხოვა, თუმცა უშედეგოდ. ჩემთვის აუხსნელად, ჩემთვის გაუგებრად არც კი ესმოდა ჩემი უხმო ყვირილი. ამიტომ, ბედს მინდობილი და ცის ბილიკიდან მონყეტილი შევეგუე გარდაუვალ ვარდნას.

ის-ის იყო, მიწას უნდა დავკონოდი, რომ ჩემმა აზროვნებამ არსებობა შეწყვიტა. გონებაში მთელი სისავსით შემოიჭრა გაცნობიერებული სიცარიელე და სიშავეში გაუჩინარდა. ვერც ვარდნისას და ცეცხლში მიღებულ ტკივილს ვგრძნობდი და არც მინაზე დანარცხების სინრფელე მახსენდებოდა. მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, როდესაც ჩემს თვალწინ დოქტორ ბრაირსინგის მშვიდ მზერას წავანწყდი.

— გამარჯობა, ბრუკ. თავს როგორ გრძნობ?

მინდოდა, მეპასუხა. როგორ არ ვეცადე, მაგრამ სიტყვაც კი ვერ წარმოვთქვი. აუტანელ თავის ტკივილსა და სხეულის კიდურთა უძლურებას მთელი სიმძაფრით ვგრძნობდი. ერთადერთი, რაც მოვახერხე, ის იყო, რომ ჩემგან მარცხნივ მყოფ ფანჯარაში თვალი გავაპარე. გარეთ რატომღაც ბინდი მონეულიყო. ამან გამაკვირვა კიდევ და თან იმდენად, რომ დოქტორი ბრაირსინგისთვის ადვილი შესამჩნევი გახდა.

— დიდხანს გეძინა, ძვირფასო. მოგვისალამოვდა. სამწუხაროა, რომ როგორც წინა არაერთი მცდელობის მიუხედავად, საუბარი მაინც ვერ შევძელით და კვლავ წამლით მოგვინია, შენი სიმშვიდე მოგვეპოვებინა. ასე არაფერი გამოვა, ბრუკ. თუ არ გსურს, რომ ცხოვრება უკანასკნელ წამამდე ამ კედლებში გაატარო, მაშინ საკუთარი სიბრავის კონტროლი უნდა ისწავლო და მშვიდი საუბრის საშუალება მოგვცე. კარგი, ბრუკ, დროა, შენს პალატაში დაგაბრუნოთ. ძაღლებს მოიკრებ და როდესაც საუბრის სურვილი გაგიჩნდება, კვლავ ვეცდები შენთან საუბარს. გაიყვანეთ...
ბრაირკლიფის დაგეშილი, კუნთმაგარი

ცხოველების დახმარებით დოქტორი ბრაირსინგის კაბინეტიდან გამათრევს.

იმ საღამოს პირველად შევიგრძენი სხვა სამყაროს მქონე ადამიანთა ადამიანური თანადგომა. თუნდაც გიჟური, მაგრამ ამ სამყაროს მაცხოვრებელთათვის ან უკვე გაუცხოებული. შევიგრძენი და მერედა როგორ!

უშველებელ კორიდორში, რომლის კედლებიც თეთრი, ბზარნარევი, ადგილ-ადგილ ამოტყეილი და გახეხილი „კაფელით“ მოერთოთ, ჩემ სადარაჯოზე ჩამწკრივებულ, შეცდომილ სულთა მიერ გაცისკროვნებულ ადამიანობას გზადაგზა ვხვდებოდი.

პირველად, გაუთავებლად მოლაყებე, თმა განწილი სუზანის ხმა შემომესმა. ტანის წინ და უკან რხევის ფონზე სასონარკვეთილი გაჰყვიროდა: ბრუკი, ბრუკი წაიყვანეს! ბრუკი, ბრუკი წაიყვანეს! ბრუკი, ბრ-

ალექსანდრე კაკიაშვილი

უკანასკნელი ცეკვა ბრაირკლიფში



უკი წაიყვანეს! და გაუჩერებლად ერთსა და იმავეს გაიძახოდა.

შემდგომ კედელთან სახით მდგომი დოროთი შემოგვხვდა, რომელიც ჩვეულად უხმოდ, გულის სიღრმეში გაჰყვიროდა და ნერვიულად ხელებს იფშვინებდა.

დოროთი ჰოვარდმა შეცვალა. იატაკზე მჯდომი მთელი მონდომებით ფეხებს აბაკუნებდა და გაყვიროდა. დაველე, დაველე იმ წყეულ აბებს, თუ ბრუკს დამიბრუნებთ! ჩემი დანახვისას კი, რატომღაც გადაიფიქრა. გულმოსული ნამოხტა, ხელები გულზე დაიწყო და პროტესტის ნიშნად განაცხადა, რომ არაფრის დაღვევასაც არ აპირებდა.

ბოლოს კი, ჩემი პალატის კარის სიახლოვეს, ბებერი ჩარლი გამოჩნდა. სიცილ-კისკისითა და სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ჰოვარდის სიტყვებს:

— დაველე, დაველე იმ წყეულ აბებს, თუ ბრუკს დამიბრუნებთ! დაველე, დაველე იმ წყეულ აბებს, თუ ბრუკს დამიბრუნებთ! დაველე, დაველე იმ წყეულ აბებს, თუ ბრუკს დამიბრუნებთ!

იმ საღამოს ბრაირკლიფის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კორიდორში შეცდენილ სულთა ადამიანური თანადგომა მზეობდა!

როგორც კი პალატაში შემათრევს და საწოლზე დამაგდეს, მყისვე არტახები გამიჭირეს, რომ არ გავქცეულიყავი, ანდა სად გავიქცეოდი? პალატის კარს ყოველთვის კეტავდნენ. პალატიდან რომც გაგელნია, კორიდორს მაინც ვერ გაცდებოდი. კორიდორის ბოლოს გისოსებიანი კარი აღემართათ, რომელიც ჰოლში გადიოდა. სწორედ იქ, სადაც ყოველდღე, ჩვენ, შეცდენილ სულთა ჯარი, ვიკრიბებოდით და დროის უმეტეს ნაწილსაც იქ ვატარებდით...

აბებზე მეტად ის საშინელი არტახები მძულს. ისე მჭიდროდ და ისეთი ძალით ებჯინება სხეულს, თითქოს ალაგ-ალაგ შენ გადამიტვრევას ლამობდეს. რაც უფრო შეენინაღმდეგები, მით მეტად, მთელი მონდომებით ცდილობს, შეგბოჭოს და სუნთქვის საშუალებაც კი არ მოგცეს. ეს მათთვისაა არტახები, თუმცა მე, როგორც სრულფუნქციონირი გიჟი, „ავ-ენას“ ვეძახი. მას ისევე შეუძლია შეგბოჭოს, მოგვლას, სული გაგიმწაროს და სუნთქვაც კი გაგიჭიროს, როგორც ბოროტი ადამიანის ავ-ენას. ასეთივე სიმძაფრით გიგლეჯს სხეულიდან სულს. მერე? მერე რაღაც დრო ებრძვი საკუთარ თავს, ამ ავ-ენისგან მიყენებული ფსიქოლოგიური წნეხისა თუ სულიერი ტკივი-

ლის დასავინწყებლად, მაგრამ საკმარისია თუნდაც მისი ერთი გახსენება, რომ მთელი სიცხადით გრძნობ გადაჭერილი არტახებისაგან მიღებული სიმწრის სიცხადეს...

მერე, რატომღაც, ჰუმანურობის დოქტრინა გახსენდება და საკუთარი თავის შემხედველი იმ დოქტრინის დამწერზე გულიანად ხარხარებ. ნუთუ მან არ უწყობდა, რომ ჩვენზე „გიჟებზე“ არანაირი ჰუმანური დოქტრინა არ მოქმედებს. ჩვენთვის მხოლოდ ნითელი, ცისფერი აბები და 10მგ ქლორპრომაზინი მოუგონიათ... და ის არტახები, რომელსაც მე „ავ-ენას“ ვამსგავსებ.

მთელი ლამე არ დამეძინა. საწოლზე მიჯაჭვულს განძრევაც არ შემეძლო და მხოლოდ ერთი მიმართულებით ვიშვირებოდი. კედელზე, ჩემთვის ჩარახული თავისუფლება მოჩანდა. თავისუფლება, რომელს-

აც 6 ცალი რკინის გისოსი აბრკოლებდა. 3 შვეულად, 3-იც თარაზულად. ეჰ, არც კი მახსოვს, რამდენჯერ მოიცნებია, რომ დრეკის ხელით გამოძერწილი პურის ჩიტის ყოფილიყავი, რომელსაც ფრენა შეეძლებოდა. მთელი მონდომებით დავიქნევდი ფრთებს და... გაფერინდებოდი!

მალლა, ძალიან მალლა ავფრინდებოდი — იქნებ ცად ის ღრუბელიც მეხილა, რომელზეც ვარდისფერ ფერთა ელვარებით გაბრუნებული ცისკენ სავალ ბილიკს მივეშურებოდი, ან იქნებ შემხვედრ ვარსკვლავსაც ხელით მივწვდომოდი... ან სულაც სადმე... ჩემი ბილისათვის მომეკრა თვალი და გამალეებული გულისცემით, მისკენ ფრთხილად გავფრენილიყავი... ვიცი, ისიც ვიცი, რომ ვერსად მივაგნებდი და ბოლოს მაინც ლოს-ანჯელის სასაფლაოს მივაშურებდი. მის საფლავზე მდგარ ხეზე ბუდეს გავიკეთებდი და უკანასკნელ ჭიკჭიკსაც ხის ტოტზე მჯდომი გულისკანკალით შევასრულებდი.

ისე დამათენდა თავზე, რომ დროის შეუპოვარი სვლაც კი ვერ გავითავისე. მხოლოდ მაშინლა მივხვდი, როდესაც მზისგან ურჩად გამოტყორცნილმა სხივმა ჩემი სარკმლის გისოსები შემოამტვრია და სახეზე სათუთად დამეფინა. სიმართლე გითხრათ, ისე გამითბო გული, რომ იმ „ავ-ენათა“ მარწუხებისგან მოყენებული ტკივილიც კი დამიამა. ახალი დღის იმედი ჩამისახლა გულში და ჩემს დაავადებულ სულს დაენამლა.

მალევე პალატის რკინის კარიც ხმაურით გაიღო და ჩემზე ჭკუით მჯობნიც შემოვიდნენ.

— დილა მშვიდობისა, ბრუკ. აბა, თავს როგორ გრძნობ?

— დილა მშვიდობისა, დოქტორო სინგ. მადლობა, კარგად ვარ.

— ოჰო, ძალიან კარგი! მთავარია, რომ მშვიდად გამოიყურები. კეთილი... ასხენით არტახები. ბრუკ, შეგიძლია, ჰოლში გაისიერო. მალე აბების მიღების დროც მოვა და არ დაგვიანო. და კიდევ... თუკი ჩემთან საუბარს მოინდომებ, იცოდე, მე მუდამ მზად ვარ, მოგისმინო.

ნელ-ნელა წამოვგვექი საწოლზე. არტახებისაგან დაღურჯებული ადგილები ხელით დავიზილე, თან ისეთი ქავილი მქონდა, რომ თავი ვერ შევიკავე და სისხლისდენამდეც კი მივედი. პირსაბანთან მივედი და პირი დავიბანე. იქ სარკე არ გვექონდა, რომ პირის დაბანის მერე თავი მომწენს-რიგებინა. ღმერთო, რამდენი ხანია, სარკეში საკუთარი ანარეკლი არ დამინახია...

ალბათ, ჩვენ სარკე გვეკრძალება, რადგან ჰგონიათ, რომ ჩვენი შემოქმედებით ანარქიული დაგვიწყებს მზერას და ისედაც შეშლილს უფრო მეტად შეგვშლის... ერთი ადგილი ვიცი... აი, იქ სადაც წამლის ოთახია. იქვე ახლოს ერთ კარს უშველებელი ფანჯარა აქვს და როდესაც იმ კარს ალებენ, მაშინ შეგიძლია საკუთარი თავის დანახვა. მეც ხშირად იმ წამლის ოთახთან ვდგავარ ხოლმე და ველი იმ უშველებელ ფანჯარიანი კარის გაღებას...

ფრთხილად ჩამოვდგი ფეხი იატაკზე და ძაღვები მოვსინჯე. არ მინდოდა, დადგომისას იატაკზე დავედინებოდი. როგორც კი ფეხქვეშ სიმყარე დავიგე, მაშინვე წელში გავიმართე და ნელი ნაბიჯით დერეფანში გავედი. კედელ-კედელ გავუყევი და ჰოლში აღმოვჩნდი. ჰოლში, სადაც ჩვენი საავადმყოფოს პათივსაცემი საზოგადოება შეკრებილიყო.

თავლი დოროთის ვკიდე... ჩვეულად უხმოდ მდგარი და თავჩაღუნული ისმენდა სუზანის ყვირილს, რომელიც მთელს ხმაზე მოუწოდებდა, რომ კითხვაზე ეპასუხა. თუმცა დოროთის საუბრის სურვილი არც ამჯერად გალივებოდა და მის ყვირილს მორჩილად იტანდა. მგონი, არც უსმენდა, ანდა სულაც არც ესმოდა. თავის მიკროსამყაროში გამოკეტილიყო და უხმოდ, მის წარმოსახვაში მყოფ საზოგადოებას, ტრიბუნასთან მდგარი ხმამაღლა ესაუბრებოდა.

მოულოდნელად მხარი დრეიკმა გაქრა. თავის პურის ჩიტი ხელში აქეთ-იქით დარბოდა და ფრენას ასწავლიდა. შეიძლება, მასაც ჩემსავით მთელი ოცნება იმ პურის ჩიტზე ჰქონდა აგებული და ახლა მთელი მონღოლებით ცდილობდა, ფრენა ესწავლებინა. ვაითუ, მართლაც პურის ჩიტად გადაქცეულიყო, მერედა ფრენა ხომ უნდა სცოდნოდა? ჰოდა, ასწავლიდა კიდევც.

ამასობაში ჰოლის კარი გაიღო და ხელში რკინის სინზე ფერადი აბებით დახუნძლული მთავარი ექთანი გამოჩნდა.

— აბა, ყველანი საითათოდ მოდიხარ ჩემთან და აბები დალიე! საითათოდ-მეთქი! ერთად ნუ მოგროვებთ.

ექთნის გამოჩენისთანავე ჰოვარდს დაძაბულობა დაეტყო. ნერვიულად იწყო მოძრაობა და ამკარა იყო, რომ აბების მიღება არ სურდა. ისიც კარგად ვიცოდი, ამას რაც მოჰყვებოდა. როდესაც ჯერი მასზე მიდგა, უარის განაცხადი წამლის დაღვევაზე და აგრესიული ქცევით რკინის სინი ექთანს ხელიდან გააგდებინა.

მისივე გამოჩენიდან ბრაირკლიფის დაგეშილი ძაღვები და ჰოვარდი გააკავეს. ამ აურზაურზე დოქტორი სინგიც გამოჩნდა.

— რა ხდება? რა ხმაურია?
— დოქტორო სინგი, ჰოვარდი კვლავ უარს ამბობს აბების მიღებაზე. უკვე გაუსაძლისია ყოველდღე ერთი და იმავეს ატანა.
— ჰოვარდ, ძვირფასო, ხომ იცი, რომ ამ აბებს შენი გამოჯანმრთელება შეუძლიათ. შენ კი მათ მიღებაზე უარს აცხადებ. რატომ?
— არაა ეს აბები, არა!
— მაშ, რაა?
— თქვენ გინდათ, რომ ამ წამლით გამაგიჟოთ. ხოო, ვიცი, ვიცი, რასაც მიპირებთ! გინდათ, რომ ჭკუიდან შემშალოთ და მერე ჩემ სახლს დაეპატრონოთ. იცოდეთ, ამას ვერ ელირსებით! არ დავლევ! არა!

— ცდები, ძვირფასო ჰოვარდ. შენს სახლს ვერავინ დაეპატრონება. მითუმეტეს, რომ იქ დედაშენი ცხოვრობს. აი, ჩვენ კი მხოლოდ ის გვსურს, რომ ამ აბების საშუალებით დედასთან სახლში დავაბრუნოთ.
— მატყუებთ! მასაც დააღვევინებთ აბებს და მერე მთელ სახლს მიისაკუთრებთ. ამიტომაც არ მოდის აქ! დიახ, მე ვუთხარი, რომ არ მოსულიყო! სამინელი ადამიანი ხართ, დოქტორო სინგი!

— პროცედურის ოთახში წაიყვანეთ. ექთანო, დაურეკე დედამისს და თანხმობა მოითხოვე პროცედურის ჩასატარებლად. აუხსენი, რომ უარს აცხადებს მკურნალობაზე და შესაბამისად მდგომარეობაც უკონტროლო ხდება. უთხარი, რომ პროცედურა მისი ნეიტრალიზების ერთადერთი გზაა. დაურეკე, პასუხს ჩემს კაბინეტში დაველოდები. მანამდე კი პროცედურისათვის მზად იყავით.

ჰოვარდი ძალით გაათრეხა ჰოლიდან და საპროცედურო ოთახში წაიყვანეს. საცოდავი გზადაგზა ყვიროდა, რომ აბებს არ დალევდა. არადა, რა უწყობდა სად და რატომ მიჰყავდათ?

ამ სცენის შემხედველი ეტლში მჯდომი ბებერი ჩარლი კი ჰოვარდის სიტყვებს იქამდე იმეორებდა, სანამ ექთანი არ დაემუქრა.

ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა. არც მუდამ მოლაპარაკე სუზანის ხმა არ ისმოდა. მხოლოდ აქა-იქ თუ გაისმოდა დერეფანის მიღმა საპროცედურო ოთახის კარს გამოქცეული ჰოვარდის განწირული კივილი.

სალამოს ყამს, მაშინ როცა აბების მიღების დრო დადგა, მაშინდა გამოჩნდა დერეფნის ბოლოდან მომავალი ეტლი, სადაც სრულიად შეცვლილი ჰოვარდი იჯდა. ეს სიცოცხლით აღსავსე და მუდამ ენერგიული ბიჭი უსიცოცხლო მძორს დამგვანებოდა. უმეტველო სახეს მზერა ერთი ნერტილისკენ მიეპყრო. დავეჭყდე კიდეც, რომ ეს ის არ იყო, მაგრამ ამ ეჭვის არსებობა უსაფუძვლო აღმოჩნდა, როდესაც გვერდით მისმა ეტლმა ჩამიარა და ჩემგან ორიოდ ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა.

მაშინ პირველად ვიხილე, თუ რას ნიშნავდა უხმო ყვირილი. ჰოვარდის ეტლთან მისული დოროთი მის მუხლებზე დაემხო და გულიდან ამოხეთქილი მწუხარებით ცრემლად იღვრებოდა. ყვიროდა. დიახ, ყვიროდა, თუმცა უხმოდ, ჩუმად და მთელი გულით!

აბების მიღებისთანავე პალატებში დაგვიანაწილეს. შუალაგამდე ვერ დავიძინე. მინდოდა, ის დღე საერთოდ დამევიწყებინა, სამუდამოდ გამექრო მეხსიერებიდან, ჰოვარდის უემოციო მზერა, მაგრამ რაც უფრო ვცდილობდი, მით უფრო მეფიქრებოდა მასზე. მინდოდა დოქტორ სინგიდან დაწყებული ყველა დამეხოცა და ეს სიბრაზე მთელს სხეულში ტკივილად მივიღო. განა რას აშავებდა? ვის რას უშავებდა? უბრალოდ აბები ეზიზღებოდა. არ სურდა მის სამყაროში ნააზრები წესი დარღვეულიყო, რომლის მიხედვითაც საკუთარ სახლს დაკარგავდა. თუმცა გიჟისთვის ვის გაუგია, დოქტორ სინგს რომ გაეგო...

ის მხოლოდ საკუთარ სახლს, საკუთარ დედასა და საკუთარ აზრს იცავდა შეუპოვრად! მათ კი ამის გამო სული ამოხადეს. ცოცხალ გვამად აქციეს და იმ ეტლს მიავაჭვეს, საიდან ნამოდგომაც კი სათუო იყო.

ამ ფიქრებში გართულს ჩამძინებოდა. დილით კვლავ მზის სხივის სიურჩემ გამაღვიძა და ახალი ფიქრიც შემომისახლა. ცოტა არ იყოს, შიშიც კი მომგვარა. არ მსურდა, მეც ჰოვარდის დღეში ჩავვარდნილიყავი. სინგთან საუბრის სურვილის არქონის გამო მეც საშიშ, გამოუსწორებელ შემოქმედებად არ მივეჩინე დოქტორს და ისე არ მომქცოდნენ, როგორც ჰოვარდს მოექცენ. გადავწყვიტე, იმ საღამოს მასთან მივსულიყავი და მესაუბრა. პრობლემა ის იყო, რომ მის მიერ სიმშვიდისაკენ მონოდება ერთიანად მაგიჟებდა. ვერ ვაგებინებდი, რომ სიმართლის, ან საერთოდ ბილზე საუბრის გამო ემოცია მემატებოდა. რამე უნდა მომეფიქრებინა, ძალა მომეკრიბა და საკუთარი ემოციისათვის კონტროლი გამეინია... ვიცი, ეს საკმაოდ რთული მისია იყო, მაგრამ ჰოვარდად ქცევას ყველაფერი მერჩინა.

პალატებიდან ჰოლს მივაშურე, იმ იმედით, რომ დოქტორი გზად შემხედებოდა და მასთან საუბრის სურვილს გავუმჟღავნებდი, მაგრამ როგორც კი ჰოლს მივადექი სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. მთელი ჰოლი ფერად-ფერადი ბუშტებითა და ათასგვარი სადღესასწაულო ლენტებით მოერთოთ. გამოვხედავდი და დავიბენი კიდეც. ვერ წარმოვიგებინა, რომ ამ დღისგან დანწყვილი ალაგს ბედნიერების თუნდაც ერთი გაელვებაც კი შემორჩენოდა. კედელზე გაკრულ ვეებერთელა ფურცელზე დიდი ასოებით ეწერა: Happy birthday, dear Charlie!

მოულოდნელად გული ბედნიერებით ამევსო. წარწერის ქვეშ ეტლში მჯდომი მხუც ჩარლისთან მივვარდი და ჩავებუტე, თან სუზანივით მეც გაუთავებლად ვიმეორებდი მისალოც ტექსტს. ჩარლი კი, თავის ამპლუაში მყოფი, ღიმილით იმეორებდა ჩემს სიტყვებს, რაზეც მეც თანდათან მეციხებოდა.

ამ ყრიაშულში კარაც გაიღო და თავზე სადღესასწაულო ქუდებით მოსილი პერსონალიც გამოჩნდა. დოქტორ სინგს ტორტი ეჭირა და ყველანი ჩარლის ეტლთან შეკრებილნი სადღესასწაულო სიმღერას ვმღეროდით.

სიმღერის დასრულებისთანავე დოქტორი ჩარლისთან მივიდა. წელში მოხარა და დაბადების დღე მიულოცა.

— ამ საავადმყოფოს უხუცესო მკვიდრო, ძვირფასო ჩარლი, გილოცავ დაბადების დღეს.

არავის გაჰკვირვებია ჩარლის პასუხი, რომელიც შემდეგნაირად ჟღერდა და რამაც ერთობლადი ხარხარი გამოიწვია:

— ამ საავადმყოფოს უხუცესო მკვიდრო, ძვირფასო ჩარლი, გილოცავ დაბადების დღეს.

როცა სიცილით გული ვიჯერეთ, სინგში მაინც პროფესიულმა ჩვევამ თავი იჩინა.

— ექთანო, ჩვენი იუბილარის მიერ აბების მიღებას თუ აკონტროლებთ?

— რა თქმა უნდა, დოქტორო.

— კეთილი, მამ დროა, დოზა გავუზარდოთ და ერთ ჯერზე ან უკვე არა აბის ნახევარი, არამედ მთლიანად აბი მივიცი.

— როგორც მეტყვიით...

დამოძღვრის შემდეგ სინგი, თავის ნილტორტთან ერთად, დერეფნისაკენ გაეშურა. აი, სწორედ მაშინ მოვიკრიბე მხნეობა, დავენი და შევაჩერე.

— დოქტორო სინგი. დოქტორო სინგი!!!

— ბრუუ?

— შეიძლება, ამ საღამოს კაბინეტში სასაუბროდ გენვიოთ?

— რასაკვირველია. მოხარული ვარ, რომ ჩემ წინადადებაზე იფიქრე.

— კი, ასეა...

— მაშ, რადგან ასეა, საღამოს, აბების მიღების შემდგომ, ჩემს კაბინეტში გელი.

— მოვალ. აუცილებლად მოვალ.

დოქტორის გასვლის შემდგომ ჰოლში დავბრუნდი და საერთო მხიარულებას შევუერთდი. მხიარულებას, რომელსაც ჰოვარდის გარეშე უკლებლივ ყველანი აღვნიშნავდით. ის კი განმარტოებული უემოციო სახით იჯდა თავის ეტლში და გაურკვეველ სივრცეში უმიზნოდ იმზირებოდა. მისთვის სადღესასწაულო ფონს, მხოლოდ ის პატარა ქუდილა ქმნიდა, რომელიც ექთანს მისთვის თავზე დაედო.

მაღე სუზანსაც ნერვული აშლილობა დაენწყ. ალბათ ჩარლის დაბადების დღის მისაკუთრება სურდა და ამიტომ ერთსა და იმავეს გაჰკვიროდა, რომ მისი დაბადების დღეც დღეს იყო და მასაც სურდა, ტორტზე სანთლები ჩაექრო. ვერაფრით რომ დამშვიდეს, საჭირო გახდა მისთვის ინიექციის გეკეთება და მისი სიმღერის ნეიტრალიზება. როგორი სასიამოვნო სადღესასწაულო განწყობაც ტრიალებდა დილით, ისეთივე საშინელ სანახაობად იქცა შუადღის მზის მცხუნვარებისას. იძულებულნი გახდნენ, რომ ყველა თავიანთ პალატებში გამოეკეტათ და მანამდე დავგტოვეს იქ, სანამ ბრაირკლიფს კარზე საღამო არ მოადგა და აბების მიღების ყამი არ მოინია. მხოლოდ მაშინდა გავიყვანეს ჰოლში.

— აბა, ყველანი რიგში ჩამწკრივდით! აბების მიღების დროა.

ექთნის მონოდება ყველა უსიტყვოდ დავემორჩილეთ. ვიცი, ჰოვარდი რომ კვლავინდებურად სიცოცხლით აღსავსე ყოფილიყო, წინააღმდეგობას უნინდებურად გაუწევდა, მაგრამ საცოდავს წინააღმდეგობის კი არა, სიტყვის თქმის არც ძალა და არც თავი ჰქონდა. ამიტომ წამლის მიღების ჩვეულმა რუტინამაც დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. აბების მიღების მერე ექთანს ვთხოვე, რომ დოქტორთან კაბინეტში წავეყვანე. რა თქმა უნდა, საიმოვნებით გამომყვა თან გზადაგზა ჭკუის დარიგებას მოჰყვა.

— ბრუუ, ეცადე საუბრისას თავს კონტროლი გაუნო.

— ვეცდები.

— ხომ გახსოვს, რაც ყველაზე მეტად გაღიზიანებს?

— კი, მახსოვს.

— ჰოდა, ამ პრობლემაზე კონცენტრირდი და შეეცადე, სიბრაზემ არ გძლიოს, თორემ მოგვიწევს შენი ჰოვარდივით საპროცედურო ოთახში წაყვანა.

— შევეცდები.

ამ კეთილი რჩევების ფონზე დოქტორ ბრაიან სინგის კაბინეტის კარს მივადექით. ექთანი წინ გადამიდგა და კარზე დააკაუნა.

— დიახ. მობრძანდით!

— დოქტორო სინგი, ბრუუს თქვენი ნახვა სურს.

— შემოიყვანეთ.

— გამარჯობა.

— გამარჯობა, ბრუუ. დაჯექი... აბა,

გისმენ. რის თქმას აპირებდი ჩემთვის?

— მე, მე... ბრუუკი მქვია. ბრუუ პეტელი.

— ვიცი, ვიცი, ბრუუკი. მოუშვი, თავი თავისუფლად იგრძენი. ნუ ხარ ასეთი დაძაბული, თორემ საუბარი გაგიჭირდება.

— კარგი.

— მოდი, ბილზე მიაბე. სად ან როდის გაიცანი?

— არ მახსოვს, მაგრამ ის დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი ქმარი იყო.

— კეთილი, მამ ის მომიყვები, რაც გახსოვს და გონებას ძალას ნუ დაატან.

— ბილის დაღუპვა მახსოვს, ის ავტოკატასტროფა. ქორწილიდან თავლობისთვის გასატარებლად რომში მივეგზავრებოდი. აეროპორტის გზაზე კი ის სამინელი შემთხვევა მოხდა. გონს საავადმყოფოში მოვედი. ბილი უკვე გარდაცვლილი და დაკრძალული დამხვდა. ვეცადე საავადმყოფოდან გავქცეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. როგორც კი ფეხზე წამოვდექი, მყისვე თავბრუ დამეხვა და იატაკზე დავენარცხე. საავადმყოფოდან გამოწერის დღეს პირდაპირ ლოს-ანჯელესში, სასაფლაოსკენ გავეშურე, იქ, სადაც ჩემი ბილი იყო დაკრძალული.

— მოდი, ახლა იმ ღამეზე მიაბე, როდესაც შენ ჩუმად, მარტო ნახევდი ბილის საფლავზე. რა მოხდა იქ? ან რამ გაიძულა ღამით მარტო იქ წასვლა.

— ბილის გარდაცვალების დღიდან დამშვიდებულ აბებს ვიყენებდი, რომ დამინება შემძლეოდა. იმ დღესაც ჩვეულად მივიღე აბები და დავიძინე, თუმცა არ ვიცი, რა მოხდა... მეგონა, რომ ეს ყოველივე სიზმარი იყო და სხვა არაფერი. გეფიცებით, მესიზმრა კიდეც თუ როგორ ავდექი საწოლიდან, როგორ ჩავდე ავტომობილის საბარგულში ნიჩაბი და როგორ წავედი ბილის საფლავზე. რას წარმოვიდგენდი, რომ ამ ყველაფერს ცხადად ვაკეთებდი...

— მერე? გააგრძელე.

— ადგილზე მისულმა ვიციოდი, რომ... უფრო სწორად დარწმუნებული ვიყავი, რომ ბილის სამარე უნდა ამომეთხარა და ამომეყვანა.

— რატომ, ბრუუ?

— ამის ახსნა არ შემიძლია, მაგრამ გთხოვთ, დამიჯეროთ.

— კეთილი. მაინც, შენ როგორ ფიქრობ, ბრუუ? რა იყო შენთვის ბილის საფლავიდან ამოყვანის მიზანი, როდესაც განაზრებულნი გქონდა მისი გარდაცვალება.

— ცეკვა...

— რა? უფრო კონკრეტულად მითხარი.

— ცეკვა, დოქტორო სინგი. მინდოდა, მასთან მეცეკვა.

— ანუ იმის თქმა გსურს, რომ გარდაცვლილი ბილი მასთან ცეკვის გამო ამოთხარე სამარედან?

— კი. მაგრამ ის სამარე არ იყო. არც ის ყოფილა სასაფლაო...

— მაშ, რა იყო, ბრუუ?

— ის კულისში იჯდა და მელოდა... ელოდა, როდის მივიდოდი და როდის ვიციეკვებდი იმ ვეებერთელა საცეკვაო მოედანზე ჩვენს უკანასკნელ ცეკვას.

— ღმერთმანი, ბრუუ, რამ გაგიჩინა ამის სურვილი?

— ქორწილის დღეს, როდესაც ერთად უნდა გვეცეკვა, ბილი შეუძლოდ გახდა, არ ვიცი, რატომ, ალბათ ემოციის გამო. ამიტომ მასთან ცეკვა ვერ მოვახსარი. ვერ შევძელი ჩვენი საქორწინო ცეკვით დავმტკბარიყავი და სიკვდილის ბოლომდე ეს საოცარი წამები დამემახსოვრებინა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ მასთან უკანასკნელად მეცეკვა.

— ბრუუ, ის ხომ გარდაცვლილი იყო?!

— კი, თუმცა ამას თქვენ ვერ გაიგებთ.

— მითხარი, შესაძლოა, ვავიგო კიდეც.

— ის მელოდა. ბილი ჩვენს უკანასკნელ ცეკვას იმ კულისში გამომწყვდეული მორჩილად ელოდებოდა, დოქტორო სინგი. ამიტომ ამოვთხარე და მასთან ერთად იმ საცეკვაო მოედანზე ჩვენი უკანასკნელი საცეკვაო ცეკვა ვიციკვე, თუმცა წყეულმა დარაჯმა ყველაფერი გააფუჭა.

— კეთილი, ბრუუ. სხვას რას დაამატებდი?

— არაფერს, მხოლოდ ამის თქმა მინდოდა.

— კარგი. გაიყვანეთ ბრუუკი თავის პალატაში.

მეორე დღეს ბრაირკლიფი უამრავი დოქტორი სინგის მსგავსი ხალხით აივსო.



ალექსანდრე
კაკიაშვილი

უკანასკნელი ცეკვა ბრაირკლიფში

დასასრული

ყველა ქათქათა თეთრ ხალათში შემო-
სილიყო და სინგის კაბინეტში შეკრებილი-
ყო. როგორც გავიგე, კონსილიუმი ენყო-
ბოდა, მაგრამ რატომ? ან ვის გამო? ამის
თქმა არავის შეეძლო. მხოლოდ მაშინ გა-
ვიზარე ამ შეკრების მთავარი მიზეზი, რო-
დესაც ბრაირკლიფს დაგეგმილი ცხოველნი
ჩემ პალატაში შემოცვივდნენ და ძალის
გამოყენებით წამართვიეს საპროცედურო
ოთახში. ვგრძნობდი, რომ ეს ჩემი ცხოვრე-
ბის დასასრული იყო. დიდად ვერც შევენი-
ნალმდეგებოდი და არც ამის სურვილი
მქონდა. ბილის გარეშე არსებობას მერჩიე-
ნა, ისევე ჰოვარდად ვქცეულიყავი.

ლობოტომიის შემდგომ მივხვდი თუ
საით იმზირებოდა ჰოვარდი. რას უყურებ-
და და საერთოდ სად იმყოფებოდა. ირგვ-
ლივ შიშის მომგვრელი სიცარიელე გამე-
ფებულიყო. არც ადამიანები, არც ფიგ-
ურები და არც სხეულები არსად ჩანდა.
ყველაფერი თეთრ ბურუსს მოეცვა, რომე-
ლიც თითქოს და არც არსებობდა. შემეშ-
ინდა ამ სიცარიელის. თვალს ძალას ვატან-
დი, იქნებ რაიმე მაინც დამენახა და იმ თუ-
ნდაც გაურკვეველ აღქმულ ნერტილს ჩავ-
ჭიდებოდი, რომელიც ამ სიცარიელეს იმე-
დის მარცვლით შემევისებდა, მაგრამ ამა-
ოდ...

უსუსურ, უუნარო გვამად ვგრძნობდი
თავს და ეს შეგრძნება იმდენად დამანგ-
რეველი აღმოჩნდა, რომ უცაბედად ვი-
გრძენი, თუ როგორ მოვეწყდი საკუთარ სხ-
ეულს და ჩემი პალატის ქერს როგორ მივე-
კედლე. ზემოდან დავეყურებდი სავარძელ-
ში მჯდომ ჩემ გვამს და მისკენ სწრაფვას
ვცდილობდი. მსურდა, ისევე მასში ჩავსახ-
ლებულიყავი და ხმის ჩახლქვამდე მეყვი-
რა. მაგრამ ყოველი მცდელობა მარცხით
მთავრდებოდა.

ისიც კარგად მესმოდა, თუ რას საუბ-
რობდნენ ჩემს პალატაში შეკრებილი დოქ-
ტორი სინგი და ექთანი, რომელნიც ბრაი-
რკლიფს დაგეგმილი ცხოველის დაძახილზე
შემოცვივნილიყვნენ, მაგრამ მათ ჩემი ძახ-
ილი არ ესმოდათ.

— ბრუკ, ბრუკ! ჯანდაბა. დასწყევლოს
ემშაკმა.

— გარდაცვლილა.

— დანარჩენები პალატებში დააბრუნე
და მხოლოდ ამის მერე გადაიყვანეთ ბრუ-
კი პროსექტურაში. არ მინდა, ამ სცენის
შემხედველ სხვა პაციენტებსაც ნერვული
ფონი გაუმწვავდეთ და აქ ყოფნა გაუსა-
ძლისი გახდეს. შეასრულეთ.

— ახლავე, დოქტორო სინგ.

ექთანს და სინგს ჰოლში გავყვიე. ერ-
თადერთი, ვინც ჩემი სხეულის კვდომა გაი-
გო, სუზანი იყო, რომელიც ჩუმად გამოჰ-
კიდებოდა სინგს და კარს უკან მდგომს სა-
უბრისათვის ყური მოეგდო.

იმ საღამოს, როდესაც ჩემი გვამი პრო-
სექტურაში მიჰქონდათ, ბრაირკლიფის
ფსიქიატრიული საავადმყოფოს გულში,
ექთანს ნაურჩი მკვიდრნი, ჩემი და ბილის
პატივსაცემად ასრულებდნენ უკანასკნელ
ცეკვას!

ბებერი ჩარლი თავის ეტლით მიგორებ-
ულიყო ჰოვარდის ეტლთან და შეძლებისდ-
აგვარად ეცეკვებოდა. სუზანს დოროთის-
თვის მოეკიდა ხელი და ხმის ამოუღებლად
ყვიროდა, მაგრამ დოროთი? მას უხმო ყვი-
რილი მოჰბეზრებოდა და ცეკვისას სუზა-
ნის მაგიერ ჩემს სახელს გაჰყვიროდა.

დრეიკი? დრეიკი თავის პურის ჩიტთან
ერთად ცეკვავდა და მასთან ერთად თავი-
სუფლების სურვილით ალვისილი ჩიტად ყო-
ფნას ლამობდა.



ამირან ფაჩუაშვილი

ორი კომბალი და ხუთი ლეკვი

ბჰმრი ხე ედგა ეზოში, მაგრამ მათგან
ორს, ალუბლისას და ნუშისას, თუ ეთქმო-
და დიდი არა და ალბათ უფრო მოზრდილი,
დანარჩენები საკმაოდ მომცროები იყვნენ
არც თუ ისე მცირე ასაკის მიუხედავად.
ხუთი წლის წინ იყიდა მინის ნაკვეთი და
მალევე ააშენა მასზე პატარა და ლამაზი
რუხი სახლი მწვანე სახურავით. ხეებიც იმ
წელს ჩარგო, თუმცა რატომღაც მხოლოდ
ალუბალმა და ნუშმა გაიხარა კარგად. ვაშ-
ლი, ატამი, კომში, მსხალი, ბალი, ალუჩა,
ქლიავი, უნაბი, კაკალი და თხილი თავს დი-
დად არ იჩენდნენ ზრდის სურვილით. ზო-
გიერთი მათგანი მხოლოდ ნიშანს იძლე-
ოდა, ზოგი კი ამასაც არა და სულს ლაფავ-
და ხოლმე ზაფხულშიც კი მომხმარი ტოტე-
ბითა და მომჭმარი ფოთლებით. კიდევ
ჭიშკართან იდგა ორი გამხმარი არყის ხე,
რომლებსაც პრინციპულად არც ჭრიდა
და არც ძირკვავდა, რადგან ისინი დარგო
მამამისმა, რომელიც დარგვიდან მალევე
გარდაიცვალა.

გვიანი შემოდგომა იყო და ხეების გასხ-
ვლა გადანყვიტა. ფიქრობდა, რომ ასე შეი-
ძლება დაეჩქარებინა მათი ზრდა. თან ერ-
თმა ნაცნობმა უთხრა, ხეს ტოტები უნდა
მოაჭრა, შეეშინდებოდა მთლიანად არ მომ-
ჭრასო, გაიზრდება და ნაყოფს მოგცემსო.
ალუბლისთვის და ნუშისთვის დასჭირდა
ხერხი, სხვებს სეკატორით გაუმკლავდა,
მხოლოდ წვრილი ნანახარდები შეკრიჭა,
იმ ორს კი საკმაოდ მსხვილი და გრძელი
ტოტები დააჭრა, ერთად მოაქურა და იმაზე
დაიწყო ფიქრი, თუ რა უნდა ეყო მათთვის.
გადაწყვიტა, მსხვილებისგან ბაბუამისი-
ვით კომბლები გაეკეთებინა, ხოლო წვრი-
ლები ბუხარში შეენყო და დაენვა, როცა
დასჭირდებოდა, ოღონდ მანამ აქა-იქ შე-
მორჩენილი გამხმარი ფოთლები უნდა მო-
ეშორებინა, რადგან სადღაც მოესმინა, რომ
ფოთლების დანვა არ იყო კარგი და მათი
წვის შედეგად წარმოქმნილი ბოლის შე-
სუნთქვას შესაძლოა კიბო გამოეწვია.

ჯერ მსხვილ ტოტებს მოაჭრა წვრილე-
ბი, შემდეგ მოჭრილები გაასუფთავა მრავ-
ალფერი ფოთლებისგან და ბუხარში შეან-
ყო, ბოლოს კი მსხვილებისგან ორი ერთი
ზომის ჯოხი მოჭრა და მათი გამოთლა და-
იწყო. კორძები და კანი დანით მოაშორა,
გააპრილა ხაოიანი ქალაღით და საქმეს
რომ მორჩა, კმაყოფილმა დაუწყო თვლი-
ერება საკუთარ ნახელავს. ბოლოს იფიქ-
რა, ესენი ჭუჭყიანია, სანამ სახლში შევიტ-
ან და სადმე დავდებ, უნდა გავრეცხო.

ასეც მოიქცა, ეზოში მდებარე ონკანიდან
გამოშვებული წყალი გადაავლო და იქვე
მდგარ სკამზე დააწყო კომბლები.

ამასობაში ჭიშკართან ხუთი თითქმის
ერთი ზომის მაგრამ სხვადასხვა ფერის ლე-
კვი მივარდა და ყეფა დაიწყო. იცნობდა,
დღეში რამდენჯერმე აჭმევდა ხოლმე. ახ-
ლაც იფიქრა, შიათო, სახლიდან პურის ნა-
ჭრები გამოიტანა, დაანანევრა და ძალ-
ებს აჭამა. საკვები რომ დაუმთავრდა, ცას
ახედა, გააცნობიერა, რომ მალე დალამ-
ებოდა, იმასაც მიხვდა, რომ უკვე საკმაოდ
ციოდა, ეზოს განათება აანთო და სახლში
შევიდა. ბუხარში შეკრილ ძველ ფიჩხებს და
ახალ ტოტებს მუყაოს ნაგლეჯების გამოყ-
ენებით ცეცხლი მოუკიდა და სავარძელში
მოკალათდა.

კარგა ხანს უყურა ცეცხლის ალებს,
თან თბებოდა, როცა მოჰბეზრდა, ლეკვო-
ბი დაიდო მუხლებზე და წერა დაიწყო. არ
გაჩერებულა და საკმაოდ მალე დაწერა
მოთხრობა მწერალზე, რომელიც მის მიერ
დაპურებული ლეკვების თვალწინ მოკლეს
მის მიერვე გამოთლილი კომბლებით.

წერას რომ მორჩა, ბიბლიოთეკაში შეე-
იდა, წიგნების თვალთვრებას შეუდგა და
ერთ-ერთი თაროდან 2000-2001 წლების
ქართული მოთხრობების კრებული გამოი-
ღო. ბოლოდან დაიწყო კითხვა. მოთხრო-
ბამ დაინტერესა, სიუჟეტმა ჩაითრია და
ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა. რომ მორ-
ჩა, მოწონების ნიშნად ჩაიციხა, წიგნი დახ-
ურა და შუქი ჩააქრო. ავტორსაც მისწერა,
ძალიან მომეწონა, შესანიშნავიაო, პასუხ-
ად მიიღო, მაღლობო და კმაყოფილმა გა-
იღიმა. უცერად უცნაური ხმები გაიგო, თი-
თქოს ვიღაც რკინის ზედაპირს ხის ბლაგვ
საგანს ურტყამდა და თან შიდა წვის ძრა-
ვას აბლუვებდა. ფანჯრიდან გაიხედა და
დაინახა, რომ მთაზე გაკვალულ გზას ნელა
მიუყვებოდა სატვირთო მანქანა, რომლი-
დანაც მოდიოდა ეს საშიში ხმა.

აბაზანაში შევიდა და სანამ ბანაობდა,
პატარა სარკმლიდან ესმოდა, როგორ უახ-
ლოვდებოდა და მატულობდა ის უცნაური
ხმა. სწრაფად დაასრულა, თავი და ტანი
გაიმშრალა და იგივე ფანჯარასთან მივი-
და. დაინახა, რომ სატვირთო მანქანა მის
სახლთან ახლოს იყო და ჭიშკრისკენ აგრ-
ძელებდა სვლას. სწრაფად გამოადო კარა-
და და შეიშო, შემდეგ ისევე ფანჯარასთან
მივიდა და კიდევ უფრო მიახლოებული მა-
ჩქანა დაინახა. სამზარეულოში გავიდა,
უჯრიდან ყველაზე დიდი დანა ამოიღო,

გარეთ გავიდა და ჭიშკრისკენ გაემართა.
იგივე ნერტილისკენ, ოღონდ საპირისპირო
მიმართულებით მოძრაობას აგრძელებდა
სატვირთო მანქანა და ისინი თითქმის ერ-
თდროულად შეჩერდნენ, როდესაც ჭი-
შკარს მიუახლოვდნენ. გაჩერებული საბ-
ჭოთა ნარმოების მანქანის ფარები არაბუ-
ნებრივად კამკამა სინათლეს გამოსცემდა.
სავარაუდოდ, პატრონს გამოცვლილი ჭქ-
ონდა და ამიტომაც ანათებდა ასე მკვეთ-
რად. შუქი თვალებს ჭრიდა და ვერაფერს
ხედავდა, თან მხრწოლაფი ჯართის გამონ-
აბოლქვი ბუღს აყენებდა და სუნთქვას უძ-
ნელებდა. ვინ ხარო, დაუძახა, მაგრამ პა-
სუხად ძრავის ბლუილი მიიღო. დანა მოიმა-
რჯვა და კიდევ უფრო მიუახლოვდა ჭიშ-
კარს. უნდოდა, გაედო და გარეთ გასული-
ყო, მაგრამ არ დასცალდა, სატვირთო მან-
ქანა ადგილიდან მოწყდა და ჭიშკარს შეე-
ჯახა. ძლივს გაასწრო, სახლის შესასვ-
ლელისკენ გაიქცა, უკნიდან ნაბიჯების ხმა
ესმოდა, სახლში შევარდა და კარი ჩაკეტა.

გული ამოვარდნაზე ჰქონდა, აჩქარებ-
ულად სუნთქავდა და აზრებს თავს ვერ უყ-
რიდა. სანამ რამეს მოიფიქრებდა, კარზე
ბრახუნის ხმა გაიგო, თითქოს ვიღაც ხის
ჯოხს ურტყამდა. ვინ ხარო, დაუძახა, მაგ-
რამ პასუხი არ მიუღია. მითხარი, ვინ ხარ,
თორემ კარს არ გაგიღებო. კარზე ბრახუნი
გაძლიერდა, თითქოს მეტალოპლასტმასის
კარის შემომტრევეს ცდილობენო. ბრახ-
უნი უცებ შეწყდა და რამდენიმე წამში ახ-
ლომდებარე ფანჯარა შეიმსხვრა შიგნით.
შუშის ნამსხვრევებს სახლში შეჰყვავა ცოცხ-
ალი ორგანიზმი, რომელმაც მას თავში მის
მიერვე გამოთლილი და გარეთ გასაშრო-
ბად დატოვებული ორი კომბლიდან ერთ-
ერთი ჩაარტყა. გაითიშა და ძირს დაეცა.
მომხდურმა ფეხებში ხელი მოჰკიდა, ჯერ
სახლიდან გაათრია, შემდეგ კი ჭიშკართან
მიიყვანა, იქ დატოვა, თავად კი ისევე სახ-
ლისკენ გაემართა. ცოტა ხანს შიგნით ია-
რა, აშკარად რალაცას ეძებდა, ბოლოს,
როგორც ჩანს, იპოვა, გარეთ გავიდა, სატ-
ვირთო მანქანაში ჩაჯდა და იქაურობა იმ-
ავე უცნაური ხმაურით დატოვა.

ის ჭიშკართან ეგდო ბეტონზე კომბლ-
ებით თავგაჩენქვილი და სულს ლაფავდა,
ჭიშკრის იქით მყოფი ლეკვები კი ერთად
შექუჩებულიყვნენ და მათკენ ჩადენილ ერ-
თმანეთში არეულ სისხლსა და რუხ ნივ-
თიერებას ლოკავდნენ. გათენებამდე დიდი
დრო რჩებოდა, გარშემო კი არავინ ცხოვ-
რობდა...

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის,
სამრეწველო და სხვადასხვა სახეობის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

